

„ივერიის ბიბლიოთეკა“


გარეზგილი

მრავალობა

ი. ელეფთერიძისა.

36 9 8 0 5
№№ 10—11

1905
ცუცულის



ଶରୀରକାଳିତ୍

7. 26

„ივერიის ბიბლიოთეკა“

გაროზგილი

მოთხოვდა

ი. ელეფთერიძისა.

35108



3 6 9 8 0 5

№№ 10—11

1905

ფულისი

Дозволено цензурою. г. Тифлисъ, 28 февраля 1906 г.

გ ა რ თ ზ გ ი ლ ი

(მოთხრობა)

I

ჯარის-კაცს ილია ძიბძიბაძეს, ჩვეულებისამებრ, ადრე გამოეღვიძა. ადგომით კი არ ადგა. ბალაზზედ მწოლია- რემ თვალები ცას გაუშტერა.

ცის ლაჟვარდოვანი კამარა სარკესავით მოკრიალე- ბულია, ულრუბლო; სამწუხაროდ, ცოტი შორს არის, თორემ ჩვენი მხედარი თავისს აბურძგნულ თმა-წვერ- ულვაშს ცის ანკარა ზედაპირში ადვილად დაინახავდა.

დიდი ხანი უყურა უაზროდ ილიამ ზევიდან გაჭმო- ჭედილს უსაზღვრო თაღს ქვეყნისას. მერე თვალები დედამიწისაკენ გადააჭრიალა და, პირზე ღამილ-მომდგარ- მა, აბიბინებულ ბალახს სიამოენებით ხელი გადუსვა. დანამულმა ბალახმა ხორცის კანი დაუსველა, რის გა- მო მთელს სხეულში საამო ურუანტელმა დაურბინა.

— დროა ადგომისა... — გაიფიქრა ილიამ და, ფეხზე ამართულმა, თვალი არე-მარეს მიავლ-მოავლო. ერთ ხანს დააშტერდა ტყეს, საიდანაც ჩიტების მხიარუ- ლი უღურტული და ჭიკჭიკი მოისმოდა. ამ ჭიკჭიკს

უერთდებოდა ცელქ სიოსაგან ამოძრავებულის ფოთლების ნელი შრიალი, რომელიც კაცის ყურს იდუმალ ჩურჩულივით ჩაესმოდა.

ბუნების სიკეკლუცემ, მყუდროებამ საამურად აატოკა ილიკოს გული და კმაყოფილება მოჰვინა. მან მსწრაფლ აკეცა საბანი და ფარაჯა, რომელზედაც იწვა, და იქვე კარავში შეიტანა. კარავი სავსე იყო. ჯარის-კაცები თითქმის ერთი-ერთმანეთზედ ეყარნენ. ზოგს გულისძილით ეძინა, ზოგი-კი გამოლვიძებულიყო და მთქნარებით იჩმუჩნებოდა, იზმორებოდა. კარავში საშინელი სუნი იდგა. პაერზე მყოფს ბიბძიბაძეს თავბრუ დაესხა.

უფროსმა ჯარის-კაცმა (უნტერ-ოფიცერმა), რომელსაც, ის იყო, თვალები დაეჭყიტნა, რა დაინახა ძიბძიბა-ქე ლოგინით ხელში, მრისხანეთ შესძახა:

— ეჭეი, შენ!.. სადა ბრძანდებოდი? საიდან მოგაქვს ეგ ლოგინი? — არ იცი, აღკრძალულია კარავს გარედ წოლა?! გაჩვენებ შენს სეირს!.. დამაცადე ავდგე!.. ამ დამუქრების შემდეგ უფლება-მოსილმა უფროსმა მწოლიარე ჯარის-კაცთ შეუძახა: — ადექით რალა, თქვე.. ეშმაკის კერძნო...

ძიბძიბაძე, რომელსაც რუსულისა არა ესმოდა-რა, მაინც მიჰხვდა უფროსის მუქარას. ამ ამბავმა მისი მხიარულება, ცოტა არ იყოს, ქარს გაატანა. ილია მშიშარა არ იყო, მაგრამ უსიამოვნებას ერიდებოდა შარიან უფროსთან.

ჯარის-კაცნი წამოიშალნენ, ტანისამოსი მარჯვედ ჩაიცვეს და გარედ გავიდნენ პირის დასაბანად. ძიბძიბაძეც მათ გაჰყეათ.

ამ დროს მზემაც აშოთყო თავი, სხივები გამოაშუქა

და ბალახზედ ნასხური ცოლი ნამი თვალ-მარგალიტები-
ვით აანთო. წელანდელივით როდი აუძევრა გული ძიბ-
ძიბაძეს მზის სხივებით მორთულ ბუნების მშვენებამ. თა-
ნაც ამხანაგები გამოეხურნენ, დასცინოდნენ.

— არა, რა ეგრილებოდა და... გარედ... — მიჰმარ-
თა ერთმა ჯარის-კაცმა მეორე ჯარის-კაცს და თანაც
ეშმაკურად თვალები ილიკოსაკენ აღმაცერად გააპარა. —
ნეტავი ძიბძიბაძეს!.. ჩვენ ვინ გვალირსებს, შვილოსან,
გრილ ნიავს... მაგრამ ეს-კია, გაგრილებას მუდამ
გაფიცხება მოსდევს ხოლმე... ეგრე არ არის, ძიბძიბა-
ძე?!.. — ამ სიტყვებმა ჯარის კაცებში სიცილი ასტეხა.

— რას იღრიჭები?.. რა გიკვირს? მე ვიცი, შენ-კი
დაიწუნებდი ბალახზე წოლას? ლმერთი-რჯული, ჩვენს
„პალატკაში“ არ დაიდგომლება... კინაღამ გული შამი-
ლონდა... რომ ვეღარ გავძელ, ავდექი და გარედ გამო-
ვიპარე... — უპასუხა ძიბძიბაძემ მოცინარე ბიჭებს.

— ჰო, მე და ჩემმა ლმერთმა!.. რა ოხრული „ზაკო-
ნია“... ზაფხულში გარედ ნუ დაწვებითო... აყროლებულ
„პალატკაში“ ეყარენითო... არა, ამას რა სჯობია? გაშალე
ბალახზედ ლამაზად ფარაჯა, დაიდე თავ-ქვეშ გუდა-ნა-
ბადი და წამოწექ შენთვის ბატონ-კაცურად... აქეთ-იქი-
დან ნიავი, ზევიდან მთვარე... და იხვრინე... — სთქვა
ერთ-ერთმა ჯარის კაცთაგანმა.

— აბა, ეგა თქვი და!.. — შეპყვირა ღიმილით. ძიბძი-
ბაძემ, რომელსაც ამხანაგის სიტყვები ძალიან იაშა.

უცბად გულიანი ხარხარი გაისმა. ილიკო მიჰმევდა,
რომ თავი გაიმასხარავა. ისე მოეწონა ამხანაგის მიერ
აღწერილი სურათი გარედ წოლისა, რომ ვერ შეამჩნია,

რა დაცინვაც გამოკრთოდა იმისს იტყვებში, ილიკოსადმი მიმართული, და გულუბრყვილოდ კვერი დაუკრა.

— თქვენც შეგარცხვინათ,—თქვენთან მოლაპარაკეც!..—უთხრა მან ამხანაგებს სირცხვილისაგან გაწითლებულმა და პირის დასაბანად გასწია.

სააგარაკოდ დაბანაკებულმა ჯარის-კაცთა რაზმა-უკვე გამოიფხიზლა. ყველანი ეშურებოდნენ მარდად გაეთავებინათ ჩაცმა-დასურვა, რომ „უტრენი სმოტრზედ“ თავისს დროზედ გამოცხადებულიყვნენ.

II

ძიბძიბაძემაც გაიგრილა პირისახე წყაროს წყლით, შეიწმინდა, ჩაცვა ჩოხა-ახალუხი და გამოცხადდა უფროსთან, რომელსაც ჯარის-კაცნი ერთ რიგზედ დაემჭირივებინა და ტანისამოსს უშინჯავდა. ძიბძიბაძე თავის აღგილას დადგა. გულში ღარღლი უტრისალებდა, ვაი-თუ უფროსმა მუქარა აასრულოს და ხათაბალა რამ ამიტეხოსო.

უფროსი ჯარის-კაცთ ძალიან გულ-მოდგინედ ათვალიერებდა; ამასთანავე ხან-და-ხან მისი მარჯვენა ხელითავისუფლად გაითამაშებდა ხოლმე ხან ერთისა და ხან მეორის სახეზედ, კისერზედ, გვერდებზედ, იმის მიხედვით, თუ ვისი რა იზიდავდა დალოცვილ მერჯვენას—სახე, კისერი თუ გვერდები. თანაც, რალა თქმა უნდა, ამ მეგობრულ მუჯლუგუნებს შესაფერის ლეჭსით აზავებდა, როგორც მაგალითად: „ახ ტი მამზალლა“—„ასიოლა ტი, ასიოლ“, ჩორტ-ჟე ტი, ია ტე სკაუ“—და აშისთანებით.

აი, მოახლოვდა ძიბძიბაძის ჯერიც. უფროსმა შორიდანვე დაუწყო თითის ქნევა.

Аaa, голубецъ! Постмотрю-ка на тебя...

დაღრეჯილის სახით მიუახლოვდა იგი ძიბძიბაძეს, რომელიც ქანდაკებასავით გაუნძრეველი იდგა. კილოზედ შეატყო, რომ უფროსი საკეთილოდ არ უქნევს თითს და რომ გაბოტილი, ტუჩებზედ დორბლ-მომდგარი და ზიზლნარევ კმაყოფილებით ტყუილად არ შესცეკრის. ილიკოს გული უჩქროლავდა, სხეულში რაღაც უსიამოვნო ურუანტელი უვლიდა, თითქოს ზურგზედ გველმა გაუსრიალაო, და თვალები უფროსისათვის ვერ მიექცია.

უფროსმა აათვალ-ჩათვალიერა ძიბძიბაძე და ჩოხის ერთ ადგილას / ქინძისთავის ტოლა ნაჩვრეტი შეამჩნია; ამ აღმოჩენამ ჩვენი მკვლევარი ცას დააწია; მან სალოკი თითი ჩოხის დაზიანებულ ადგილთან მიიტანა და დაუწყო შიგ ყოფა.

— ეს რა არის, რა? ჰაი შე მამაძალლო შენა!.. შე შენ გიჩვენებ... — ამასთანავე განრისხებულმა უფროსმა თითი შეპყო ნაჩვრეტში, გააგანიერა იგი და მერე თავი-საკენ გამოსწია. ძველმა და დაჩრჩნილმა მაუდმა ფხრა-წანი მოილო და უფროსმა თითს უშველებელი ნაფლეთი გამოატანა. მაუდის ნაგლეჯი ძიბძიბაძეს წასჩინრა ცხვირში და დაუწყო ფეხებს ბრაცუნი.

— ეს რა არის, რა? ესე დაგლეჯილი უნდა გამო-ჭვიდე ხოლმე? სხვა რაში ხარ კარგი, შე უბედურო, რომ ტანისამოსი მაინც არა გაქვს რიგზე? მარჯვენა მხარი შენ არ იცი და მარცხენა... შენისთანა მხეცებს აი ასე უნდა!.. — აქ უფროსი განზე გადგა, გაშალა შელავი და...

მაგრამ ამ დროს ისეთი ამბავი მოხდა, რამაც უფ-

როსის განზრახვა სხვა მხრით წარმართა: როდესაც იგი
სილისათვის ემზადებოდა, ერთბაშად თვალი ხელ-
ქვეითის სახეს მოჰკრა.

ძიბძიბაძეს სახე მოქუშული ჰქონდა, თითქო ნისლ-
მობურული მთა არისო. თვალები-კი ელვასავით ცეცხლს
აკვესებდა. ტუჩები გაჰყითრებოდა და ძალზე უთრ-
თოლავდა. შუბლ-შეკრულობის გამო წარბები ერთმა-
ნეთში გადახლართულიყო და თვალებს ისრებივით
ზედ გადმოსწოლოდა. ლოყებზე აღმური ასდიოდა.

გულთმისანი როდი უნდა ყოფილიყო ადამიანი,
რომ ადვილად გამოეცნო, რაც ახლა ილიკოს არსებაში
აშპავი ხდებოდა. უფროსი მიხვდა ხელქვეითის სულიერ-
ჰბორგვას, როცა თვალებში ჩაშტერდა. ამ მიხვედრამ
იგი გააურულა, თითქოს ცეცხლმა თვალებ-წინ გაუელვაო.
პირუტყვულმა ალლომ გაფრთხილებისამ ნათლად აგრძ-
ნობინა, რომ აკანკალებული, დამუჭული ხელები ძიბძი-
ბაძისა სიკეთეს არ დააყრის, თუ ერთი ამოძრავდა.
ამისგამო მან გასარტყმელად გაშლილი მკლავი ანაზღეუ-
ლად კისერზედ მოისვა, თითქოს თავი მოიქექაო, და,
გვერდზედ სახე-მიღრეცილმა, შებუზღუნებით უთხრა
ძიბძიბაძის:

Ишъ, смотратъ какъ звѣрь, точно хочетъ
сѣѣстъ... ахлазъ დაიკერე ჩოხა, მაგრე არა გნახო,
თორემ მე ვიცი შენი—დაუმატა მან რიხიანად და ძიბძი-
ბაძის. გვერდზედ მდგარს ჯარის-კაცს მიუახლოვდა:

— ბიჭო, ძალიან გადარჩი აი! ძაღლის ბედი გაქვს
სწორედ...—წასჩურჩულა ილიკოს მეორე გვერდზე მდგარმა.
ჯარის-კაცმა.

— მაშ არა და შენსავით კისერს მივუშვერდი ვიღაც
უნიფერშვილს... — უპასუხა თავმოწონებით ილიკომ.

ჯარის-კაცებმა სიცილი დაიწყეს, მაგრამ უფროსის
რიხიანმა ხმამ მალე გააჩუმა.

— Молчать, ослы!.. რას იცინით, რომ იცინით!..
აბა, გამოდით საგიმნასტიკოთ...

III

ჯარის-კაცნი დაიშალნენ და, ორიოდე წამის შემდეგ,
კვლავ შეიყარნენ სამეცადინო მოედანზე.

— ძიბძიბაძე, ხრაიშვილი, ზომბერიძე, თქვენ ცალკე
გამოდით — დაუძახა უფროსმა. — თქვენ ხომ ცალკე მასწავ-
ლებელი გინდათ... ვი ლიდი სъ мѣдными лбами и
желѣзными затылками... ექვსი თვეა, რაც აქა ჰურიხართ
და მიტრიალ-მოტრიალება არ იცით... მხეცები ხართ,
მხეცები!..

ჰურიროდა უფროსი და ის-კი დაპიწყებოდა,
რომ თითონ მას ოდესმე ფეხზედ ჩალას აბამდნენ, რომ
მარჯვენა-მარცხენისაგან გაერჩია.

— ჩვენ კიდევ ჰო... მაგრამ შენ რაღაზედ მოგაქცია
ჩვენს ტაფაში? — ჰკიოთხა ჩუმი ხმით ხრაიშვილმა ძიბძიბაძეს.

— ცემა რომ ვერ გამიბედა, — ჯავრს მაგით ჰური-
ლობს — უპასუხა ძიბძიბაძემ. — ძალლია, მყრალი ძალლია ეგ
ჰაჭუა-რუსი. — დაუმატა გაგულისებით ილიკომ.

ჯარის-კაცებმა მეცადინეობა დაიწყეს.

ძიბძიბაძე, ხრაიშვილი და ზომბერიძე ცალკე და-
ამწერივეს. მათ თითონ უფროსმა დაუწყო სწავლება,
დანარჩენებს-კი სხვა უნტერ-ოფიცირები ავარჯიშებდნენ.

ხრაიშვილი და ზომბერიძე გვიან მოვიდნენ სამსა.

ხურში; მიტრიალ-მოტრიალებაში, გიმნასტიკაში, თოფის ხმარებაში ჯერ გაწაფულნი არ იყვნენ; ამიტომ იმათ ცალკე ამეცადინებდნენ, რომ დანარჩენები—უკვე დახელოვნებულნი—არ დაებრკოლებინათ. ამ ორ ჯარის-კაცე-კი ძალას ატანდნენ, რათა ამხანაგებს დასწეოდნენ. ამის გარდა, რაკი დღეს თითონ უფროსმა იკისრა მათი ხელმძღვანელობა, ეს იმას მოასწავებდა, რომ დიდი ოფლის ღვრა მოელოდდათ, მიზ უფრო, რომ ძიბძიბაძეც მათში გარია. ძიბძიბაძე უკვე გავარჯიშებული იყო არამც თუ მიტრიალ-მოტრიალებაში, არამედ თოფის ხმარება-შიაც; მალე სროლასაც დაიწყებდა, მაგრამ დღეს უფროსმა, გულის ბუხარის გასახეთქად, ჩამორჩენილებს ამოუყენა გვერდში, რომ თავისს გემოზედ ეწვალებინა ეს „ზვერ-გრუზო“ რომელმაც მარტო სახის ერთი გამომეტყველებით გული შეუკრთო და საცემრად ამართული ხელი ძირს დაახრევინა.

ამ სამ ჯარის-კაცს უფროსმა ხელების ქნევა და-აწყებინა: წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ. ზომბერი-ძეს და ხრაიშვილს მოძრაობა ხშირად ერეოდათ, რაც ერთ ვაი-ვაგლახს ასტეხდა ხოლმე. უფროსი უყვიროდა, მრავალჯერ ამეორებინებდა ერთსა და იმავე, მოქმედებას და მუჯლუგუნებსაც უთავაზებდა ხოლმე. განსაკუთრებით ხრაიშვილი იყო საცოდავი. ერთი უშველებელი რამ იყო, მოუდრეკ-მოუხეშავი. ვეებერთელა ხელ-ფეხი ჰქონდა, სახსრებში მოუქნელი და უსხარტო. უფროსის ძანილს ვერ არჩევდა ხოლმე და, როდესაც ამხანაგები მარჯვნივ ჰშლიდნენ ხელებს, ის მარცხნივ გააჭანებდა.

ძიბძიბაძეს ასეთი მდგომარეობა ძალიან აბრაზებდა. თავის-თავად საძნელო აქ არაფერი იყო, მაგრამ ის აზრი,

რომ უფროსი განგებ, მის გამოსაჯავრებლად, აკეთებინებს იმას, რაც კარგა ხანია უკვე უსწავლია და, საჭიროც არ არის, მოსვენებას არ აძლევდა.

— ხრაიშვილი, მოიტა, თამბაქო მომაწევინე— უთხრა დასვენების დროს უფროსმა—გექნება, ჩიბუხს ეწევი ხოლმე.

— Ніатъ, гаспадинъ—უპასუხა ხრაიშვილმა.

— როგორ თუ არა გაქვს? ახლა არა გაქვს, როცა მე გთხოვ?!—დამაცადე, მე შენ გიჩვენებ... А ну-ка, маршировку по раздѣленіямъ...

ჯარის-კაცთ სახეზედ უკმაყოფილება გამოეხატათ. კარგად იცოდნენ, რაც იყო «маршировка по раздѣленіямъ».

— Слушай команду!—დაიძახა უფროსმა. აქ ის საშინლად გაიძაბა, სახე გაუწითლდა და თვალები ბუდიდან გადმოვარდნას ლამობდა. Наааачинай... Рааааазъ... — გააგრძელა უფროსმა.

ამ დროს ჯარის-კაცში გაჭიმულს მარცხენა ფეხს შალლა სწევდნენ, მთელის ტანით მარჯვენა ფეხს ეყრდნობოდნენ და მარცხენა-კი მშიმედ, თანხმად უფროსის ძახილისა, წინ გამოჰქონდათ და ასე, ამ რიგად, წინ უნდა ეწიათ ნელ-ნელა, ვიდრე უფროსი არ შესწყვეტდა იმ „რააა... ზ-“ს და არ დაიძახებდა „დვას“. მაშინ ჯარის-კაცნი მარცხენა ფეხს წინ გადასდგამდნენ, ზედ დაეყრდნობოდნენ და მარჯვენა-კი წინანდელებრ აიკანჭურებდნენ ხოლმე.

ვისაც ეს მოქმედება არ გამოუცდია, არაფრად მიაჩნია, ადვილი შესასრულებელი ჰგონია. მაგრამ, აბა გამოცდილსა ჰკითხოს, რას ეტყვის... ცალ-ფეხზედ დგომას, მეორე ფეხის. მიწისაგან მოშორებას, თან და თან გამოჭიმას ჸ

ისედაკავებას, რომ თანაც არ იტევოდე, ბევრნი ვერ ახერხებდნ. რაზმში-კი რხევა ტანისა აღკრძალულია. რაზმში კაცი ქანდაკებასავით უნდა იდგეს.

კიდევ კარგი, თუ უფროსი კეთილი კაცია და ძალიან არ აგძელებს იმ დასაღუპავ „რააააზ“-ს. მაგრამ უბედურება ის არის, როცა მასწავლებელი ავია და უყვარს ჯარის-კაცთა წვალება.

ძიბძიბაძის და მისი ამხანაგების უფროსი ავ-სულთაგანი იყო და ხელქვეითთ. საშინელს დღეს აყენებდა ხოლმენამეტნავად ახლა იყო პატივცემული მასწავლებელი გაგულისებული. ხრაიშვილის უარი თუთუნის შესახებ შიგ გულში მოხვდა.. ამიტომაც ამ ჯარის-კაცის დატანჯვა ნეტარებად მიაჩნდა. ამასთანავე თუთუნის მოწევის სურვილი მეტად განუცხოვლდა და იმედი ჰქონდა, ამ მოქმედებით ხრაიშვილს ადვილად მოითვინიერებდა.

ამ აზრით მან, რაც-კი შეეძლო, აგრძელა და აგრძელა „რააააზ“. ძიბძიბაძეს და მის ამხანაგებს ოფლისხ ვითქი გადმოსდიოდათ, მუხლები უდუნდებოდათ.

— Ну что, Храйшвили, табакъ есть? — ჰკითხა უფროსმა, რომელიც ხელქვეითთ დაცინვით და თვალების ჭუტვით შორიდან შეჰყურებდა.

— Ну какъ ніатъ, гаспадинъ! — უბასუხა გაბრაზებით ხრაიშვილმა — შუაზე რომ გაიპრიწო, არ მოგცემ! — დაუმატა მან და თან თავი შეარხია, რომ ოფლის წვეთები გადმოსცვივნოდა. ხელით ვერ მოიწმენდავდა ოფლის, რადგანაც მეცალინეობის დროს აღკრძალულია სხვა გვარი მოძრაობა, გარდა ნაბანებისა.

ამასობაში მზე სრულიად ამოსულიყო და საწყლებს კისერში სადგისივით აჭერდა.

— Paaaa...aaa...aaa... აგრძელებდა კვლავ უფროსი მერე შეჩერდა და დინჯათ თვალიერება დაუწყო, — ვინ ინძრეოდა და ვინ არა. ჯარის-კაცნი ფეხ-გაშოტილნი იდგნენ. უფროსი სტკბებოდა ხელქვეითთა წვალებით და უცდიდა, რომ თითონ ისინი შეხვეწებოდნენ.

ხმა არავინ გასცა; ყველანი, ვით ქანდაკება, ისე გაჩერებულიყვნენ. მხოლოდ მძიმე ხენეშა-ლა მოისმოდა.

— Табакъ есть? — гаნუმეორა გველურის ღიმილით უფროსმა.

— Ниатъ! — оუշ პასუხი.

— Paaaa...aaaa...aaaaaa...

გაიარა რამდენმამე წუთმა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— Табакъ есть? — გაისმა კვლავ უფროსის გაბრაზებული ხმა.

— მიეცი, შე ოხერო! რაზე გვტანჯავ? თუ შენი თავი არ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიბრალე. — წასჩურჩულა ზომბერიძემ ხრაიშვილს.

ხრაიშვილმა ცოტა კიდევ იყოყმანა, მაგრამ ბოლოს დაღლილობამ თავისი გაიტანა.

— Эстъ, გასпадинъ!

— Два! — დაიძახა უცბად უფროსმა.

ჯარის-კაცებმა ფეხი შეიცვალეს.

— თუთუნმა გასჭრა! — წაიბუტბუტა ზომბერიძემ და ამასთანავე თავისუფლად ამოისუნთქა, გამოიცვალა რა დაბუჟებული ფეხი.

თუთუნმა მართლა რომ გასჭრა. უფროსი წინანდებურად აღარ აგრძელებდა „რააააა“ და ჩქარ-ჩქარა აცლევინებდა ფეხს. ბოლოს დაასვენა კიდეც. თითონაც ქეიფს მიეცა: ხრაიშვილის მიერ მიცემული თუთუნი შეასორსოდავა

ქალალდის ნაგლეჯში, რომელიც „на всякий случай“-სთვის უბეში ჰქონდა შენახული. და ერთ წუთში თუთუნის ბოლში გაეხვია.

— უუჲ, რა რიგად დავიღალე... ნეტავ დაჯდომის ნება მაინცა გვქონდეს, ეს ოხერი... — სთქვა ძიბძიბაძემ. — ე დალოცვილი მზეც ძალიან გვაჭერს...

— რო გითხარ გახურდები-მეთქი. მაშ რა გეგონა? სიგრილეს ყოველთვის სიცხე მოსდევს. — გამოეხუმრა ზომბერიძე.

— ნეტაი ყოველ დღე მცემდნენ და ეს დაწყევლილი „მარჩიოვკა“ არ გვაკეთებინან. ფეხები ალარ მერჩის, ღმერთმანი!.. — სთქვა ხრაიშვილმა. — კაცო, ნეტა რა ჭირში გვარგია ეს ამოსაფხვრელი? ომში ხომ ასე არ გვატარებენ და რაზედ გვხოცავენ?..

— რა იცი, ბიძიუ, რომ ასე არ გატარებენ? საჭირო რომ არ იყოს, არც გვასწავლიდენ... მაგრამ შენ ისა თქვა, რომ ჩვენ ეს დიდთავა გვიჭირებს საქმეს!.. რატო სხვა,, ზოდში“ არ უძნელდებათ? იმიტომ, რომ ყველაფერს შეღავათით აკეთებინებენ. აი წინანდელი ჩვენი ზოდნი... რა კაცი იყო დალოცვილი!.. ამას ვერც სიტყვით, ვერც თავაზით შენ გუნებაზედ ვერ მოიყვან. — სთქვა ზომბერიძემ — შენ რომ ახლა თამბაქო დაგტყუა, განა სიკეთეთ ჩაგითვლის?! ეს ისეთი ძალლია, რომ ახლავე დაავიწყვდება. რუსი არ არის? — პურ-მარილი კალთაზედ უყრია...

— ოლონდაც, ოლონდაც, რო ეგ სხვა ძალლია. — დაუკრა კვერი ხრაიშვილმა.

— Смииирино! — მოისმა უფროსის ხმა.
ჯარის-კაცებმა შესწყვიტეს საუბარი და გამოიჭიმნენ.

— არ გაინძრათ... „როტნი“ მოდის. — აქ თითონ უფროსი მათ გვერდში ამოუდება, მარჯვენა ხელი საფე-თქელთან მიიტანა და სარიცით გაიბლინდა.

ჯარის-კაცთ უახლოვდებოდა „როტნი“ უფროსი ოფიცერი.

— Здорово, ребята! — დაუძახა შორიდანვე ოფიცერმა.

— Здравія желаю, Ва'ше Высокородіє! — ჩამო-თვალი ხმოვანჭასოებზედნაწილ-ნაწილად დაუოფილი სიტ-უვები უნტერ-ოფიცერმა; დანარჩენი ჯარის-კაცნიც იმას აჰყვნენ, მაგრამ ალაპმა უწყის ის სიტუვები, რასაც ისინი იძახდნენ.

ოფიცერმა ჩაიარა.

ჯარის-კაცებმა განაგრძეს მეცადინეობა, რომელიც თერთმეტ საათზედ გათავდა. ამის შემდეგ ისინი შევიღნენ თავ-თავიანთ კარვებში, დაიწმინდეს ტანისამოსი, ვისაც თოფები ჰქონდა, — თოფებიც გაწმინდეს, გამოიტანეს სპი-ლენდის თასები და სამზარეულოსაკენ გასწიეს.

— აბა, ძიბძიბაძე, ერთი კარგი ქეიფი გავწიოთ... ისეთი „ბორჩი“ მოგიტანო, რომ ქარვასავით ყვითელი... „კაშევარი“ ჩვენებური კაცია. — უთხრა ღიმილით ზომბერიძემ ილიკოს და სპილენდის თასს ქონიანი კიდეები შემოუწმინდა.

— ქეიფი... მე ვიცი, ხელად დედლის წვენიარ მონო. — ვიცი; შეილოსან, სიღამაც არის ხოლმე ი შენი მოტანილი „ბორჩი“ ისე სუქანი. იმ დღეს არ იყო, კოვზს გაზაფხულის გოჭივით გასიკული. მატლი ამოაყოლე. — უპასუხა დაცინვით ძიბძიბაძემ.

— აპა, თქვენ ლოპიო-შეჭამანდთან რავა მოგეწონება!

— მჭადი-ჭამია იმერელი რომ ლობიოს იწუნებდეს, რატო ქვეყანა არ გაიცინებს...

— რეიო? მჭადი-ჭამიაო? — აპა, შენ ნუ მომიკვთები, რაში მოეწონება თქვენ ბრწყინვალებას ცხელ-ცხელი, წითლად კეცზედ დაპიწიკებული ჭადი... აჲ, დედასა! საღანაა ახლა, თვარა ქე ჩატანდი გემოს! .. — ამ სიტ-ყვებით ზომბერიძემ მაღიანად ტუჩები გააწლაპუნა, ძიბძიბაძეს თვალი ეშმაკურად ჩაუკრა და თასის ჭანაობით სამზარეულოსაკენ გაკურცხლა.

IV

ძიბძიბაძისთანა ახალგაზდას ხშირად შეხვდებით ჩვენს გლეხ-კაცობაში. ილიკო იყო მორჩილი, პატივის მცემელი იმ დრომდე, ვიდრე თქვენი ბრძანება, ან მოთხოვნილება უკიდურესობამდე არ მიაღწევდა. მაშინ-კი, დარწმუნებული უნდა ყოფილიყავით, რომ არ დაგითმობდათ.

ბუნების პირმშო შეილს, ბუნების წიაღთა შორის თავისუფლად აღზრდილს, ილიკოს სამართლიანობის ნაკვთი ხასიათისა პატარაობიდანვე. დასჩემდა. იგი ვერ იტანდა ხოლმე, როცა უსამართლობასა ჰქედავდა. სოფელში. მეტიჩარას ეძახდნენ, რადგანაც გაბატონებულ გლეხ-კაცებს ხშირად სიტყვას მოუჭრიდა და მშრალზედ გამოიყვანდა ხოლმე,

აქაც, ამ სამხედრო სამსახურშიაც ეს თვისება ხასიათისა მან კვლავინდებურად შეინარჩუნა. ამიტომ ადვილი წარმოსაზგენია, რომ მისი ახალი უფროსები ილიკოს უხიაკ ხასიათს ვერ შეიმშვენევდნენ. აქ ყველაფერი ღორჩილებასა და თავის-მოკატუნებაზედ იყო დამყარებული.

პატივისცემა ხარისხოვნებით — ქვაკუთხედი იყო სამსახურისა. სწრაფი, დაუყოვნებელი და პირდაპირი აღსრულება უფროსის ნაბინებისა — სული და გული იყო, რომელიც აერთიანებდა ადამიანთა ამ მრავალ-რიცხოვან და მრავალ-ფეროვან კრებულს. დღე-მუდამ იმას ასწავლიდნენ და ყოველს წამს თვალითაც იმას ჰქედავდა, რომ უფროსის ბრძანება, თუ გინდა უსამართლოც ყოფილიყო, უნდა აღსრულებულიყო წელქვეითის მიერ პასუხ-შეუბრუნებლივ, თვალის დახამხამების უმაღლ. შესრულე ნაბრძანები და მერე, თუ სამართლიანი არ არის უფროსის ბრძანება, განუცხადე მასვე, უფროსს, და იგი, თავისის მხრით, სხვა უფროსს მოახსენებს, ის კიდევ სხვას და ამ რიგად მიაღწევს რაზმის უფროსს ოფიცრამდეო.

— მოლა მოკვდა, თავზედ ფლავი დააყარესო — იტყოდა ხოლმე ილიკო. — კაი საქმეა აი... დილ-თავამ მუშტები ამკიდოს, მე გაჩუმებული ვიყო და მერე, როცა დამიამდება, მოვახსენო, — რუსო, ტყუილად მცემე და წალი ფელთებელთან შენი თავი დააბეზლე-მეთქი... ხელად არ გაიძუება! არა, ძმავ, გემო იმაშია, — როცა კისერში არ წაგერავს, — ისეთი „პრიჭტაული“ გაუშალო ი სუქან ყბაში, რომ ფეხზე ფუთიანმა წალებმაც ველარ გააჩეროს!..

ხან-და-ხან ილიკო არც თითონ იყო კმაყოფილი თავისის ხასიათისა, მაგრამ გრძნობა გონებისათვის ვერ დაემორჩილებინა. დაინახავდა თუ არა, რომ ამხანაგი ტყუილ-უბრალოდ გაუსილაქეს, მზად იყო ლომივით დასტაკებოდა, — უფროსი იქნებოდა თუ უმტროსი. თუ-კი სხვის მიმართ ილიკო ასეთის გრძნობით იმსჭვალებოდა ხოლმე, როდესაც უსამართლობა თვითონ იმას შეეხებოდა, რაღა თქმა უნდა, უფრო მოურიდებელი იქნებოდა.

ილიკო უნიჭო როდი იყო ან გონება-ჩლუნგი. ამიტომ
მაგრე რიგად არ გაუძნელდებოდა საჯარის-კაცო მოვა-
ლეობათა შესწავლა. მხოლოდ საქმეს ის გარემოება
ართულებდა, რომ უფროსები ქართულის არამცოდნენი
იყვნენ. ილიკოს-კი რუსულისა ინჩიც არ გაეგებოდა.
რაზმში მიხვრა-მოხვრა, თოვის ხმარება, სიარული ნაბი-
ჯით, თუ რბენა, — ერთის სიტყვით, — ყველაფერი, რაც-კი
მოძრაობა-მოქმედებას შეეხებოდა, — ილიკომ გაუჭირვებდად
დასძლია. მაგრამ საქმეს უჭირვებდა სიტყვიერების გაკვე-
თილები, სამხედრო ტერმინოლოგია.

თითქმის მთელ-მთელი კაბადონი რუსულად ნაბეჭდისა
ზეპირად უნდა შეესწავლა და, როცა უფროსი ჰკითხავდა,
სხაპა-სხუპით უნდა მიეგო. ილიკომ კითხვა არ იცოდა
და წიგნით ვერ შეისწავლიდა. მაშასადამე, მეხსიერებით
უნდა დაეხსომებინა უცნობი და გაუგებარი სიტყვები.

მაგალითად, როცა ჰკითხავდნენ ილიკოს, — გვიპასუხე
რა არის ჯარის-კაციო, ილიკო ერთმანეთში აურევდა
ხოლმე ჯარის-კაცის და დროშის აღწერის. ამბავს და
აბრახუნებდა, რაც ჰირზედ მოადგებოდა უფროსისაგან
გაგონილს და მეხსიერებაში ოდნავ აღბეჭდილ, შერეულს,
და გადამახინჯებულ სიტყვებს:

— სალდასთ ისთ სვეშჩენიკ ხარიგი ვოინცკი სვეტინ
კოტორი საბირაეცა ვოინცკი ჩინ ზაშიშნიკ ატ ვრაგე
ვიშნიხ ი უტრენიხ გოსუდარი თტჩესტვი.

ილიკოს-კი. შემდეგი უნდა ეთქვა: — Солдатъ есть
слуга Государя и защитникъ его отъ враговъ
внѣшнихъ и внутреннихъ.

ილიკო უნდა სცოდნოდა ზეპირადვე, ხელმწიფის
სახლეულობის გარდა, ვინ არის ამ უამაღ სამხედრო მი-

ნისტრად, მის თანაშემწევა, სამხედრო შტაბის უფროსად, ბრიგადის უფროსად; ბატალიონის უფროსად და როტის უფროსად. რაღა თქმა უნდა, ყველა ამ პირთ თავ-თავიანთ ხარისხის შესაფერი ტიტული აქვთ და ილიკოსაც ეს მრავალ-სიტყვოვანი ტიტული უკლებლივ უნდა ჩამო-ეთვალა.

— ნაჩალიკ გლავნი შტაბ ისთ იეგო ვისოკ-ხატი-ტელსტვო ენერალ-ადუტანტ, ენერალ-დაიფანტე ობრუჩი, -- უპასუხებდა ხოლმე ილიკო დიდის გაჭირვებით. და ენის საშინელის მტვრევით, როცა ჰკირთხავდნენ, ვინ არის სამხედრო შტაბის უფროსადათ.

უფროსს აბრაზებდა ილიკოს მიერ წარმოთქმული აბდა-უბდა, რაც, ეჭვ-გარეშეა, სრულებით არ ეთან-ხმებოდა მის მიერ თუთიყუშივით გაზეპირებულ ფორ-მულებს და ამის გამო ლანძლვა-გინებას და ყვირილს დასასრული არა ჰქონდა ხოლმე.

— Ипъ, грузо-голопятый! Говорить не умѣеть, а ищо человѣкомъ называется!.. А интересно знать, откелева ихъ беруть такихъ неучевъ?!.. — შეარხევდა ხოლმე მხრებს გავვირვებით მეცნიერი უფროსი და გაბ-რეცილის, თვალებ მოჭუტულის და კბილებ-დაკრეჭილის სახით ეუბნებოდა: — Осель ты, осель — скажу я те!..

— უჲ, ერთი გამაკვრევინა პაჭუა ცხვირში! — შევ-კივლებდა ხოლმე უცბად ილიკო, რომელიც გრძნობდა, რომ უფროსი დასცინოდა.

— А говорить-то, говорить-то какъ?! Точно басурманъ какой.. И слова-то какія чудныя... Не то басурманскія, не то жидовскія .. А ищо хрестья-нинъ...

— აი, ქრისტე გაგიშუჩა! მენ, ქრისტე!.. აი, რა ვუთხრათ ქვენს გაღმამრეკას!.. — უბასუხებდა ხოლმე ილიკო იმავე კილოთი, რა კილოთიც უცროსი ელაპარაკებოდა.

V

თითქმის ყველა ჯარის-კაცი ამავე მდგომარეობაში იყო. მხოლოდ ილიკოს საქმე უფრო იმის გამო ჰქონდა გახათაბალავებული, რომ მისი პირდაპირი უფროსი იმთავითავე თვალ-ამრეზით უყურებდა. აი, რა იყო ამ თვალ-ამრეზის მიზეზი:

ილიკო სამსახურში რამდენიმე დღით გვიან გამოცხადდა. როდესაც როტაში გაამჭესეს, იგი ნაღვლიანი შევიდა უშველებელ „ყაზარმაში“, რომლის ცივმა და მიუკარებელმა გამომეტყველებამ უარესად დააღოჩდააძმარა. ილიკო გაბუტულივით გულ-ხელ-დაკრეფილი კარებთან აიტუნა და მიმალულ ნადირივით შებლ-ქცეშ გამოიყურებოდა. ამ დროს მიუახლოვდა ერთი რაღაც სულიერი. როგორც სჩანდა, ის სულიერი კაცთამონათესავე უნდა ყოფილიყო. ილიას ამისთანა სახის აღამიანი თავისს სიცოცხლეში არსად ენახა.

ის იყო ერთი ახმახი აგებულების ადამიანი, განიერ მხარ-ბეჭიანი და უშნო მოყვანილობისა. კისერი სულ არ ეტყობოდა, ასე რომ ყურები თითქმის მხრების პირდაპირ ესხა. უშველებელ სახეზედ, რომელზედაც ბუსუსიც-კი არ მოიძებნებოდა, შიგ შუა გულს. წამოსკუპებულიყო დიდ მეჭეჭივით რგვალი ყალიბის ხორც-მეტი, მოლურჯ-მოწითალო და ისე შბზინავი, გეგონებოდათ, განგებ ზეთით დაუზელიათო. აქეთ-იქით ამ ხორც-მეტს ორი ჭაწაწინა ნაჩვრეტები ჰქონდა. ამ ნაჩვრეტებიდამ რაღაც ჭრელი ცხოველები გამოიყურებოდა.

ილიკო მიპხვდა, რომ ეს ხორც-შეტი ცხვირი იყო და
ნაჩრეტი-კი---თვალები.

შუბლილან დაწყობილი მხრებამდის ამ ადამის შვილს
ნარ-ეკალას მსგავსი ჯაგარი ესხა, რომელიც, ვინ იცის,
რა ჯიშის ცხოველს არ ივრდომებდა. თვის უტეს ჭალაში..

ილიკომ და ამ სულიერმა გაშტერებ-გაკვირვებით
დაუწყეს ერთმანეთს ცქერა. ერთის გაკვირვების მიზეზი
ხომ ვიცით,— მეორისა კიდევ ის იყო, რომ ილიკო არც-კი
შერჩეულა იმის მიახლოვების გამო და მუშტრის თვალით
აკვირდებოდა თავისს წინ მდგარს.

როგორაო? — იტკიცა ბატონმა ეფრეიტორმა
(ეს გახლდათ ეფრეიტორი, -ე. ი. პაგონზედ ცალ ძაფ-
გადავლებული ჯარის-კაცი.) ვიღაც გუშინდელი მოთრეუ-
ლი ჩემს წინაშე დოინჯ-შემოყრილი სდგას და დაცინვით
მიყურებს, იმის მაგიერ; რომ სარივით გამოიჭიმოსო..

ილიკოს მართლა ლიმილი მოუვიდა ამ უცნაურის
კაცის დანახვაზედ. მერე, როცა ამ სასაცილო არსე-
ბამ გაჯავრების ნიშნად ტუჩების ცმაცუნი მოაყოლა,
ხმა უცნაურად ააფლურტულა და, სახე გაჭარხლებულმა,
აქეთ-იქით ტორტმანი დაიწყო, ილიკომ, თუმცა ნაღვ-
ლიანად იყო, სიცილი ვერ შეიკავა, რაღგანაც ბუნებ-
რივმა სიმზიარულემ დასძლია და ჩუმ-ჩუმად ჩაიცინა..

— Чаво смеєтесь?! — ჰეკითხა ეფრეიტორმა:

ძიბძიბაძემ რომ ეს უცნობი სიტყვები გაიგო,
ეფრეოტორის კილო ისე ოხუნჯური ეჩვენა, რომ გული-
ანად გადიხარხარა.

ეფრეიტორი შეხტა და შემოტრიალდა.

— Чаво горланишь? — ჰუციროდა იგი. --- Ахъ ты
сукинъ-сынъ, ты эдакий... Горланитъ, точно труба

ярихонская!.. — ам სიტყვებით იგი სწვდა ილიას მხარში
და თავისაკენ მიზიდა. ილიკოც მიჰყვა და თან კვლავ
იცინდა. მათ გარშემო სხვა ჯარის-კაცნი შემოეხვივნენ
და გულის ფანცქალით თვალ-ყურს ადევნებდნენ, რითი
გათავდებოდა უფროს-უმცროსის ძიძგილი.

უფროსმა განიზრახა, ილიკო წინ წაეყენებინა და კისერში
მუჯლუგუნი წაეკრა. მაგრამ ამდროს ილიკომ უკანიდან
ფეხი გადაუდო, გამოსდო სარმა, თანაც გულში ხელი
ჰკრა და ეს უზარმაზარი ადამიანი მიწაზედ გალართხა.

ყაზარმაში ერთი ურიამული შეიქმნა. ილიკოს გარს
ბიჭები შემოეხვივნენ. ზოგი ეუბნებოდა: — ყოჩაღ ყოჩაღ!..
ახია მაგისთინა ავყია ადამიანისათვისო... ზოგმა კიდევ
დანანებით მიჰმართა, — ბიჭო, ეგ რა ჰქენ, ეფლეიტორის
გალახვა ვის გაუგონიაო.

— ეფლეიტორი საჭმელია თუ სასმელი? --- ჰკითხა
ბიჭებს ილიკომ ლიმილით.

— აი, ახლავე გაიგებ, რა ხილიცაა — უპასუხა ერთმა
მათგანმა.

ამ დროს ილიკოს მიუახლოვდა რამდენიმე ჯარის-
კაცი, რომელნიც ერთმანეთს საშინლად ჰგავდნენ.
თითქმის ყველანი უწვერ-ულვაშონი იყვნენ, ქერანი;
ცხვირი ყველას პაწია რგვალ ღილივით ჰქონდა. პაგონებზე
ამ ჯარის-კაცებს ზოგს ორ-ორი, ზოგსაც სამ-სამი
თეთრი ძაფი ეკერათ. მათში ისიც ერია, რომელიც
ილიკომ წააჭირა. უფროსების მიახლოვებისათანავე
ბიჭები ილიკოს ჩამოეცალნენ და გამოიჭიმნენ.
გალახულშა დანარჩენებს ილიკოზედ მიუთითა და თანაც
დაუმატა — „Вотъ, эвтотъ бывлъ“-ო. ერთი იმათგანი,

რომელსაც პაგონებზედ სამი ძაფი ეკერა, წინ წამოდგა და დაუწყო ილიკოს ხელების ქნევა და აურ-ზაური.

ილიკოს არ ესმოდა, რას ეუბნებოდა ეს სამ-ძაფიანი რუსი, თუმცა კი მიხვედრილი იყო, რომ ლოცვა-კურთხევას როდი უგზავნიდა იგი ილიკოს დედ-მამას, რადგანაც სიტყვა „სუკინსინ“ ხშირად ესმოდა. ილიკომ იცოდა, რასა ჰნიშნავდა ეს სიტყვა და აქედამ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ სამ-ძაფიანი მას ლაზათიანად ლანძღავდა.

— რას ილანძლები, რუსო!..—უპასუხა ილიკომ ამრეზით.—მე რათა ვარ „სუკინძი“? თითონ შენ „სუკინძი“ და არც-არა-იცი-რა...—უფროსებმა ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს და ილიკოს მამა-პაპურად შეუკურთხეს. ძიბიბაძეს-კი აქეთ-იქიდან ბიჭები გამოელაპარაკნენ და ურჩევდნენ—პასუხს ნუ შეუბრუნებ, უფროსები არიან, საქმე ცუდად წაგივაო.

ვინ იცის, რითი გათავდებოდა ეს სასაცილო ამბავი, ყაზარმაში რომ ოფიცერი არ შემოსულიყო. მოყაყანენი მაშინათვე დაიშალნენ. სამ-ძაფიანი-კი, რომელმაც, ოფიცრის დანახვაზედ, უეცრად დაიძახა «სმირნა»-ო, საშინლად გაიბლინდა, მარჯვენა ხელი საფეთქელთან მიიტანა, მიუახლოვდა ოფიცერს და აუწყა,—ერთმა ახალ-მოსულმა ჯარის-კაცმა ეფრეიტორი გალახაო; თანაც ილიკოზე მიუთითა.

ოფიცერმა წარბები შეიჭმუხნა. და ილიკოსაკენ რამ-დენიმე ნაბიჯი გადადგა.

— რუსული არ ვიცი?—ჰკითხა მან ენის მოკიდებით.

— არ ვიცი, შენი ჭირიმე—მიუგო ილიკომ ლიმილით და თანაც, სხვების წაბაძვით, ისიც გამოიჭიმა.

Позовите Зарубанидзе—გასუა ბრძანება ოფიცერმა.

ზარუბანიძეს დაუძახეს. ეს გათლდათ ორის წლის ნამსახური ჯარის-კაცი; ოდესმე—შარეულობაში ცოტა-თდენი რუსული ესწავლა და კაცებს გაჭირვებაში იგი იყო ხოლმე თარჯიმანი.

— Нука, спроси его, какъ онъ смѣлъ обидѣть старшаго?—უთხრა ოფიცერმა ზარუბანიძეს.

— შენა გკითხავენ—მიუბრუნდა ოფიცრის წინ სარივით გამოჭიმული ზარუბანიძე ილიკოს.—რავა გაბედე-თქვა და აბიდა აჭამე-თქვა სტარშის.

— აბედისა-კი არაფერი ვიცი, შენი ჭირიმე და... იმას-კი მოგახსენებ; რაც მე და მაგ კაც-შუა საქმე მოხდა— უპასუხა გულუბრყვილო კილოთი ილიკომ.

— ვინ კაც-შუა?—ჰკითხა ზარუბანიძემ.

— აი, ეგ კაცი—ილიკომ გალახულზედ მიუთითა.

— რავა ლაპარიკობ შენ, ჩემო ძამია?—მაგი შენი სტარშია, უფროსია; მაგი, კაცი-კი არა, ეფრეიტოლია?— მიმართა ზარუბანიძემ ილიკოს, ცოტა არ იყოს, გაგული-სებით.

— იყოს, შენი ჭირიმე... მე ხომ არ ვართმევ...

— ნუ ხვანცარიკობ, შენ!... აქ ხუმრობა-კი ნუ გგონია... აქ ვოენი სლუჟბაა... მართალი უნდა თქვა, ივარა კარცერში გატუციებენ...—გაუცხარდა ილიკოს ზარუბანიძე.

— რატომ არ ვიტყვი მართალსა, ქმაო... მართალში-რას მაძლევ, ტყუილში რას მამცემ?.. ლმერთმა შეარცხვინოს ტყუილის მოლაპარაკე!.. ტყუილი რა საკად-რისია...

— О чём вы такъ долго лапаракаете?—
Зукоюба ზარუბანიძეს ოფიცერმა მოუთმებლობით.

— Онъ, ваши благародіа, такъ ლაპარიკობს,
что не можимъ паниматъ...

— Ну, какъ же ты не понимаешь? И ты
грузинъ и онъ грузинъ.

— Я имеретинецъ, ваши благародіа—უბასუხა,
ცოტა არ იყოს, სირცხვილისაგან შეწითლებულმა ზა-
რუბანიძემ.—კაცოდა... არ იტყვი, რავა იყო საქმე?—მიუბ-
ბრუნდა იგი ილიკოს.

— ასე იყო, შენი ჭირიმე, რომა ეგ კაცი,—ფრაი-
ტონია თუ რაღაცაა,—მოვიდა, ხელი მომჭიდა, მეგონა
ჭიდაობა უნდა-მეთქი, მეც ხუმრობით სარმა გამოვკარ,
და წაიქცა. აბა, რა ვიცოდი თუ უფროსი იყო,—კაცი
ეს არის ახლა, მოველი,—არც უფროსები ვიცი და არც
უმცროსები.

— Онъ гаварить, ваши благародіа,—დაიწყო
გაჭირვებით ზარუბანიძემ—что фрейторъ боротся
хочить хотѣль, визаль его рукми. Онъ сдѣ-
лалъ сарму, ваши благародіа, фрейторъ впалъ.
Маладой салдатъ,ничаво не знайтъ, гаваритъ
сичасъ пришелъ гваритъ изъ деревніа.— გაათავა რის
ვაი-ვაგლახით და ოფლის-სხმით ზარუბანიძემ.

ოფიცერი მიჰევდა საქმის ვითარებას. მუშტრის
თვალით შახედა ილიკოსაც და გალახულ ეფრეიტორსაც,
ლიმილი მოუვიდა, როცა შეადარა სხარტი, მოხდენილი;
მიხრა-მოხვრით მოქნილი შავ-თმა, ახლად აჯეჯილებულ
წვერ-ულვაშიანი ძიბძიბე უშნო და ზალაუნია ეფრეი-
ტორს. მას თვალნათლივად წარმოუდგა ეს ბაყ-ბაყ მდევი

მიწაზედ გალართხული და ამ წარმოდგენამ მის ტუჩებზედ შეთამაშებული ღიმილი სიცილად გადააჭკია. მაგრამ თავი შეიკავა და დარიგების კილოთი ილიკოს რაღაცა უთხრა. როცა გადაუთარგმნეს, ძიბძიბაძემ შეიტყო, რომ უფროსის გალახვა ამ რიგობაზედ ეპატიება, რადგანაც ჯერ გამოუცდელია, მაგრამ ამიერიდგან პატივისცემით უნდა მოექცეს უფროსებს, — სხვათა შორის გალახულსაც, და, თუ — ვინიცობაა — კვლავ შეემთხვა ამისთანა ამბავი, სასტიკად დაისჯება.

VI

ეს იყო და ეს. ამ დღიდან გალახული უფროსი სულ ცუდის თვალით უყურებდა გამარჯვებულ უმცროსს და, რითიც-კი შეეძლო, მაგიერს უხდიდა. ილიკოს ყოფას ერთორად ის ამწვავებდა, რომ იგი გალახულის ეფრეიტორის განყოფილებაში ჩარიცხეს; ამრიგად, როგორც პირდაპირი უფროსი, ეს ეფრეიტორი მუდმივ თვალ-ყურს ადევნებდა მეცანინეობაშიაც, დასვენების დროსაც, ჭამა-სმაშიაც და თითქმის ძილშიაც-კი. რაღა თქმა უნდა, უფროსს ყოველთვის შეეძლო დაეჩაგრა ილიკო — ელანძლა, ეწვალებინა და სხვაფრივ სიცოცხლე გაემწარებინა. მხოლოდ ეს იყო, რომ ცემას ვერ უბედავდა.

როცა ჟინი წაიტყუებდა და რჯულზედ უმტკიცესს ჩვეულებას ილიკოს შესახებაც სცდიდა ხოლმე, — ილიკო ისე უბრიალებდა თვალებს, რომ უფროსს ფეთება მოსდიოდა — ხიშტი არ მაძეროს ამ თავზედ ხელ-ალებულმაო, და სირცხვილით თავის განზრახვას. მყისვე მიაფუჩეჩებდა ხოლმე, როგორც უკვე ვნახეთ. კარგად ახსოვდა პირვანდელი მიწაზედ გაშლა ამ „,ჩორტ-გრუზო“-საგან. ილიკოს ბრაზი მოსდიოდა ხოლმე, მაგრამ რას გააწყობდა?

იძულებული იყო თავი შეეკავებინა, რადგანაც თან-და თან მიჰვდა, რომ სამხედრო სამსახურში მოჩილებაა საჭირო, ძალით ვერას გახდები და შეიძლება სამუღამოდ თავი გაიუბედურო. ძიბძიბაძეს ის უფრო ჰქონავდა, რომ იმის გამო ხშირად სხვა ამხანაგებიც შავს დღეში ვარ-დებოდნენ; გაგულისებული უფროსი რასმე მოიმიზეზებდა ხოლმე და, ვითომ და სამსახურის გამო, დაუწყებდა წვალებას; გვერდში სხვეებსაც ამოუყენებდა,—გვიან მო-მოსულებს, გაუწვრთვნელებს,—რომ ოფიციებმა ეჭვი არ ამართვან, გამოცდილ ჯარის-კაცს პირველ-დაწყებითი სწავლით ტყუილად აბანდებო.

ამ მდგომარეობაში ილიკომ ექვსი თვე გაატარა. სამძიმო იყო მისთვის ბედის ასეთი ცვალებადობა. უცბად მოსწყდა თავისს საყვარელ სოფელს, ტოლ-ამხანაგებს, ცხოვრების ჩვეულ წესსა და რიგს და სრულიად უცნობ და შეუფვისებელ გარემოებათა შორის მოექცა. ერთის სიტყვით, ცხოვრების ფარგალი ძირითადად შეეცვალა. ამის გამო, მეცადინეობისა თუ დასვენების დროს, მუდამ თვალ-წინ თავისი სოფელი, მშობლები, სწორი და ამხანაგი ედგა.

მაგრამ ხშირად ყველა ამ წარმოდგენას ჩრდილში ახვევდა ხოლმე ერთი სულიერის სახე. ეს სახე მუღამ განუ-შორებლივ თანა სდევდა და ყოველთვის გაჭირვების დროს მფარველ ანგელოზად ევლინებოდა. ბევრჯერ შეუკავებია ამ სახის წარმოდგენას გააფთრებული ილიკო და ბევრჯერაც შეუშლია ხელი, რომ თავზედ ხელ-აღე-ბული საქციელი არ ჩაედინა.

ეს იყო სახე. საყვარელ ჭრელ-თვალა ნინოსი, რომ-ლის სიყვარული ილიკოს, როგორც იყო, აძლებინებდა-და ტვირთს უმსუბუქებდა. ეს სიყარული რომ არა ყოფი-

ლიყო, შესაძლებელია, ილიკოს თავი არ დაეზოგა და, გულ-ზედ მოსულს, მტრის ჯავრი ეყარა. მაგრამ ის იმედი, რომ, საცის წლის შემდეგ, ეს არა-სანატრელი მდგომარეობა მყუდრო, ტკბილ ცხოვრებად შეიცვლებოდა და მუდამგანუშორებლი იქნებოდა სასურველ ნინოსთან, — ყველა უსამროლოებას ათმენინებდა. როცა-კი ნინო წარმოუდგებოდა ხოლმე, ასე ეგონა ქალის სახეზედ რაღაც ნაღვლიანი ვეღრება იყო ალბეჭდილი, თითქოს ეხვეწებოდა --- «ჩემთვის მაინც გაუფოხილდი შენს თავსაო.»

საკვირველი იყო მისი და ნინოს სიყვარული. პირველსავე შეხვედრაზე ერთმნეთისაკენ ისე გაიწიეს, თითქოს დიდის ხნის ტრფიალნი ყოფილიყვნენ. მართალია, წესი და ჩვეულება სოფლისა, კრძალულება და მორიდება მათ დობესავით შეა ჰყოფდა, მაგრამ ორივეს გული ერთმანეთისაკენ ისწრაფოდა. სიტყვა არ დაძრულა გოგობიჭის შორის ცოლჭმრობის შესახებ, მაგრამ ილიკო მაინც დარწმუნებული იყო, რომ ნინოს უყვარდა და სხვას არავის ცოლად არ გაჰყებოდა.

პირველად გოგო-ბიჭმა ერთმანეთი ქორწილში ჰნახეს. ილიკოს ერთ-ერთმა ამხ-ნაგმა საცოლე მახლობელ სოფლიდან მოიყვანა და იმ ქორწილში ილიკო მაყრად იყო. აი სწორედ აქ შეჰვედა ილიკო ნინოს. თითქმის მთელი დღე ნინო და ილიკო ერთსა და იმავე ოთახში იყვნენ, მაგრამ ერთმანეთი არ შეუნიშნავთ. მხოლოდ, სმის შემდეგ, როდესაც ქალებმა დაირა-ბუჭიე გააჩალეს და ახალგაზდა ბიჭები თამაშობაში ჩაერიცნენ, — უეცრად ილიკომ თვალი მოჰკრა სირცხვილისაგან თავ-ჩაქინდრულ პატარძალთან მდგომარე ქალს, რომელსაც მისკენ გაეშ-

ტერებინა ფირზზივით ლურჯი თვალები და იგი თითქოს
მიზანში ამოელო.

სწორედ ამ დროს ილიკოს ერთი ამხანაგი ბიჭი-
ეხვეწებოდა, ლეკური ითამაშეო, ილიკო უარზე იდგა,
ვიდრე ნინოს სახეს თვალი არ მოჰკრა. ილიკომ კითხვა-
არ იცოდა, მაგრამ ალბად მეტად ოსტატური ხელი სწე-
რდა ქალის სახეზედ საგულისხმიერო სიტყვებს, რადგანაც
ყმაწვილმა ბიჭმა აშკარად ამოიკითხა შემდეგი: „რაღასა
ნაზობ? ითამაშე და მეც. მათამაშე“—ო. ილიკომ ბევრი-
ალარ აცდევინა, ლაზათიანად გაშალა ხელები და დაუ-
არა... დაუარა და ნინოს დაუკრა თავი. ნინომ თავი-
დახარა, მთლად გავარდისფერიანებულმა, და უკან დაიწია,
თითქოს დამალვას აპირებსო, მაგრამ იჭვე მდგომარე
ქალებმა ხელი ჰქონდა, წრეში გამოაგდეს და თანაც მია-
ძახეს!— „იი ქა! რაღას იპრანჭები? ხო ვიცით, თამაშობისა-
თვის სული მიგდის“,—ო.

გაჩალდა საგანგებო ლეკური. ბიჭი იყო კარგი,—
გოგო უფრო უკეთესი. მაყურებელნი ალტაცებით ტაშ-
უკრავდნენ და მოთამაშენიც არაფერს ჰქონდნენ უნა-
რის. გამოსაჩენად.

გოგო-ბიჭი ის იყო თამაშობის ეშეში შევიღნენ,
რომ მოულოდნელად ვილაც მოხუცის ხმა მოისმა:

— ერიპა! რა საცოლქმრო გოგო-ბიჭია-და! ჰაი,
თქვენი გულისა, თქვენი!..

უცბად შემკრთალი და სახეზედ აღმურ-მოდებული-
ნინო ქალის ჯგუფში. მიიჩქმალა. არც თუ ილიკო გა-
დურჩა სირცხვილს... იმანაც თავი ანება თამაშობას და შემ-
დეგ ხელი ალარ გაუშლია, თუმცა თამაშობაშიაც და

შიმლერაშიაც პირველთაგანი იყო. იდგა ერთ ადგილას და გაფაციცებით ათვალთვალებდა იმ ჭრელ-თვალა გო-გონას, რომელმაც დღეს პირველად გული უცნაურის ძერით აუთამაშა. დედაკაცების შიგ შუა ჯგუფში კარ-გად დაინახა ორი თვალი, მისკენ ცეცხლის მტკორცნე-ლი. ეს ნინოს თვალები გახლდათ. გოგოსაც, თვისდა-უნებურად, თვალი ვერ მოეშორებინა ილიკოს ახოვნე-ბისათვის.

შეხედულობით ნინო და ილიკო საოცრად განსხვა-ვდებოდნენ. ილიკო იყო მაღალ-მაღალი, წელში წვრი-ლი, განიერ მხარ-ბეჭიანი, ბრე ახალგაზდა; შაგვრემანი, შავ-თვალება, ახლად აჯეჯილებულ წვერ-ულვაშიანი და ყორნის ფრთასავით შავ გრუზა თმიანი. მოძრაობა ჰქონდა სხარტი, გაბედული. ნინო-კი ქერა თმიანი იყო, ჭროლა თვალებიანი და თეთრ-სახიანი. ლოყები ატამი-ვით ბუსუსიანი ჰქონდა და თურაშაულ ვაშლივით აწი-თლებული. იგი იყო შუა ტანისა, მხარ-ბეჭიანი და გულ-მკერდ გადაშლილი. სიცილის დროს პაწია, მსუქანი, ვარდის კოკორივით შეკრული. ტუჩები შუა ეპობოდა ხოლმე და ბაგეთაგან მოსჩანდა ორი წყება ლამაზად მიწყო-ბილის კბილებისა, რომელიც ალმასივით ციალებდა.

იქნება კვლავ ვერსად შეხვდეთ ჩვენს გლეხობაში ასეთ ტიპიურს განსხვავებას ორის აღამიანისას, ერთსა და იმვე დროს თანასწორად ლამაზ და მოხდენილისას. შეიძლება სწორედ ეს ხორციელი თავისებურება იყო მიზეზი, რომ ამ ორმა ლალმა შვილმა ლალის ბუნებისა ისეთი ძლიერი მისწრაფება იგრძნო თავთავიანთ გულში ურთიერთისადმი. დიალ, ილიკო და ნინო მაშინათვე დარწმუნდნენ, რომ ერთმანეთისათვის არიან ქვეყნად გაჩენილნი და თითოე-

ულმა ამ აზრის განცდა მეორეს ანიშნა იმ ელექტრონი-
სებრურის ძალის შემწეობით, რომელიც თვალისათვის-
უხილავია, მაგრამ გრძნობისათვის-კი აღვილად მისაწილი-

VII

თუმცა ილიკოს ნინოს სიყვარული ასულდგმულებდა-
და იმედით ავსებდა; მაგრამ ამასთანავე ის შიშიც აწუ-
ხებდა, ვაი თუ ნინოს მშობლებმა „სალდასტობის“
გათავებას არ დაუცადონ და გოგო გაათხოვონო. ეს ფი-
ქრი მით უფრო აღვილი მოსასვლელი იყო თავში, რომ
ნინო ჰასაკს უკვე მისწევნოდა და იმისთანა თვალის-ჩი-
ნიან გოგოსათვის საჭმრო არ დაილეოდა. მართალია,
გოგო-ბიჭის მშობლებს უკვე ჰქონდათ ერთმანეთში მოლა-
პარაკება, მაგრამ ეს მოლაპარაკება ისევ დამში იყო,
როცა ილიკო ჯარის-კაცუად გაიწვიეს. ილიკომ მშობლებს
ხვეწნა-ვედრება დაუტოვა,— მაგ გოგოს ნუ დამიკარგავთო,
ის-კი დანამდვილებით. არ იცოდა, დაიყაბულებდნენ
ნინოს მშობლებს, თუ არა, რომ „სალდასტობის“, გათ-
ვებამდის ეცადნათ. ასეთს გამოურკვეველ მდგომარებაში
იყო ილიკო და იმედად მხოლოდ ის-ლა უბჟუტავდა;
რომ გული წამ-და-უწუმ ეუბნებოდა,— ნუ გეშინიან, ნინოს
უყვარხარო. ამასთანაეე ოცნების ძალით მოვლინებული-
სახე ქალისა როგორლაც უცხოველებდა. ხოლმე ამ იმედს და-
ამ რიგად საწყალი ბიჭი გულის ტკიფილს იყუჩებდა.

ამას გარდა, ძიბძიბაძე მეტის-მეტი მხიარულის ხასი-
ათისა იყო, მოთამაშე, მომღერალი, მოლხინე, ასე რომ
ამხანაგებს ძალიან უყვარდათ. თვით მისი ფეხის პირველი
შედგმა ყაზარმაში ისეთის ამბავით დაიფერა, რომ
ილიკომ უნებლიერ ამხანაგების გული მოინადირა.

შეოლოდ ერთი უფროსი იყო, ომექლთანაც ძიბძიბადეს დღითი-დღე-დამოკიდებულება თან-და-თან უმწვავდებოდა. არც თუ ძალიან ძნელი იყო შეურაცხყოფილის უფროსის მოთვინიერება, ილიკოს რომ საამისო უნარი და თინთლიბაზური ხასიათი ჰქონოდა. ხან-და-ხან რომ მახლობელ სამიკიტნოში გაეწვია და კვირაში ერთხელ მაინც ჩაეცეცხლებინა პილატეს ცრემლი, ან თუთუნი შეეთავაზებინა, — როდესაც უფროსი გუნებაზედ ბძანდებოდა ხოლმე, — ეფრეიტორი ხლოპოტოპოვი (ეს იყო მისი გვარი) ცუდ სიზმარიცით დაივიწყებდა ხელჭვეითის თავ-ხედობას. მაგრამ ილიკო ვერ ახერხებდა ამისთანა გაგორ-გამოგორებას ის კაცის შესახებ, რომელიც ინსტინქტიურად სძაგდა, თითქოს დაბადებიდანვე თან დაპყოლოდა ეს სიძულვილი, ვით მემკვიდრეობითი გრძნობა ზღვევისა, მამა-პაპათა შუღლის გამო. ხლოპოტოპოვი მიხვედრილი იყო ამ სიძულილს და, რაღა თქმა უნდა, მაგიერს უხლიდა. სწორედ იმ დროს მოუწამლავდა ხოლმე მტრობის შხამით საცოდავ ბიჭს სულსა და გულს, როცა ილიკო ტკბილ ოკნებაში იყო ხოლმე.

აი, მაგალითად, ერთხელ რა დღე დამართა.

ის იყო, ილიკო საღილს მორჩა და ლოგინზედ წამოწვა თვალის მოსატყუებლად, რადგანაც წინა ლამეს უძილარი იყო დარაჯად ყოფნის გამო. დალლილ-და-ქანცულს მალე ჩაეძინა. ჩაეძინა და დიდი მაღლობელიც იქნებოდა, რომ არც გამოპლვიდებოდა. ძილში ისეთი სიზმარი ნახა, რომელმაც უნეტარესს სიტებოებას მიაწვდინა. ილიკოს ესიზმრა, ვითომც სამსახურის გათავების დღეა. რაც ყავლ-გასული ჯარის-კაცებია, ერთად არიან დამწკრივებულნი და უფროს თვიცრის გამოსვლას მო-

ელიან. ყველას სახე ერთნაირის შუქით აქვს გასხივოსწებული, თითქოს იმოტელა ხალხი ერთ ადამიანად გადაქცეულიყოს. თითოეულს მათგანს ერთი ფიქრი უჩრდილავს გონებას, თვალშინ ერთი და იგივე სურათი ეხატება; მთლად დაჰვიტყებია აწ განვლილი მწუხარება, სიძნელე სამსახურისა, უკმაყოფილება უფროსებისადმი და მტრულად როდილა უყურებს.---ავად იყო თუ კარგად, მაღლობა ღმერთს, ხომ გავაჩანჩალე ჩემი გზა და ახლა ყველას ღმერთმა ხელი მოგიმრთოთ—ავსაც და კარგსაც—აი, რას ამბობს თითოეული მათგანი თავის გულში. აი, უფროსიც მოდის. ჯარის-კაცნი გამოიჭიმნენ. ერთხელ კიდევ,—ეს გამოჭიმვა უკანასკნელია.

გაისმა აღელვებულის უფროსის ხმა: „მომილოცავს ძვანო, განთავისუფლება!.. მაღლაბელი ვარ სამსახურისათვის... გისურვებთ, რომ თავისუფალს ცხოვრებაშიც ისეთივე კარგნი იყვნენ, როგორც აქ, სამსახურში, იყავით კარგნი“.

მთა და ბარი-შეირყა, ისეთი ხმა გამოსცა ამოტელა ხალხის. გროვამ უფროსის საპასუხოდ. ჰყვირიან-კი, რაც ძალი და ღონე აქვთ, და იმას ვინ დაგიდევს, ვინ რასა ჰყვირის... ზოგი მაღლობას იძახს, ზოგი, ვინ იცის, იქნება ილანძლება კიდეც—რას გაარჩევ ამისთანა ძახილში? აი, სამხედრო მუსიკამაც დაჰკრა: დაიძრა განთავისუფლებულთა გროვა და გზისაკენ გაემართა. მათ უკან ამხანაგები დაედევნენ დაღონებულ-დაძმარებულის სახით. ზოგი მოკითხვას აბარებს შინ, ზოგი დღესასწაულებში ჩამოსვლას, ზოგი რას და ზოგი რას.

ამ ამბით ქალაქს გავიდნენ. მუსიკა და ჯარის-კაცნი შინ დაბრუნდნენ. განთავისუფლებულნი ერთმანეთს გამოეთხოვ-

ნენ, ნაწილ-ნაწილად დაიყვნენ და ხხვა-და-სხვა გზას გაუდგნენ.

ილიკოც გამოეთხოვა ამხანაგებს, რომელთანც სამის წლის განმავლობაში ერთ უღელსა სწევდა, ერთ ჭირ-ვარამს იზიარებდა,—გამოეთხოვა და მარტოდ-მარტო თავისს სოფლის გზას დაადგა, მაგრამ არა სჯერა, რომ სახლში მიღის, არა სჯერა, რომ თავისუფალია; როგორლაც ეხამუშება კიდეც ეს ახალი მდგომარეობა, ასე ჰქონია, უცნაურ სიზმარში ვარო, და ეშინიან, ვაი თუ მალე გათენდეს და ეს საამო ზმანება დღის სინათლეშ თან წარიტაცოსო. ვიდრე ამხანაგებთან იყო, ვერც-კი გრძნობდა იმ სიხარულს, რომელიც ახლა მთელს მის არსებაში ფართხალებს ახლად დაბადებულ ჩიტის ბლარტივით. ათასი აზრი, ფიქრი, წარმოდგენა, ერთად მოაწვა, ერთსა და იმავე დროს მოსთხოვა პასუხი, ასე რომ ილიკოს ჟავთრები აერია, თვალების წინ სივრცეში რაღაც აუთამაშდა, მერე ეს რაღაცაც უეცრად გაჰქრა და თითქოს აღარც სივრცეა, აღარც სიხარული, აღარც თოთონ არის...

VIII

ცოტა ხანს უკან ზმანება კვლავ გაგრძელდა.

ილიკო სახლშია. რაღაც არა ჩვეულებრივი. მოძრაობაა, ფუსფუსია. ყველანი ფაცი-ფუციში არიან: აქ ცხვარსა ჰკვლენ, იქ პორს აცხობენ, მარანში ქვევრები დაუხდიათ. სახლი, ეზო, თითქმის ბოსელიც-კი ისეა დასუფთავებული, თითქოს აღდგომა ყოფილიყოს, სახლში ყველგან ქეჩა-ხალიჩებია დაფენილი. ძმებს, მშობლებს, ნათესავებს—ყველას—ახალი ტანისამოსი აცვია. ილიკოც თავით ფეხამდე სადღესასწაულოდ არის გამოწყობილი: აქლემის ყელის-ფერი ახალი ჩოხა აცვია, ბუზმენტებით და

ჩაფარიშებით მორთული, ცის-ფერი ფარჩის ახალუხი და წელზედ მოვერცხლილი ქამარი არტყია; ფეხს ქალამნების მაგიერ. ყელიანი ჩუსტები უმშვენებს, აბრეშუმის ჩახსაკრავებით წვივებში დამაგრებული.

აი, მოისმა სიმღერის ხმა და ეზოში შემოვიდა ათიოდე. ახალგაზდა ბიჭი. იქაურობა მაყრულის გუგუნმა მთლად დაიყრუა. ყველიანი ილიას შემოეხვივნენ, შუაში მოიქციეს და მერე ალაყაფის კარებისაკენ გასწიეს. კარებთან შეკმაზული ცხენი დაპხვდათ. ზედ ილია შესვეს და მაყრულის ძახილით შარას გაუდგნენ.

ილიკო გაკვირვებას ეძლევა, — ეს რა ამბავიაო? მაგრამ, თითქოს გამუღავნებისა რცხვენოდეს, ხმას არ იღებს და სულ-გაკმენდილი ასრულებს ტოლ-ამხანაგთა სურვილს. მომღერალთა გუნდი სოფელს განშორდა, ხევს გადავიდა და მეორე სოფლის აღმართს შეუდგა, — სწორედ იმ სოფლისას, საღაც ნინოს მშობლები ცხოვრობენ. აი, სოფელში შევიდნენ და გულ-და-გულ ეკლესიისაკენ გასწიეს.

— რა ვქნაო? — ფიქრობს ილიკო. — ეს ხომ ქორწილსა ჰგავსო... მაგრამ ჯვარს ვისა სწერენ? თუ მე ვარ მეფე, მე ხომ ჯერ სალდათობა არ გამითავებია... თუ არა და ეს... — აქ ილიკოს უნდოდა ერთ-ერთის ამხანაგისათვის ეკითხნა, — კაცო, რა ამბავიაო — მაგრამ ამ დროს. ეკლესიის კარებსაც მიადგნენ. სიმღერა შესწყდა. ეკლესიის ეზოში ხალხი იყო შეგროვეილი; აქა-იქ დედაკაცებმა ჩურჩული დაიწყეს: «ქა, ქა... უყურე, ნეფე მოვიდა... ნეფე მოვიდა!.. იი, რა შავტრუხა ბიჭია!..»

ილიკოს შერცხვა, ისე შერცხვა, რომ შეტბლიდან

ოფულის ნაში დასკვდა. ყური მოიყრეა და ორის
დღის პატარძალივით თავი დახარა. ამასობაში ეკლესიაში
შეიყვანეს და შუა ადგილას გააჩერეს. ამავე დროს მეორე
კარებიდან ახალგაზდა გოგოებმა ვიღაცა ქალი შემოიყვა-
ნეს და ილიკოს გვერდზედ მოუყენეს. ილიკო ჰერმინობს,
რომ გვერდზედ ქალი უდგა, მაგრამ ეშინიან, — ვერ შეუ-
ხედნია. ბოლოს მოიკრიბა ძალ-ლონე და ანაზდე-
ულად თვალები გვერდზედ გააპარა. იმავ წუთს ილი-
კომ იგრძნო, რომ თვალებში რაღაც შუქი ეძერა,
თითქოს მოულოდნელად ეკლესიაში ასი-ათასი სან-
თელიანი ხომლი აალაპლაპესო. აქამდე ოდნავად
შბჟუტავმა სანთლებმა ახლა ვარსკვლავივით დაიწყო ციმ-
ციმი. წმინდანების ხატებიც თითქოს ამეტყველდნენ და
ილიკოსაკენ მიაქციეს მომლიმარი სახენი, ასე გონია,
ბედნიერებას ულოცავენო. ილიკომ სიხარულისაგან
თითქმის მთავარი ცნება დაკარგა, — აღარ იცოდა, სად
იყო და სად არა. გრძნობდა მხოლოდ, რომ გული ჩონ-
გურივით ტკბილად უცემდა; მთელს სხეულში რაღაც
თბილი ურუანტელი უვლიდა და ისეთ სიამოვნებას აღუ-
ძრავდა, რომ მზად იყო, ლამის ეტირნა. ილიკო სრულე-
ბით ვერა ჰქედავდა, რომ ასი, ორასი თვალი მას ზო-
მავდა და ჰკეცავდა გასაყიდ ფარჩისავით. ერთად-ერთი
სურვილი, ერთად-ერთი აზრი, რომელსაც განემსჭვალა
ყმაწვილი ბიჭის არსება, ის იყო, — რაც შეიძლება მალე
გულზედ მიეკრა ის, ვინც გვერდზედ ედგა და რომელშიაც
ილიკომ იცნო თავისი. სანატრელი ნინო. იგი ყურს
არ უგდებდა არც მღვდელს, არც დიაკვანს და გარინ-
დებულივით იყო. ამ მდგომარეობიდან გამოიყვანა ვიალა-
კის ხმამ:

— ბიჭოს! რა მაღიანად დაეწაფა! ჰეი, გოზაური ხო
არა გვინია... ცოტა პატარძალსაც შეუნახე და!...

გაისმა ხარხარი. ილიკო გამოერკვია და მიჰ-
ხვდა, რომ ტუჩებთან პაწია თასი უჭირავს მღვდლისაგან
შიწოდებული ლვინის შესასმელად. მყისვე მოიხსნა პირი-
დან თასი და მღვდელს გადასცა.

IX

აქ სიზმრის სურათი კვლავ შეიცვალა. ილიკო ჰე-
დავს, ჭითომც სახლში ქორწილი უკვე გათავებულა. პა-
ტარძალი ამხანაგ ქალებმა სფდლაც გააჩარეს. მაყრებმა
კი ილიკო სახლიდან გამოაცილეს, მეზობლის ეზოში
მიიყვანეს და ანაზღეულად შემოეფანტნენ. საშინელს
მდგომარეობაშია მეფე, — სახლში შესვლა. უნდა, ისე უნდა,
როგორც მშიერს ჭამა, — მაგრამ ვერ გაუბედნია, აქეთ-
იქით ტორტმანობს და თანაც ცდილობს არავის გააგე-
ბინოს. თავისი იქ ყოფნა. ბოლოს გაბედა და ნელის ხმით
ჩახველა. ამ ჩახველებამ რაღაც სითამამე შეჰმატა, ასე
გონია, გმირობა რამ ჩაიღინაო. მერე ფეხ-აკრეფით მივი-
და კარებთან და ოდნავ დააკაკუნა. ოთახიდამ ჩუმის
ხველებით ხმა გასცეს. ილიკომ აკანკალებულის ხელით
შეაღო კარები და იქვე დირეზედ გაოგნებულივით გა-
ჩერდა.

ოთახს პატარა ლამპარი ძლივს ანათებდა და უც-
ნაურს, საიდუმლოებით მოსილს გამომეტყველებას ჰფენ-
და. ნაცრის ფრად შელესილს კედელზედ ილიკოს ჩრდი-
ლი ერთ უშველებელ ხედ გამოისახა, რომელიც, თი-
თქოს ქარი აქანებსო, აქეთ-იქით ინძრეოდა.

ნინო საქორწილო სარეცელზედ იწვა. თეთრ-საურ

გადაკრულ ბალიშზედ მისი გაწეწილი ოქროს-ფერი თმა
მარტივად ირკვევოდა. ქალი გულ-აღმა იწვა. მკერდ
ზვევით საბანი გადაპხდოდა და ქალს ჩამკვრიფებული
მკლავები და ამობურთული გული უჩნდა. რაღაც სხივ-
ნართი სისპეტაკე გადაპფენოდა ნინოს უცნაურის ძალით
მიმზიდავ სხეულს. თმის ერთ-ერთი ნაწნავი ძუძუებ-შუა
ოქროს გველივით ჩამოჰკლავნოდა და სიყვარულით ზედ
დაჰკუნებოდა. ცალი მკლავი თავ-ქვეშ ამოედო და მილუ-
ლული თვალები კარებისაკენ მიექცია.

ოთახში გამეფებულ მყუდროებას მხოლოდ ილიკოს
გახშირებული აღმოქშენა და ქალის ნაზი ფშვენა-ღა
არღვევდა. ილიკოზე არა-ნაკლებ არც ქალი იყო აღელ-
ვებული. ამას აშეარად ამტკიცებდა მისი ფეთქა და მკერ-
დის ჩქარი შოძრაობა. მეტად ცხოველ-მყოფელი იყო ეს
სურათი, მეტად ვნებათა-ღელვის ამშლელი, რომ ილიკო
დიდ-ხანს გაჩერებულიყო. ვიდრე მწოლიარე ქალს დაი-
ნახავდა, შტერივით იდგა, მაგრამ როცა. თვალი სინათ-
ლეს მიაჩვია და ქალს შეავლო, სხეულში ცეცხლის ნა-
პერწყალმა დაურბინა, უცნაურმა სურვილმა იგი მთლად
ააცახუახა, ციებ-ცხელებასავით ააბაბანა.

შესაძლებელია, სხვა შემთხვევაში ილიკოს, ამისთანა
სურათი კიდეც რომ ენახა, თავი შეეკავებინა, მაგრამ
ახლა ნინოს სხეულს ისეთი ვნებათა-აშლილობა ეტყო-
ბოდა, თანაც ისე ამხნევებდა გაუბედავ ყმაწვილ-კაცს და
უზომო სიტყბოებას ჰპირდებოდა, რომ ილიკო, როგორც
ლომი, ისე გადახტა ქალისაკენ. თანაც იმის გულიდან
ნეტარების ძალუმი კვნესა აღმოხდა. ილიკო ქალის
მკერდს დაეკონა. ოთახში გაისმა აღგზნებულ ტუჩთა

შეწებების ხმა, რომელიც ოთახის მყუდროებამ სადღაული კუნჭულში ყრუდ გაიმეორა.

ამ კოცნას სხვა მოჰყვა, სხვას კიდევ სხვა, ასე რომ
ეს ორი არსება კოცნის გრეხილად გადაიქცა. მათ უკე-
ლაფერი გარდაავიწყდათ, ისიც-კი, რომ ქვეყნად არსე-
ბობენ, რომ ილიკო და ნინო არიან, ცოლ-ქმარნი — და
შხოლოდ იმას-და ჰერძნობდნენ, რომ თავისუფლება აქვთ
მინიჭებული, ხელს არავინ უშლით დასტკბენ ერთმანე-
თის სიყვარულით და მოვალენიც არიან, — ეცადნენ, რაც
შეიძლება, მეტი სიტკბოება დასტყუონ ამ სიყვარულს.

ილიკოს თავისს სიცოცხლეში ამისთანა არა გამოეცადნა-რა. ბევრიც რომ ეფიქტნა, თავი ემტვრია,—ვერ. აგიხსნიდათ, რა გრძნობა იყო ეს გრძნობა; მხოლოდ იმას-კი გეტულდათ,—მეტად ტკბილი, შეუდარებელი რამ არისო, ასე რომ მთელს თავისს სიცოცხლეს არ დაიშურებდა, პატარა ხანგრძლივი ყოფილიყო ეს სამოთხის მსგავსი მდგომარეობა..

1

როდესაც იღიკო ამ გამოურკვეველ, მაგრამ სანეტარო წყაროს ხარბად ეწაფებოდა, უეცრად ცის რისხვა-სავით ჩამოესმა საზარელი, გაბრაზებული, გავზნებული ხმა. ამასთნავე ისიც იგრძნო, რომ ვიღაც სწვდა მხარში და ჯუნჯრუხი დაუწყო.

— Вставай, вставай-же, чортова кукла! Не слышишь что-ли, басурмановъ сынъ?! Али чортъ взялъ твою душу себѣ на потѣху?! Вставай-же!.. — гаэзуптса ხლობოტობვი.

ილიკო ფეთიანივით ზეზე წამოვარდა, მაგრამ ჯერ

ისევ სიზმრის სურათით ჰქონდა თვალები დაბნელებული-
და დღიურ სიცხადეს ვერა ჰქედავდა. მხოლოდ, როცა
კვლავ გაისმა ხლამპოტოპოვის ძახილი—პროსჩის, პრო-
ჩის-ჯე!— ა და სიტყვებს თან მოჰყვა მამა-პაპური კამარა-
შეკრული ლანძღვა, ილიკომ თვალები გაახილა, — გაახილა-
და ის თქვენს მტერს, რაც იმან დაინახა.

თუ გამოგიცდია როდისმე, მკითხველო, ზამთრის-
ცივ-ღამეში თბილ ოთახიდამ, სადაც შენთვის ტკბილად,
რბილად და მყუდროთა ხარ, გარედ გამოსვლა,— არა,
გამოსვლა-კი არა,— შენდა უნებურად, ქიმუნჯით გარედ
გამოგდება,— სწორედ იმას მიემსგავსებოდა ილიკოს გამო-
ლვიძება.

ცივ და მძაფრ ქარტეხილად ეჩვენა ილიკოს უფრო-
სის სახე და მთელი ყაზარმული მკაცრი მოწყობილება,
შავად შეჭრუჭრილი კედლებით, რომლებიღანაც გულის-
გამკვეთ მახვილივით გამოკრთოდა თოფის ცივად მოელ-
ვარე ხიშტები. მეტად დიდი განსხვავება ჰსუფევდა სიზმ-
რისა და სიცხადის შორის, რომ ილიკო არ აღელვებუ-
ლიყო. საწყალს სიბრაზე მოერია, სასულეში კოშტ-კო-
შტად რაღაც მოაწვა და სუნთქვა გაუძნელა. იგი მზად
იყო შუაზედ გაეგლიჯა ეს საზიზლარი არა-კაცი, რო-
მელმაც ხელი შეუშალა სანეტარო ზმანებას და არ დაა-
ცადა, სრული სიტკბოება ეგემნა. იქნება, ვერც-კი მოე-
ნერსებინა თავის შეკავება, რომ ამ უამაღ ნინოს სახე
ისე ახლო არა ყოფილიყო... სწორედ ამ სახის გახსე-
ნებამ იგი, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა. სამაგიეროდ
ისეთის თვალით გადახედა ხლოპოტოპოვს და ისეთი
შეუკურთხა ქართულად, რომ ეფრეეიტორმა კვლავ განი-
ცადა უკვე ერთხელ ნაჭამი შიში, ზვერ-გრუზოს მიერ

გამოწვეული. რაღა თქმა უნდა, ამის გამო ილიკო თრჯერ ზედი-ზედ ყაზარმის მორიგ-დარაჯად (დნევალნად) იყო დანიშნული.

მერე, არ იკითხავთ, რა იყო მიზეზი, რომ უფროსმა ისე გამძვინვარებით დაუფთხო ძილი ძიბძიბიძეს?

აი, რა იყო.

როდესაც გარედან ყაზარმაში შემოსული ხლოპოტოპოვი თავისს საწოლთან მივიდა, შენიშნა, რომ იქვე ფანჯარაზედ ვიღაცას საჭმლის სატანი თასი დავიწყებოდა. იქ, — ფანჯარასთანვე, — რამდენიმე ჯარის-კაცი ტრიალებდა. ხლოპოტოპოვს შეეძლო გამოეკითხნა და გაეგო, ვისი დატოვებული იყო თასი. მაგრამ ასე როდი მოიქცა. ისევ ის ამჯობინა, ძიბძიბაძე გაელვიძებინა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თასი იმას დარჩებოდა. ნამდვილად კი აღმოჩნდა, რომ თასი სხვა ჯარის-კაცს დავიწყებოდა.

XI

ეს კიდევ შედარებით წვრილმანი შარი იყო, უფროსისაგან განგებ ატეხილი უმცროსის გასაწვალებლად. ხლოპოტოპოვს უფრო ღრმად ჰახვეული მძღლვა-რება ძიბძიბაძისა და უნდოდა ისეთ მახეში გაება, რომ იგი სამუდამოდ დაეღუპნა.

როდესაც მათი „ვზვოდი“ (მეოთხედი ნაწილი როტისა) სადარაჯოდ ინიშნებოდა ხოლმე, ილიკო დიდ საფრთხეში ვარდებოდა. ხან-და-ხან ილიკოს ღამ-ღამობით უხდებოდა ორ-ორ საათობით მარტოდ დარაჯობა სხვა-და სხვა აღვილას, — მაგალითად სათოფის-წამლესთან, ხაზინასთან, ბაირალთან. სამხედრო სამსახურში დარაჯობა მეტის-მეტად პასუხ-საგები მოვალეობაა. საკმარისია

მცირე უმუყაითობა, რომ „საღისკიპლინარო ბატალიონში“ უკრან ჯარის-კაცს თავი. მუდამ ხედვა და სმენა გამახვილებული უნდა ჰქონდეს დარაჯს და ახლოს არავინ მიუშვას, „რაზვოდიაშჩი“-სა (უფროსი ჯ.-კ., რომელიც დარაჯებს აყენებს და სცვლის) და ხელმწიფის გარდა. ვაი იმას, ვინც ან ჩასთვლემავს, ან რაიმე მიზეზით თოფს ხელიდან გაუშვებს, თუ გინდა ერთის წუთით მაინც. ვინიცობაა გამოაშკარავდა ასეთი მოქმედება დარაჯისა, — გათავებულია, — სასჯელი მზად არის, — სასჯელი ულმობელი, სასტიკი.

როცა ილიკო იყო ხოლმე დარაჯად, „რაზვოდიაშჩად“, უმეტეს შემთხვევაში, ხლოპოტოპოვი ჰყავდა. დადგებოდა, თუ არა, საღარაჯოზედ, ილიკოს მოსვენება არა ჰქონდა, — ეშინოდა საიდანმე არ მომეპაროს ეფრეიტორი და შარი არ მომიღოსო. მერე, ისეთის მგლურის ძუნძულით იცოდა მიპარვა, რომ ბნელ დამეში უეცრად ცხვირ-წინ აეტუზებოდა ხოლმე.

ერთხელ, ცოტას გარჩა, ილიკოსხლოპოტოპოვი არ შემოაკვდა. საშინლად ბნელოდა. ლამე იყო ნისლიანი. უინულავდა. ილიკო სათოფის-წამლეს სდარაჯობდა. რაღაგანაც საშინლად ციოდა, ილიკო წინ და უკან გახურებული დადიოდა. სათოფის-წამლე ფერდობზედ იდგა, ყოველ მხრივ კალთები ჰქონდა დაქანებული და მიპარვა აღვილად შეიძლებოდა. მერე ფუთიანი ჩექმებიც ეცვა და ფეხების ბაქა- ბუკში სხვა მცირე ხმაურობა არ ისმოდა. თუმცა ილიკო ძალიან ფრთხილობდა, მაგრამ კაცი ხომ მანქანა არ არის, რომ აზრთა-დენა სულ ურთის რუსხმულისაკენ წარმართოს. ამ უამაღ ილიკოს ცოცხალი აღმიანის იერი უფრო სდევდა, ვიდრე გამანქანებულის დარა-

ჯისა. იგი ახლა სულითა და გულით შინისკენ მიჰვრინავდა და სადარაჯოზედ მხოლოდ მისი ლეში-ლა იყო. ან რა უნდოდა აქ ამ დროს? მოყვარეს რას უკეთებდა აქ ყოფნით ან მტერს რას უშავებდა?

მარტის დამდეგი იყო. ვენახებში, მინდვრად იმდენი მუშა ხელი ტრიალებდა. ილიკოს მამა იძულებული იყო შვილი სალდათად გაეგზავნა და თითონ-კი მუშა დაექირავებინა.

— სადაური სამართალია? — ფიქრობდა ილიკო. — რას აძლევს ჩემს მავიერს რუს-ხემწიფე ჩვენს ოჯახს? რითი უმთელებს იარას? ან რას მაკეთებინებენ აქა? ვის რა თავში უხლია, ჩვენ რომ აქ საქმეს გვასწავლიან? თოფის სროლა კიდევ ჰო, იქნება როდისმე კაცმა გამოიყენოს, თორემ ეს „მარჩიროვკა“ და სულელ კიკასავით ხელების შლა, — რაო ჩემომ? აი, ბუქნას რომ გვასწავლიან, — მე ვიცი — ზაქრუა ხარაზი, თუ უსწავლელია, ჩვენზედ უხეიროდ ჩაბუქნავს ხოლმე?! ან კიდევ, კიბეა გაკეთებული და ზედ ისე ავდივართ. ძალუაჩემი საბედა-კი ვერ ავა ხოლმე აი სხვენში კიბე-მიღგმული?! მე და ჩვენებიანთ მიტრო სულ მაღლა კენწეროში მოვექცეოდით ხოლმე ჩვენ დიდ კაკალს, როცა ბლერტის დაუწყებდით. მერე ისეთი ჯანაბა ხეა, რომ იმოდენა სიმაღლეზედ არსად ტოტი არ აბია, „გიგანსკი შაგივით“ სწორია.

ასეთი ფიქრები უტრიალებდა თავში ილიკოს და იმას-კი ვერ გრძნობდა, რა ვერაგულ ამბავს უპირებდა: მისაღმი მტრობით გამსჭვალული უფროსი. ხლოპოტოპოვმა იცოდა, რომ ამისთანა ღამე ძალიან მაცდური ღამეა. არ შეიძლება ჩმუჩვით და ზმორებით კედელს არ მიაყრინო მოწყვეტილი წელი, მთქნარებას არ მოჰყვე და

თან-და-თან თვალები არ მიღულო, —ძილისთვის-კი არა; —ისე, დასასვენებლად. გადის ხანი... გაყუჩებას ეძლევი... უძალიანდები თვალებზედ ქურდულად მომდგარს ძილს, იცი რომ სამუხანათოდ მოგდგომია კარს, მაგრამ უძლური ხარ... ვერ წაართმევ თავს მის სასიამოვნო ბრჭყალებს... მერე, რა ტკბილი ჩახუტება იცის იმ წყეულმა, თითქოს მშვენიერი ქალის მოხვევნააო.

იცოდა ეს ხლოპოტოპოვმა და ამატომაც გამოსწია ძიბ-ძიბაძისაკენ. ფერდობს ისე მიეპარა, რომ დარაჯი ვერ მიუხვდა. ის-ლა აკლდა, როგორმე შეუმჩნევლად აცოცებულიყო გორაკზედ იმ დროს, როდესაც ძიბძიბაძე სათოფისწამლეს მეორე მხრით მოუვლიდა. ჩემქებიც კი გაიხადა სამსახურის ერთგულმა ეფრეიტორმა, რომ ფეხის ხმაურობას არ ეღალატნა.

ის ამბავი, რომ ძიბძიბაძე ბოლთასა სცემდა, —ხლოპოტოპოვს არაფრად ეჭაშნიკა; მაგრამ ილიკომ ფერდობამდის მისვლა რომ ვერ გაუგო, ხლოპოტოპოვი დარწმუნდა, ალბად, დარაჯი ფიქრშია გართული და, მაშასადამე სიფხთილე დასჩლუნგებიაო.

ილიკოს მართლაც სიფრთხილისა აღარა ეტყობოდა-რა და ფიქრებით იყო გართული. ამიტომ აღვილი წარმო-სადგენა იყო, რომ ხლოპოტოპოვის ეშმაკობა ლელოს გაიტანდა. მაგრამ ილიკო განგებამ დაიხსნა საშინელ შურის-ძიებისაგან. ერთხელ, როცა კედელის ახლო გაიარა, ილიკოს უცბად ცხვირზე უშველებელი წვეთი დაეცანაჟინელ წვიმსა, რომელიც ალბად ღარში მოგროვილიყო; იგი ფიქრს მსწრაფლ გამოერკვია, მერე შესდგა და ფარაჯის სახელით ცხვირიდან წუნწკლი მოიწმინდა. ამავე დროს ქვევით, ფერდობის კალთასთან რაღაც ფაჩი-

ფური მოესმა. ილიკომ მხრიდან თოფი ჩამოიღო და, კი-
სერ წაწდვილმა, შავს სივრცეს თვალები მიაპყრო. ვერა-
ფერი დაინახა, მაგრამ ფოფვების მსგავსი ფაჩი-ფური-კი აშკა-
რად გაარჩია.

— Стой! Хто идотъ? — შესძახა ილიკომ რიხი-
ანად. ხმა არვინ გასცა. ფაჩი-ფური შესწყდა.

ილიკო დარწმუნდა, რომ ვიღაც ან რაღაცაა. ბოლოს გული დააჯერა, ალბად, ან ძალლია, ან ნადირით. ამისგამო დასწვდა მიწას, დაავლო ქვას ხელი და იქითკენ გადისროლა, საიდამაც ხმაუობა მოესმა; თანაც მიაძახა:

— იქით დაიკარგე, შე სამგლევ, შენა! —

ქვა ალბად მიწაზედ არ დაცემულა, რადგანაც გა-
სროლას თან ისეთი ხმა მოჰყვა, თითქოს იგი რბილ
რამეს მოხვდაო.

— Чаво камни-то кидаешь? — მოისმა ხლოპოტოპო-
ვის გაავზნებული ხმა. ქვა სწორედ იმას მოხვდა ზურგში.
ეტკინა; მაგრამ არ შეიმჩნია, დარწმუნებულმა, რომ
ძიბძიბაძეს ძალიან იამებოდა — Не видишь, что-ли,
старший идетъ?!.. А ишо часавой! —

— Стой! Хто идотъ? — შესძახა განგებ ილიკომ,
რომ უფროსს ქვის სროლა არ დაებრალებინა.

— Ну-ну-ну... Ишь, какой ретивый!... — წაი-
დუდუნა გაგულისებულმა ხლოპოტოპოვმა, თანაც შიში
ალექრა, — ემანდ თოფი არ დამიმიზნოს და ტყვია არ
გადამაყლაპოსო. — Молодецъ! Не спишь...

Рада старись, гаспанинъ ეფლეიторი! — უპასუხა
კმაყოფილის კილოთი ილიკომ, რა დარწმუნდა, რომ
ძალლისთვის გადაგდებული ქვა ყველაზედ ავ ძალლ
მოხვედრიია.

— Ну-ну, не спи! — уткара უფროსმა და გორაკზე აღარ ავიდა, შინისაკენ გასწია, ძალიან იყო გაჯავრებული. საშინელი მარცხი დაქმართა: ჯერ ერთი, განზრახვამ უქმად ჩაუარა, — ვერ გააბა მოსისხლე მტერი მახეში, — მეორეც ერთი — ფეხ-შიშველამ ტალახში ტყუილად სტოპა და დასასრულ იმ დაწყევლილმა «ზვერ-გრუზო»-მ ძალლსავით წელი აათრევინა.

ილიკო-კი ამ დროს სინათლეში რომ გენახათ, შეპნიშნავდით, რა ეშმაკური ღიმილი უკრთოდა სახეზედ. ოლონდ ერთი კიდევ შემთხვევოდა ასე მარჯვედ ქვის სროლა, და თუნდა, ორი საათის მაგივრად, ორი დღე ზედი-ზედ იდარაჯებდა.

XII

ამისთანა განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ ძიპძიბაძეს, რაღა თქმა უნდა, სამსახური სხვებზედ მეტად უძნელდებოდა, რაღგანაც იმათ უფროსები ასე როდი მტრობდენ. მაგრამ მაინც ილიკოს ის იმედი ამხნევებდა, რომ ასეთი მდგომარეობა ოდესმე შეიცვლებოდა. ამას-თანავე ბუნებით იგი მხიარული ხასიათისა იყო და ამ-გვარი ხასიათი, ასე თუ ისე, აძლებინებდა, ტვირთს უმსუბუქებდა.

გათავდებოდა, თუ არა, საღამოთი მეცადინეობა, მაშინვე ილიკოს ბიჭები გაიტაცებდნენ ხოლმე და აჩალებდნენ ცეკვა-სიმღერას. ამ დროს გატარებაში თი-თოვეული მათგანი ივიწყებდა დღიურ ჭირსა და ვარამს. საღამოს რვა საათზედ დაუკრავდნენ ხოლმე ღორიოტოტოს; რაზმი კვლავ მოიყრიდა თავს, კარვების წინ ჩამ-წკრივდებოდა. და უფროსი ჯარის-კაცი (ფელთებელი) ჩამოსთვლიდა თითოვეული ჯარის-კაცის გვარს, რომლის

გაგონებაზედ დასახელებული უპასუხებდა «მ»-ო. როცა
ყველგან გაათვებდნენ ხოლმე ამ ჩამოთვლას, რამდენიმე
ლოროტოტო «ზორს» (კისკარი) დაუკრავდა; ამას მოჰ-
ყვებოდა რუსული გალობა «მამაოჩვენოსი» და „აცხოვნე,
უფალო, ერი შენი“-სა. გალობას რომ მორჩებოდნენ,
სამხედრო მუსიკა დაუკრავდა „კოლ სლავენს“ და
„ბოჟე ცარია ხრანი-“ს. საღამოს „ზორი“ ამით
თავდებოდა.

მერე ჯარის-კაცი შეეძლოთ ჩუმად ელაპარაკნათ და
ზღაპრები ეთქვათ ღამის ათ საათამდის და შემდეგ-კი
ყოველი ჩამი-ჩუმი მიწყდებოდა ხოლმე.

ასე და ამ რიგად მიღიოდა ილიკოსი და მისი ამხა-
ნაგების ცხოვრება. ყველა მათგანი გულის ფანცქალით
სთვლიდა ყოველს გასულს თვეს, მაგრამ, ვინ იცის, ჯერ
კიდევ რამდენი რამ მოელოდდათ, ვიდრე სამსხაურს გაა-
თვებდნენ.

XIII

— შენ თუ მაგრე დეიჭირე მარხვა, — ბიძიკო, ფაშვა-
ვერ გეიზდი... — მიმართა ზომბერიძემ ერთ ჯარის-კაც-
თაგანს, რომელიც იქვე იმის გვერდზედ იჯდა და ზღაზვ-
ნით, ზარმაცად პურსა ჰლეჭავდა.

კარვებს უკან, ფიცრით გადახურულ ფარდულში
ჯარის-კაცნი საღილს შეექცეოდნენ. ფარდულში გძელი-
ფიცრის მაგიდები იყო ბოძკინტებზედ გამაგრებული და
ორივე გვერდებიდან „სკამენიკები“ იდგა. ჯარის-კაცები
ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ, — სამ-სამი, ოთხ-ოთხი, ხუთ---ხუთი
და თითოეული ჯგუფი საჭმელს ერთის თასიდან იღებდა.
კოვჭით.

— ვერაფერი შვილია დღევანდელი „ბორჩი“ — წარმოსტევა ტუჩების წლაპა-წლუპით ხრაიშვილმა; თანაც კოვზი ენით წმინდად გალოკა, გვერდზედ მოიდო და იქვე მდგარ პატია სალდათურ „ჩაინიკს“ დაავლო ხელი და წყალს დაეწაფა.

— ჰა!.. — ჩაიცინა ზომბერიძემ. — მსუქანი «ბორჩი» რომ შენ მოგართოს, ფელთებელს, ზოდნის და სხვა ძალლსა და მამაძალლს რაღა მიაშეოს?! ასეთი ქონ-მოგდებული ქვაბი წეილო ჩვენმა დიდ-თავამ, რომა თვალები ემიბზინდა... ჩვენ-კი ქვაბის ნარეცხი ჩაგვისხა იმ დედა-გაგლეჯილმა... — აქ ზომბერიძემ თასში კოვზი ჩაჰყო, ამოაყოლა წვენი და მერე ნელ-ნელა უკანვე გადაუშვა. — შეხედე ერთი... ისე არ უდგება ამას „ბორჩობა“, როგორც ჩვენი სოფლის ხუცესს ცხონება...

მართლა წვენი საშინელი მღვრიე იყო, — შერეული ტალახისფერი და არც თუ სუნი ჰქონდა. სასიამოვნო. როგორც სჩანდა, კომბოსტო ძველი ჩადებული უნდა ყოფილიყო და სიღამბლისაგან ამყრალებულიყო.

— სულ-კი იმას იძახი, — ქაშევარი ჩვენებურიაო და... რა ღმერთი გაუწყრა? — შეეკითხა ხრაიშვილი.

— ავად გამხდარა ის თავლაფდასხმული!.. დღეს ვიღაც უნიფხოშვილი იყო ქაშევრად... აი, დაეფსოს ოჯახი... შევეხვეწე, — პოულლუსტა, ჟირნი, ჟირნი-თქვა. — „ჟირნიო?“ — და... გააღო ლოქოსავით პირი, მიმაბრუნა იმ ენა-წანკლიანმა იქითკენ (აქ ზომბერიძემ გაუბედავად ხელი მარჯვნივ გაიქნია და მნიშვნელობით ხრაიშვილს თვალი ჩაუკრა) და მითხრა: — „ვოტ ჟირნიო?“. — მეწყინა, მარა რა მეწყინა!.. მომეკიდა გულს ცეცხლი და შევუკივლე — ახ, ტისუქინძი-თქვა... ტაკოი, — ტაკოი ტი, კუშით-თქვა... ქე

ვუპირებდი გალახვას, მარა ჩვენი დიდ-თავა იყო იქანა. — სტუპაი, სტუპაიო — მომაყვირა იმ უცხვირომ და გამა-მაგლო. — ბიძიკო! — მიუბრუნდა ზომბერიძე გვერდზე მჯდომ ჯარის-კაცს. — შენ მაინც უნდა ჭამო... ძალით უნდა ჭამო, ჩემო კეთილო, თვარა თებზივით გეიწლიკები... არ ვარგა უხიაკობა... აქაო და მჭადი და ლომი არა მაქვს — სხვა აფერს ვჭამო — არ ივარგებს... კაცს, ჩემო კეთილო, თუ ჭამა არა აქვს, — აფერი კაცია: მოგეცა ღვთისწყალობა, მეც ქე მიყვარდეს ცხელ-ცხელი მჭადი, ლომი, თებზი... არც ლობითა უხეირო, მარა რას იზამ, ბიძიკო? რო გაგიჭირდება — არც ამ ლორის საჭმელს დეიწუნებ... ჭამე, ჭამე, ბიძიკო, თვარა ე ლოყები შემოგადნება... მაინცა და მაინც არც თუ ძალუან ხარ ფერიანი...

ის, ვისაც ზომბერიძე სმა-ჭამის გაკვეთილს უკითხავდა, ჩუმის, ნალვლიანის ლიმილით უყურებდა დამრიგებელს. ის იყო ქერა, უწვერ-ულვაშო ახალგაზდა. შესახედაობით 17—18 წლისას ჰგავდა. ფერი ჰქონდა მკრთალი, თითქმის ყვითელი, ტუჩები გაფითრებული, თვალები მორღვეული.

— კუჭი. არ იყარებს, ზომბერიძე — უპასუხა იმავ მწარე ლიმილით ჯარის-კაცა. — თითქოს შხამიაო, ისევ უკან ამამარწყევინებს ხოლმე რასაცა ვჭამ. განა შინ ამაზე კარგი საჭმელი გვქონდა? აქ ყოველ დღე ხორცი მაინცა გვაქვს..; მაგრამ შინაურ საჭმელს მიჩვეული ვი-ყავი... აქაურს ვერ მივჩვევივარ...

— მიეჩვევი, შვილოსან, ძალა რომ დაგადგება — სთქვა ხუმრობის კილოთი ხრაიშვილმა, რომელიც ახლა ხარბად „ქაშა“-ს შეექცეოდა.

ილიკო ძიბძიბაძეც ამ ჯგუფში იყო. გაჩუმებული

იჯდა, დალვრემილი. საჭმელს არ მიჰკარებია. სახეზე ისეთი იერი სდევდა, თითქოს ამხანაგების ლაპარაკს ყურს არც-კი უგდებდა და ფიქრით სხვაგან იყო.

— რას დაგიკეტია მაგ ენა? — შეეკითხა მუდამ მკვირცხლი და ლაპარაკის დიდი მოყვარული ზომბერიძე ილიკოს და მხარზედ ხელი დაკრა. — რა გიჭირს, ბიძიკო! .. თექვსმეტ ტყვიაში ცამეტი მიატკუცე ნიშანს. ჰაი, თუ გეიკრავ „სტრელბის ზნაჩკას“. ჩვენი როტნი სულ მალადეცს და მალადეცს გეძახდა! ამოიღე ხმა, შე კაცო! დამუნჯდი თუ!

— რა უნდა გითხრა? — ჰკითხა უგემურად ილიკომ და ზომბერიძეს თვალები მიაპყრო. მაგრამ, როგორც სხანდა, ილიკო ამხანაგს ვერა ჰქედავდა, რადგანაც მისი თვალებილან გამონაშუქი მეტყველება ზომბერიძის სახეს სხლტებოდა და შორს, სადღაც სივრცეში იკარგებოდა:

— ეჲ! შენშიაც მოვტყუცდი! — დაიძახა ოხუნჯურად ზომბერიძემ. — ყოჩალი ხარ და გუდა-ლელვით იბერები! ქე მქონდა შენთვის სათქმელი, მარა უკაცრავად ვარ, აღარ გეტყვი... ჰო, აღარ გეტყვი... ქე ინანებ, თუ კაცი ვარ...

— რა გქონდა სათქმელი? — ჰკითხა ცალ-ყბად ილიკომ, რომ ეთქვა რამე, თორემ ზომბერიძის სიტყვებმა ცნობის მოყვარეობა როდი აღუძრა.

— არ გეტყვი... არ გეტყვი...

— არ მეტყვი და ნება შენი იყოს..

— ქე ინანებ...

— კაცო, შენც რა საქმე გააჭირე? — შეეკითხა სიცილით ხრიაშვილი ზომბერიძეს — რა უნდა თქვა ისეთი? მე ვიცი, იმდღეს აი, ვიქტორამ — ხელი უწვერ-ულვაშზედ მიუშვირა — წიგნი რო წაგვიკითხა, იმითანა იქ-

ნება.

— რეალში! შენ მეობნები მაგას? შენ არ

შენ არა ხარ, ბიძიუო, რომ აქამდე „ვისოკიბლალოროდია“ ვერ გითქვამს?!. შენ არა ხარ, კამეჩივით ძლივს აბრუნებ მაგ ენას?!

ილიკოს, როგორც სჩანდა, ამხანაგებთან ჯდომა მოსწყინდა; წამოდგა და ფარდულიდან გამოვიდა. ვიქტორა უკან დაედევნა. ხრაიშვილი და ზომბერიძე კვლავ ბაას განაგრძობდნენ იმის შესახებ, თუ ვინ უფრო კარგი მოლაპარაკე იყო. მაღვე, იმათ სხვა ბიჭებიც შემოეხვივნენ და ლაპარაკში ჩაერიცნენ.

XIV

— ილიკო, ილიკო! დაიცა რა გითხრა.... — დაუძახა ვიქტორამ ძიბძიბაძეს, როცა დაეწია. ძიბძიბაძე შესდგა და დაუცადა, ვიდრე ამხანაგი მიუახლოვდებოდა. მერე ერთად გასწიეს კარვებისაკენ.

— არ იტყვი, კაცო, რა ამბავია შენს; თავს?! — დაეკითხა ვიქტორა ზომბერიძესავით ხუმრობის. კილოთი-კი არა, არამედ თანაგრძნობით.

— ეჭ, რაც არის არის...

— მაინც?

— არ გამცე და ამაღამ სოფელში გაპარვას ვაპირებ...

— რას ამბობ, კაცო, ხო არ გაგიუებულხარ? — აჭყიტა გაკვირვებით ოვალები ვიქტორამ.

— არ გავგიუებულვარ, მაგრამ გავიპარები-კი... არავის არა უთხრა-რა.

— ხომ არფერი ამბავი მოგსვლია მშობლებისა?

— ჰო...

— დაეთხოვე, კაცო... გასაპარი რა გაქვს?

— აკი დავეთხოვე... არ გამიშვეს... რა დროს
„ოტპუსკია“ სროლის დროსაო? ეჭ, რაც იქნება იქნება...!

— ხომ დაგსჯიან?

ილიკომ ამაზედ არა უთხრა-რა, მერამ მხრები ისე
შეათამაშა და თავი ისე გაიქნია, თითქოს ამბობდა:
ნება ღვთისა აღსრულდესო.

— დიდი ხნით აპირებ?

— ორიოდე დღე დავორჩები.

— განა რა ამბავია ისეთი?

— მერე გეტყვი...

— გეშინიან, არ გაგცე?

— არა, მაგრამ... მერე გიამბობ... შენი ძმობის
ჭირიმე, არავის უთხრა.

— შენგან არ მიკვირს? — გაილიმა ვიქტორამ. —
მაგრამ გირჩევ-კი „როტნი“-სთან მიხვიდე... ხუმრობა საქ-
მეა? ცამეტი ტყვია ისე კარგად მოარტყი... უეჭველად
გაგიშვებს...

— მეც „როტნი“, -სთან ვიყავი... მითხრა, ჯერ „ობჩი
სტრელბა“ გათავდეს და მერე გაგიშვებო. „ობჩი სტრე-
ლბამდე“ ორი კვირა კიდევ იქნება... მე: კი მეჩქარება...
ეჭ, რაც მამივა — მამივა. ეს ხომ ვიცი, არ გამროჩგავენ და...“

— როდის აპირებ გაპარვას?

— როცა ხალხი დაიძინებს...

— სახლში როდის იქნები?

— ხვალ სალამოს.

— შენ იცი... რაკი არ დაგიშლია... — უთხრა ვიქ-
ტორამ ხელების გაშლით.

ილიკო და ვიქტორა ერთმანეთთან ძმა-ბიჭურად
იყვნენ, მახლობლად. ვიქტორა შორაპნის მაზრიდან იყო.

წერა-კითხვა იცოდა და გულითაც კარგი ამხანაგი ბიჭი გა-
მოდგა. ილიკოს მალე დაუმეგობრდა და წერა-კითხვის სწავ-
ლება დაუწყო. ილიკო იმდენად მიეჩვია წერა-კითხვას, რომ
ახლა უკვე ახერხებდა სახელისა და გვარის მოწერას.
შართალია, მის მიერ გამოყვანილი ასოები სველ დედა-
მიწაზედ დაჩნეულ ქათმის ნავალს უფრო ჰგვანდა, ვიდრე
ქართულს ანბანს, მაგრამ ილიკო მაინც აღტაცებული
იყო. წერის უნარით და ვიქტორას დიდ პატივსა სცემდა.

ვიქტორა ჯან-საღი როდი იყო. ამიტომ მალე
ილლებოდა და მეცადინეობის ან სროლის შემდეგ უძნელ-
დებოდა ხოლმე თოვის გაწმენდა, გუდა-ნაბდის ალაგებ-
დალაგება, ან სხვა რამ საქმის გაკეთება, რასაც უფრო-
სები ავალებდნენ. ამისთანა დროს ილიკო მუდამ ეშვე-
ლებოდა და ვიქტორას გასაკეთებელს თითონ აკეთებდა.
ვიქტორა დიდი მაღლობელი იყო ილიკოსი და მეგობ-
რულის გრძნობით უყვარდა ეს მხენა-მამაცი და მხიარული
ბიჭი. ვიქტორა ილიკოზედ უფრო განვითარებული იყო,
რადგანაც რამდენიმე ხანი ქალაქად ეცხოვრა, ბევრი
რამ ენახა, რის შესახებაც ილიკოს არავითარი წარმოდ-
გენაც-კი არა ჰქონდა. ამიტომაც ილიკო ყოველთვის
სიტყვას უჯერებდა. ხშირად აფრთხილებდა ხოლმე ვიქტო-
რა ილიკოს უფროსის შესახებ და მოთმინებას ურჩევდა.

რაკი ილიკო გაპარვის მიზეზი არ უთხრა, ვიქტო-
რა დარწმუნდა, რომ რაღაც დიდი საქმე უნდა ყოფი-
ლიყო და ამიტომ ალარ დაუშალა, ნუ ნაიპარებიო, მით
უფრო, რომ პირველ გაპარვისათვის ილიკოს დიდი სა-
სჯელი არ მოელოდდა.

მეგობრები კარავში შევიდნენ და გაჩუმებულნი
„ნარებზედ“ (ირგვლივ ტახტივით შეკრული ფუცრებია)

წამოწვენენ. ილიკო რომ დაღვრემილი არა ყოფილიყო, მაშინათვე ამხანაგს შეეხვეწებოდა, რაიმე წიგნი წამიკითხეო, მაგრამ, ალბად, ახლა წიგნისათვის არ ეცალა, რადგანაც, გულ-აღმა მწოლიარემ, სახეზედ მკლავები გაღა-იჭდოდა ისე დაიჩრდილა თვალები კარავში ჩამოშუქებულ მზის სხივებისაგან.

აღარც ვიქტორამ დაუწყო ილიკოს ლაპარაკი, რა-დგანაც, იგი მიხვდა, რომ ამხანაგი ლაპარაკის გუნებაზედ არ იყო. ორივენი გაჩუმებულნი იყვნენ. გარედ-კი ცხო-ვრების ურიამული კვლავინდებურად გაისმოდა. ჯარის-აცები მიღი-მოღილდნენ, მიჰქონდ-მოქონდათ თასები, თოფები, ჰბლერტავდნენ გუდა-ნაბადს, ამზევებდნენ ლო-გინს, თეთრეულს. ერთის სიტყვით მოძრაობაში იყვნენ.

— არა და... შენი სიტყვა სწორედ იმერული აბაზია აი!.. — მოისმა ხრაიშვილის ხმა, რომელიც კარავში შე-მოვიდა.

— აი, ნახავ, ბოშო! — უპასუხა ზომბერიძემ, რო-მელიც უკან შემოჰყვა.

— რა იყო, რა ამბავია? — ჰკითხა შემოსულია ვიქტორამ.

— რა ამბავია და... ეს გულთმისანი ატეხილა, ამაღამ „ტრიოგა“ იქნებაო...

— რაო? — წამოიძახა უცბად ძიბძიბაძემ და წამოიწია, სახეზედ აღელვება ეტყობოდა ღა შიშის მეტყველი თვა-ლები ზომბერიძისათვის მიეპყრო.

— რაო და კანცილირიაში. მითხრეს, „ტიორგა“ იქნებაო — უპასუხა ზომბერიძემ.

— შენ თუ არა გამოატყვრინე-რა, არ შეიძლება: — უთხრა ზომბერიძეს ვიქტორამ — ამაღამ „ტრიოგას“ ვინ

მამაოხრიშვილი გამართავს?! დღეს ისედაც ხალხი სროლაზედ დაიღალა.

— აბა, შენ ეგა თქვიდა!.. — შესძახა ხრაიშვილმა, რომელსაც სახეზედ დამცინავი ლიმილი აუთამაშდა. — ამ ვაჟბატონმა ყველაფერი იცის ხოლმე... აბა რა დაემალება?! — დააჭანა ხრაიშვილმა და ოხუნჯურად თვალი ჩაუკრა ზომბერიძეს.

— კანცილირიაში, მითხრეს, შე კაცო! მე ზომ არ მომიგონია... — სთქვა როგორლაც გაუბედავად ზომბერიძემ. ვიქტორას სიტყვებმა ილიკო დაამშვიდა. ის ისევ წინანდებურად წამოწვა და სახეზედ ხელები დაიფარა.

— კანცალარიაში... მე ვიცი, ბრიგადინი ნაჩალიკი შოგახსენებდა. დღეს საღილად იმასთან არა ბძანდებოდი... — გაეხუმრა. კვლავ ხრაიშვილი.

— გეიწიე იქით, კამეჩო! — შეუბუზლუნა ხრაიშვილს ზომბერიძემ, რომელიც ამასთანავე „ნარზედ“ ახოხდა და თავის მუდმივ მოკამათეს გვერდზედ მოუწვა.

კარავში სიჩუმე ჩამოვარდა.

XV

დაღამდა. ბანაკში თან-და-თან ხმა მისწყდა. არე-მარეს ძილმა თავისი სათუთი, საამური ფრთები წამოუქროლა. აქა-იქ კარვების წინ გაისმოდა ოდნავი ხმა დარიჯის სიარულისა. სხვაფრივ დღიური, მოძრაობა მყუდროებაშესცვალა.

იმ კარავში, საცა ილიკო იწვა, საშინლად ჩამოცხა. თანაც მეტის-მეტად მყრალი სუნი დატრიალდა. ყველას ეძინა. აქეთ-იქიდან სხვა და სხვა გვარი ხმა მოისმოდა. ერთი ჯარის-კაცი, რაც ძალი-და-ღონე პქონდა, გამძვინვარებით ხვრინავდა. მას ბანს აძლევდა ვიღაცის

ცხვირი, რომელიც კრინმანჭურივით პრაველის ხვრინვას ზედ ეგრიხებოდა. მესამე, როგორც სჩანდა, ძილში იმეორებდა სიცხადეში. დაწწავლილ სიტყვებს: „ჩასოვი ობეზან...ჩასოვი სმატრიტ...ჩასოვი უოლუინ...ჩასოვი“... უეცრად ვიღამაც საზარლად დაიზმუილა და, ასეგონია. გველმა უკბინაო, ზეზე წამოიჭრა, თვალები მოიფშვნიტა, დააწლაპუნა ტუჩები დი კვლავ ლოგინალ მიწვა: როგორც სჩანდა, ყველა გულის ძილში იყო, რაღგანაც ასეთი ხმაურობა არავის აწუხებდა, გარდა ახლო-მახლო ხეებზედ მსხდარ ფრინველებისა.

მხოლოდ ერთი ძლიკო იყო, რომელსაც თვალებზედ ლული არ მოჰკიდებია. სულს უხუთავდა ჯოჯოხეთური სუნი და ამხანაგ-ბიჭების ბოდვა. გულზედ რაღაც. სიმძიშე შემოსწოლოდა და ამოოხვრასაც კი უშლიდა, თითქოს შიგ ვარამი იყო მოზღვავებული. გარშემო თვალით განუკვრეტავი ღრუბელი ეხვია, რომელიც ნელ-ნელი იცრემლებოდა. არ იყო ისეთი კუთხე-კუნჭული მის გრძნობათა სადგურში, რომელიც ბასრის. ტკივილით არ ყოფილიყო გამსჭვალული.

და განა ამის მიზეზი არა ჰქონდა? მაშ არ ედარდნა, არ ევაგლახნა, როდესაც მისი მაცოცხლებელი, თეთრი ყირმიზა გოგონა მალე უნდა გათხოვილიყო და. სამუდამოდ ხელიდან გასხლტომოდა. ამ დღეებში ილიკომ. შეიტყო ამხანაგ ბიჭებისაგან, რომლებიც იმ ქალაქში, საცა ილაკოს რაზმი იღვა, ქირაზედ მოსულიყვნენ, — ეითომც ნინოს საქმრო გამოსხენოდა და გოგო-ბიჭის შშობლებს ერთ-მანეთში მოციქულობს კადეც დაეწყოთ.

— ალბად, ჩვენებმა ვერაფერი მოახერხესო — ფიქრო-

ბდა საცოდავი ილიკო — ან, იქნება, გოგომ დამიწუნაო?

მაგრამ როგორდაც გული არ ერჩოდა.

— უეჭველად, მშობლებს ლოდინი არ უნდათ... გოგოც აბა რას გახდებოდა?.. ურჩობას ხომ ვერ გაუწევდა? აჲ!.. ნეტავ ერთი იქა მქნა... იქნება გამერიგებინა რამეო...

სწორედ ამ მოსაზრების გამო ილიკო მეორე დილას როტის უფროსთან მივიღა და თავისს დაგლეჯილის რუსულით სთხოვა, ერთი კვირის ვადით სახლში დამითხვეთოა უფროსმა, როგორც უკვე ვიცით, უარი სტკიცა. დარჩა ილიკო დამშარებული და პირში ჩალა გამოვლებული. ა. იცოდა რა ექნა, საქმისათვის როგორ ეშველნა. როცა წარმოიდგენდა, რომ ნინო, — მისი საყვარელი და სანატრელი ნინო, — სხვას უნდა დარჩენოდა, სიკვდილივით გაფითრდებოდა ხოლმე, გაოგნებული იდგა ერთ ადგილის და იმ დრომდე ვერ გამოერკვევოდა, ვიდრე ხელს არ წაავლებდნენ; ან არ დაუძახებდნენ.

თავისი ვარამი არავისთვის არ გაუმჟღავნებია. ეს უფრო გულს უწყლაუდა, რადგანაც დამაურვებელი, ნუგეშინის მცემელი არავინა ჰყავდა. ბოლოს, ბევრის ფიქრისა და თათბირის შემდეგ, ილიკომ სახლში გაპარვა დააპირა, დიალ, გაპარვა მხოლოდ სამის დღით. — სამს დღეში როგორმე საქმეს საქმეზე მოვიყვან და დავბრუნდებიო გავიგებ მაინც, რა არის ჩემი უბედურების მიზეზიონ ილიკომ იმის შესახებაც-კი ივარაუდა, თუ რა სასჯელი მოელოდა. ძველ ჯარის-კაცებს გამოჰკითხა და დარწმუნდა, — ბევრი-ბევრი „სტროგი არესტში“ ჩამამწყვდიონო.

დე, რაც მამივა-მამივიდეს...გულს საგულეზე დავაყენებ, დავიარხეონებ მაინცაო.

ასეთმა გარდაწყვეტილებამ ილიკო თითქოს კიდეც დაამშვიდა. გაპარვა ღამით დაპირა. როცა „ზორი“ გათვდა, იგი სიშლერა-თამაშობაში არ გარეულა. ან რა გულით გაერეოდა? შევიდა კარავში და ტანთ-გაუხდელი თავისს ალაგას წამოწვა. ბინდისას კარავში უფრიოსი შემოვიდა და, სიბნელის გამო, ილიკოს გადმოშვერილს ფეხებს წა-აწყდა.

— რა ჩორტ ტუ რავალისა? — დაიღრიალი ხლოპოტოპოვმა და უხეშად წიხლი ჰერა ილიკოს. ილიკო მარდად წამოვარდა ფეხზე და მოწიწებით უთხრა;

— ვინავატ, გასპადინ... — ემინოდა, ერთი ხათაბალი არა გამიბას-რა და საქმე არ ჩამიფუშოსო.

უფროსს, ცოტა არ იყოს, იამა ასეთი თავის-მოხრა ურჩი ხელჭვეითისა და ამის გამო აურ-ზაური აღარ და-უწყვია. თან-და-თან ხმაურობა მისწყდა; კარვებში ძილმა დაისადგურა.

როდესაც ილიკომ დრო დაიხელთავა და შენიშნა, რომ დარაჯი კარავს კარაგა მანძილზედ მოშორდა, ფეხ-აკრეფით გამოვიდა და კარვის კუთხისაკენ გაუხვია, გასცდა კარვების ერთ რიგობას და მერე გვერდზედ იბრუნა პირი და ბანაკის წრეს გდასცდა. აქ იგი ცოტა ხანს შესდგა, მკერდი გაიგანიერა, დიდის სიხარბით შთაისუნთქა გრილი და საღი ჰაერი და დამშვიდებულის გულით გაუდგა ბილიკს, რომელიც შარა გზისაკენ მიი-გრიხებოდა.

XVI

ამ წამიდან ილიკო, ერთხელაც არის, არ დაპოიქრებია თავის მდგომარეობას, რომ იგი გაპარული იყო, რომ შეძლოთ მისი შეპყრობა. ახლა ილიკოს ამგვარ შავის ფიქრებისათვის არა სცხელოდა, მისი არსება შეეპყრო რაღაც უხილავ ძალას, რომელიც ჰაერივით მსწრაფლ ფრთებზე სოფლისაკენ მიაქანებდა. მაგრამ ამ სწრაფ მოძრაობას წინ უსწრებდა ილიკოს ოცნება, რომლის წყალობით იგი თავისს თავს უკვე შინა გრძნობდა. ილიკოს ნათლად ეხატებოდა სურათები წარსულის ცხოვრებისა სოფლად. ვინ იცის, რა გვარის ლაჭუცით მიეგებებოდა პატრონს ყურებ-დაჭრილი მურია. სიყვარულით გაულოკამდა ხელებს და მხიარულის ყეფით სახლისაკენ გაქანდებოდა, რომ შეეტყობინებინა ოჯახსათვის ილიკოს დაბრუნება. ყველანი ჯივილ-ხივილით გამოცვივდებოდნენ... პატრა ძმები, დები მოეხვევოდნენ და კოცნას დუწყებდნენ. დედა ტირილით გულში ჩაიკრავდა თავის „გიშერა“ ბიჭს, — მამა-კი შორი-ახლოს გაჩერდებოდა და ნეტარებით, აღელვებულ დედაშვილის ხვევნა-ალერს კმაყოფილის ღიმილით ყურებას დაუწყებდა. მერე ტყვესავით ყველანი გარს შემოერტყმებოდნენ და სახლში შეიყვანდნენ.

აქ მამა სიტყვას სამსახურის შესახებ ჩამოუგდებდა, — როგორ გემსახურება, გაჭირვება ხომ არა გადგია-რაო. რასაკვირველია, ილიკო თავის გაჭირვების შესახებ არას იტყოდა, რომ მშობლები არ შეეწუხებინა. ამასობაში-კი დედა და მისი რძალი — უფროსი მის ცოლი — სადილის მზადებას შეუდგებოდნენ, რომ ძვირფას სტუმარს უხვად გამასპინძლებოდნენ. პაწია ძმა-კი მუხლებზე შეუხტებოდა

და, ცნობის მოყვარეობით აღძრული, „პაგონებს“ შინჯვას დაუწყებდა: — ეს ლა ალი? აქ ლად გაკელია? მე მაჩუქე.... და სხვა. საღილ-შემდეგ ილიკო საქონლის სანახავად გომურისაკენ ჩაირბენდა, მიესალმებოდა თავის საყვარელ ირმა-კამებს, რომელიც, იმის დანახვაზედ, ყოველთვის როყინს მოჰყებოდა და დარბაისლურის ცოხნით პატრონასაკენ გამოსწევდა ხოლმე.

— ვაი, თუ ამ ტანისამოში ვეღარ მიცნოსო — გაიფიქრა ილიკომ. ეს ამბავი ძალიან ეწყინებოდა. — ნუთუ ტანისამოსმა ისე გამომცვალა, რომ მიჩვეული პირუტყვი ვეღარ მიცნობსო?!

ასეთს ფიქრებში იყო ილიკო ჩიყურყუმელავებული, რომ უეცრად ჩირგვს წააწყდა. ამ ამბავმა მსწრაფლ შესწყვიტა გრეხილი ფიქრთა-დენისა და ზგი სიცხადეს დაუბრუნა. ილიკომ მიიხედ-მოიხედა და, წარმოიჯგინეთ, არ-დანანებია, რომ ყველა ის, რასაც აქამდის ხედავდა, მხოლოდ ოცნების ნაყოფი იყო, რადგანაც თავს თავისუფლად გრძნობდა, სულს აღარ უხუთავდა კარვის მყრალი სუნი და ზალაყინა უფროსის ცქერა.

ახლა ილიკოს გარს ერტყა მშვენიერი მუხის ტყე, რომელზედაც ვერცხლის უშველებელ გველივით შარა-გზა მიიკლაკნებოდა, მთვარე ის იყო მთის მწვერვალზედ გად-მომდგარიყო. ღამის გუშაგს წინ აპტარებოდა ცხრილ-სავით დაფაცხავებული ღრუბლები, რომლებიც მნათობის გაქათქათებულ სხივებს უცნაურად მოევარაყებინა. მუქად ჩალილავებული ქვეყნის, თაღი სარკესავით მოწმენდილი იყო; მხოლოდ აქა-იქ ცის კიდეს ზედ მისწებებოდა ბამბის ქულისავით სპეტაკი, ირგვლივ კიდეებ უსწორ-მასწორად

ნაკეცი ღრუბლის ნაჭრები. ეს ცხვრის ფარასავით გაფანტული ღრუბლები იმ იერით მიჰკროდა ცის კიდურს, რრმ გეგონებოდათ, ეს-ეს არის მოსწყდება და დეზამინისკენ დაეშვებაო. ბუნებას თვისი მუდამ დაუძინებელი მოქმედება თითქმის გაეცავებინა, თითქოს განსვენებას მისცემიაო. არავითარი ჩამი-ჩუმი არ არღვევდა ამ იდუმალ მყუდროებას. ხანდა-ხან-კი აქა-იქ ჩიტების გადაფრენ-გაღმოფრენის. ფრთხიალი მოისმოდა ხოლმე, — ისიც მხოლოდ ერთის წუთით.

ილიკომ, — თითქოს გრძნობს მომხიბლავ ძალას ბუნების მშვენებისასაო, — ნაბიჯს უკლო. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ასეთი სიჩუმე. მთვარემ ნაზის რევით ღრუბლებიდან თავი ამოჰყო და იმ არე-მარეს მკრთალი შუქი მოპფინა. თითქოს ყველა ამ წამს მელოდია. მყუდროება ერთბაშად დაირღვა, ყველამ ერთბაშად გაიფანცალა — სულიერმა და უსულომაც. მთვარის დანახვამ ყველას ცხოველ-მეტყველი. მაღლი ჩაუსახა გულში და მათაც, თაყვანის-ცემის ნიშნად, ალერსიანის ღიმილით შესცინეს მნათობის სხივოსან სახეს.

ეს მაღლი ილიკომაც იგრძნო. გული უცნაურის კმაყოფილებით აღევსო, ისეთის კმაყოფილებით, რომ, ცოტას გარჩა, თვალებზე ცრემლი არ მოადგა. წინად, ჯარის-კაცობამდე, არას დროს არ მიუქცევია ილიკოს ყურადღება ბუნების მშვენებისათვის, რადგანაც დღე-მუდამ მასთან განუშრორებელი იყო, თითქმის განუშევეტელი კავშირი ჰქონდა. შეჩვეული თვალი არაფრად აფასებდა ტყეველის სიკეკლუცეს და მთვარიან დამეს. მხოლოდ რომელიმე მრისხანე მოვლენა-კი მალე დაიფლობდა ხოლმე.

ილიკოს გულისყურს, რადგანაც ბუნების წარბ-შეკრულობისაგნ ბვერი უბედურობა წარმასდგებოდა.

მაგრამ ჯარის-კაცობის ღრმას-კი ილიკომ შეიგნო და შეითვისა ბუნება და მისი მირონცხებული, დამამშვიდებლი ძალა. კარგად ახსოვდა ის ლამეები, როდესაც, გვემულ-ტანჯულის გულით საღარაჯოზედ მდგარი, იგი გაჰყურებდა მთვარეს და თითქოს რაღაცა შვებას გრძნობდა, როდესაც მნათობი დაღინჯებული, სხივთა-შლით ნიავივით. დასცურავდა ოვალ-უწვდენ ცის მორევში. მთვარეს მაშინ თან მიჰქონდა ხოლმე ილიკოს, დანაბარევი ზრახვანი იქ... იმასთან... იქნება, ისიც ილიკოსავით გასცემოდა ლაჟვარდოვან კამარას და უკან გაბრუნებულს მიჯნურთა. მესაიდუმლეს თან ატანდა გულში ჩახვევულ სურვილს, მისწრაფებას...

XVII

კარგა ხანი იყო, რაც ილიკო მუხიანს გასცდა და გაუდგა შარა გზას, რომელსაც ორივე მხრით პურით დთესილი მინდვრები მისდევდა. ეს მინდრები თითქმის მთის კალთამდის აღწევდა. მკათათვე იდგა; ყანა უკვე დამწიფებული და დაოჭროვებლი იყო. წყნარი ნიავი ნათესს ოდნავ აღელვებდა. შორიდან რომ გაგეხედათ, ასე გეგონებოდათ, — ამ უშველბელ აღგილს ოქროს ზღვა მოვარდნილა და შიგ თავისს ყვითელ ზვირთებს ათამაშებსო. ხან-კი ისე სჩანდა, თითქოს ოქროსფერს ნათესს ფეხი აუდგამს და საღლაც მიეშურებაო.

ის იყო ცამ მტრედის ფრად ინათა, როცა ილიკო თავისს მაზრის საზღვარს მიადგა. ნაცნობ აღგილების დანახვამ ცას დააწია. იმის ნატვრა მხოლოდ ის-ლა იყო, —

აპ!.. ნეტა ერთი ფრთები მამცა, რომ თვალის დახამხა-
მების უმაღ ჩემ სოფელში გადავფრინდეო.

მარჯვენა მხარეს ყანაში ილკიომ ერთი წელში მო-
ხრილი კაცი გაარჩია. როგორც ეტყობოდა, ეს კაცი ყა-
ნასა მკიდა. მოხუცა უნდა ყოფილიყო, რადგანაც მო-
ძრაობაში და ხელის მოქნევაში სიმძიმე ეტყობოდა, სი-
სხარტე აკლდა.

ილიკომ რომ ეს კაცი დაინახა, გული აუფანცქალ-
და. ნატრობდა, ნეტავ, იმ კაცის მაგიერად მე ვიდგე
ყანაში და ხელში ნამგალი მეჭიროსო. კარგა ხანი იყო,
ილიკო ყანაში არ დატრიალებულიყო და შრომის მო-
ყვარული გული მმკელის დანახვამ ისე აუფართხალა, რო-
გორც კარგ მონატირეს ნაღირის დანახვა შეარყევს
ზოლმე.

— გამარჯობა შენი, მმობილო! — შეუძახა ილიკომ
მუშას, როცა დაუპირდაპირდა.

— აი, გადლეგრძელოს ღმერთმა! — იყო პასუხი.
ამასთანავე მმკელი წელში გაიმართა და მარჯვენა
ხელის სალოკი თითოთ შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.
შმკელი მართლა მოხუცი გამოდგა.

— რა აღრიან გამოსულხარ სამუშაოდ, ბიძიავ?
— ჰკითხა ილიკომ,

— რას იზამ, ქმო? მარტო-ხელი ვარ... მუშის
დაჭერა-კი ამ სიძვირეში მექნელება. სულ ორიოდე დღის
ნათესია... როგორც იქნება, მე თითონ გავაჩანჩალებ...

აქ მოხუცი დაიხარა მკის გასაგრძობად, მაგრამ
ილიკომ შეაჩერა.

— მამაშვილობას, მაიტა ერთი ე ნამგალი... დიდი

ხანია ხელში არა-მქერია... არ ვიცი, ისევ ისე მემარჯვება თუ არა...—

ამ სიტყვებით ილიკო ყანაში გადავიდა და მოხუცს მიუახლოვდა.

— აბა, შენ იცი...—უპასუხა გლეხმა ღიმილით და ნამგალი გაუწიოდა.

ილიკომ მსწრაფლ ყაბალახი მოიხსნა, გაიხადა ჩოხა, მოიმარჯვა ნამგალი და, ის იყო, ყანას უნდა დასცემოდა, რომ მოხუცი გამოელაპარაკა

— ეჟე! ბიჭის! შენ აღარა ხუმრობ აი... მერე, იცი-კი მკა? — მოხუცს კილოში დაცინვა ეტყობოდა.

— რა ვიცი... ერთ ღროს-კი, მგონია, რო ვიცოდი და... — ილიკომ აღარ გააგძელა და გაუსვა ყანას.

გაისმა ფოლადის ოდნავი ზრიალი, ამას თან მოჰყვა ყანის შრიალი და მკა გაიმართა. გამგელებული ილიკო დააცხრა ყანას და ერთ წამში ის აღგილი მთლად მოასუფთავა, რომელზედაც იდგა.

ბებერი გლეხი კმაყოფილის ღიმილით შეჰყურებდა მარჯვე ბიჭის მარჯვე მკას და თავისს სიყმაწვილეს იგონებდა, როდესაც ყანაში ილიკოსავით მარტად დახტოდა ჰომუნას ძახილით.

ჩვენი მხედარი საშინლად იყო გართული. მას აღარაფერი აღარ ახსოვდა: არც ჯარის-კაცობა, არც მგზავრობის საგანი, არც შინაურები და არც თვით ნინო. ის მხოლოდ გრძნობდა, რომ ხელში ნამგალი ეჭირა, რომ ის ეხლა მმკელი იყო და რომ ოქროს თავთავ დაყრილი ყანა მისს ნამგალს ელოდდა..

იმ სურვილმა, — ერთი მალე განვიბანო ჰატიოსნურ შრომის ოფლში და ვიგემო ამ შრომის ნეტარებაო,

გარემოებათა წყალობით დავიწყებული, — ილიკო სწორედ იმ მშიერ კაცად გარდააქცია, რომელსაც ერთბაშად საჭელი გაუჩნდა. იგი გამძვინვარებით ეკვეთებოდა ხოლმეყანას და ბდოვრეს აღენდა; ჰაერში გაისმოდა ილიკოს გახშირებული სუნთქვა და მოკვეთილის ყანის შრიალი, რომელიც, ვინ იცის, იქნება ამ მცენარის ენაზედ კვნესას ნიშნავდა.

სელეური სელეურზე იკვროდა, ნათესი ადგილი თან-და-თან სუფთავდებოდა, მაგრამ ჩვენი გმირი თავისას არ იშლიდა, — გააფთრებული ებრძოდა საცოდავს ყანას, რომელიც უფრო და უფრო შრიალებდა, ხმაურობდა.

მთვარე, თითქოს შეეშინდაო მუშაობა-მოწყურებულ-ჯარის-კაცისაო, როგორდაც ფაფხაჭელასავით დაპატარა-ვებულიყო და ელვარება-მილეული, ქურდულად მიიპარებოდა; თანაც მიმავალი ხან-და-ხან ოდნავ გამოაშუქებდა ხოლმე, ასე გონია უკან იხედება, ფეხ-და-ფეხ ხომ არ მომდევს ის ყანის საშინელი მტერიო.

სრულიად ინათა. ალფროვანებული ილიკო მაინც პირველისავე ხალისით მუშაობდა და, ვინ იცის, როდის აიღებდა მკაზე ხელს, რომ მოხუცს არ გაეჩრებინა:

— კარგია, გეყოფა, ძმობილო! მუშაობას ზედ შეხეთქება როდი უხდება. ყველაფერი სვენებ-სვენებით უნდა:

მუშაობიდან გამობრუნებული ილიკო წელში გაიმართა, მკერდი გაიგანიერა და ჰაერი ხარბად შთაისუნთქა:

— ძან ფიცხი ყოფილხარ, ძამიავ! — მიმართა კვლავ მოხუცმა ლიმილით — ყოჩაღად გულდნია ნამგლის ხმარება. ერთი შენისთანა ბიჭი რომ მყვანდეს, ჩემს სიბერეს ყვავი ვერ დასჩავლებდა.

ამ სიტყვებმა ილიკოს ძალიან ახიამოვნა და მოკრძალებით თავი დაახრევინა.

— კარგა ხანია მკაში არ ვყოფილებარ და იმიტომ მოვედე ასე ყანას... — სთქვა წამოწითლებულმა ილიკომ, თითქოს თავს მართლულობსო.

— საიდან მოდიხარ, ძმობილო, ან საით მიხვალ? — ჰკითხა ცოტა სიჩუმის შემდეგ მოხუცმა.

— შინ მივდივარ, ნაჭალაჭვში...

— დათხოვნილი იქნები...

ამ სიტყვამ, ცოტა არ იყოს, ილიკო შეატორტმანა. ეპვ-გარეშეა, თამამად შეეძლო მოხუცი მოეტყუებინა, ამით სულს არც თუ მაგრე რიგად დაიმძიმებდა; მაგრამ პირდაპირ წარბებ-შეუხრელად ტყუილის თქმა როგორლაც ეუჩვეულა. და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ერთხანს იყომანა, უაზროდ ჰლეჭა რაღაც ამონაძახი, თითქოს ზმუისო, და ბოლოს, როგოც იყო, უთხრა:

— ჰო, დათხოვნილი ვარ... მაშ უამისოდ როგორ იქნება... — თანაც ყურის ბიბილომდე გაწითლდა.

— დიდი ხანია, რაც სახლში არა ყოფილხარ?

— ნახევარ წელიწადზე მეტი იქნება... რაც სალდას-ტობა მერგო...

— მერე, ადვილი ასატანია სალდასტობა?... ჰაი, დედასა მტრისასა! სად იყო ჩვენ დროს?!. — სთქვა მოხუცმა იმ იერით, თითქოს ვილაცას ემუქრებოდა.

ილიკომ, ის იყო, პირი გააღო, რომ ჯეროვანი პასუხი მიეცა, რასაც გული ეუბნებოდა, მაგრამ მაშინათვე გაჩერდა და ის აღარ წარმოსთქვა, რაც გულის პირველმა მოძრაობამ უკარნახა.

— სხვა, ბიძიავ, წელს მოსავალი როგორია? — სიტყვა
ბანზედ აუგდო ილიკომ.

— არა უჭირს-რა... პურისა ხეირიანი სჩანს, თუ გამო-
სავალი კარგი ექნება... ვენახები-კი... ვინ იცის, ჯერ
კიდევ რამდენი რამ მოელის...

XXI

სოფელი ნაქალაქევი თავდანებებულ ექლესიას
დამგვანებოდა, ასევონია, მკვიდრი სხვაგან საღმე გახიზ-
ნულაო. მართალია, ამ სოფელში ოთხას კომლამდე მოსახ-
ლეობა. ითვლებოდა, მაგრამ ამ უამაღ, ამ გახურებულ
კალოობის დროს სოფელში ყოფნისათვის ვისა სცხე-
ლოდა. ყველანი, დიდიან-პატარაიანად კალოებზედ
იყვნენ გასულნი და თითქმის დღე-ღამეს იქ ატა-
რებდნენ. კარგი ხანი გაფილოდა ხოლმე, რომ ქუ-
ჩაში კაცი არ გამოჩნდებოდა. სამაგიეროდ, აქა-იქ თა-
ვისუფლად დანავარდობდა. ლორების ლალი წროვა,
რომელიც ხან ერთის ეზოს ნიადაგს ამოწმებდა. თავისის
მაღლიანის დინგით, ხან მეორისას. ქუჩის არხში
დარბაისლურად და აუღელვებლივ ჭყუპალაობდნენ ბამ-
ბის ქულასავით სპეტაკი ბატები. განუსაზღვრელის სია-
მოვნებით ჩაყურყუმელავებდნენ ხოლმე წყალში მოღერე-
ბულ კისერს და მაშინათვე ფრთების ფარფატით და
ტანის რხევით, ზევით ამოჰყობდნენ, თითქოს სხეულ-
ში ტკბილმა ურუანტელმა დაურბინათო.

სახლის კარები თითქმის ყველგან გამოკეტილი
იყო და ეზო დაცალიერებული. აქ-იქ თუ დაინახავდით
აღამიანს; ისიც დაჩამჩამებული ბებერი უნდა ყოფილიყო,
რომელიც ამოჰფარებოდა. თუთის ხის ჩრდილს, გვირდზედ

მოედგა წყლით სავსე ლიტრა და მატკლსა სჩეჩავდა. მეღუქნებიც მიხვედრილიყვნენ, რომ ახლა სოფლად ვაჭრობა არაფერი შეიღია და მოქმედების ასპარეზად სოფლის ბოლო ამოერჩიათ, სადაც ტომრებით და ჩანახებით დადიოდნენ ზამთარში გაცემულის ვალის ასაკრებათ.

ეს ადგილი — სოფლის ბოლო — სოფელთან შედარებით თვისის ცხოველ-მეტყველებით თავ-ბრუ დამსხმელი იყო. ყველგან და ყოველ წამს განუწყვეტელი მოძრაობა სჩანდა. ცხოვრება სღულდა და გაღმოდიოდა.

შესანიშნავია ეს დრო გლეხ-კაცის ცხოვრებაში. მძიმეა იგი, მაგრამ ამასთანავე ფრიად ნაყოფიერი. ეს ის ხანაა, როდესაც ყველას, თითოეულს წევრს ოჯახისას, — რომელსაც-კი თითის განძრევა შეუძლიან, — აერთებს და აკავშირებს სხვასთან ერთი და იგივე მისწრაფება, — მისწრაფება შრომისაღმი. აქ ვერ გაიგონებთ საყოველთაო სიტყვებს: დავიღალე, ისა მტკივა — ესა მტკივაო ყველამ კარგად იცის, რომ ახლა დაუღალავი შრომა საჭირო და სწორედ ეს მცნებაა მიზეზი, რომ გლეხ-კაცი მთელის ოჯახით ამ სიცხე-პაპნაქებაში წელ-გაუშლელი იღვწვის და საღამოთი ამ ჯაფას არაფრად მიიჩნევს, თუ მოსავალმა სახეირო ნაყოფი მისცა. ამით გამხნევებული, იგი გულის ფანცქალით მოელის ალიონს, რომ კვლავ მძიმე უღელში შეებას. ზოგი-კი — და რაღა ზოგი? — თითქმის ყველა — დღეს არა სჯერდება და საქმეს ღამითაც აგრძობს.

იმდენად საპატიოა ამდროს შრომა და იმდენად ძვირფასია ყოველი წამი, რომ გლეხ-კაცი ცოდოთ ჩავითვლით; თუ ლაპარიკით მოაცდინეთ. რაც უნდა საჭირო საქმე გქონდეთ, ყურადღებას დიდად არ მოგაქცევთ და ყოველ-თვის ცალ ყბად გელაპარიკებათ.

წარმოიდგინეთ, ამ დროს თვით დედაქაცებიც-კი ჭორებს გაურბიან.

ნაქალაქევის ბოლო, სადაც კალოები იყო გამართული, მიუჩვეველ თვალს შორიდანვე უცნაურის! იტრით ატყვევებდა. მზიანს დღეში მანძილიდან რომ შეგეხედნათ, ოქროს ქალაქად გეჩვენებოდათ. ხელოვნურად დადგმული ძნის უშველებელი ზვინები და ურმეულები საარაკო ოქროს კოშკებსა ჰგავდა. თითოეული კალო, მზის სხივებით აბზინებული, ოქროს პარია ტბად გადაჭულიყო, რომელზედაც პურის სალეჭი კევრები ნავებივით დასრია ლებდა.

მზემ დასაცლეთისაკენ გადაიხარა, ჩასასვენებლად აიბარვა; სხივები დაუჩლუნგდა და წინანდებურად აღარ იკბინებოდა. მთებს თან-და-თან ჩრდილი ადგებოდა. მზე მაინც წამითი-წამ ელვასავით გამოაშუქებდა ხოლმე, თითქოს ამთქნარებსო, და ძნის ურმეულებს ცეცხლს უკიდებდა; მხოლოდ ეს ცეცხლი იმ წუთშივე ნელდებოდა. მნათობის ასეთი გამომეტყველება მიემსგავსებოდა მუშაობისაგან დაქანცულ ადამიანს, რომელიც უკანასკნელ ძალლონეს იკრებავს და ერთ ხანს გამძვინვარებით ებრძვის ხოლმე საქმეს; მაგრამ დაღლილობა თავისას სჩადის და ძალ-დატანებით დაჭიმული ძარღვები ისევ მალე უდუნდება.

აი, ერთხელ კიდევ გამოინავარდა მზის სხივმა, ცელქად გამოეთამაშა კალოებს, მერე მთის მწვერვალთ შესცინა და დასავლეთისაკენ გაიპარა.

მზე დასავლეთმა ჩაყლაპა, მაგრამ სხივები პირში გაეჩირა და სინათლე ცის-კიდურს სვეტებად შეეფინა. ამავე დროს არე-მარეს სიომ დაპბერა, ნალეჭი. ყანა.

ჰაერში თოვლის ფიქალივით ააფორიაქა, რამოდნიმე ხანს ერთ ადგილას ატრიალებდა, მერე-კი მარჯვნივ წაილოდა საღლაც მიმალა.

აქა-იქ ლეჭა შეაჩერეს და განიავებას მიჰყევს ხელი. სდალლილი საქონელი ლამის მეხრეებითურთ ბლავილით აძოვრისაკენ გაემართა. სიო თან-და-თან გაძლი ერდა; ნიაივად გადაიქცა, თითქოს იგრძნო, რომ ამ უამად მეტად საჭირო იყო მაშვრალის ხალხისათვის. შთვლის დღის განმავლობაში ცეცხლში გამოწროთულ მუშათა სხეულს ეს-ნიავი ციურ მოციქულივით მოევლინა და ორ-სამ წამში მათი ოფლში ამოვლებული ძვალ-რბილი და საცვალი სრულიად გააშრო. განიავებულმა ბზემ სივრცე მთლად მოიცვა. ნიავისაგან ანატყორცი ბზე მაღლა-მაღლა-ჯერ შეჯგუფული მიღიოდა, მერე იშლებოდა და გამვლელ-გამომვლელთ შიგ პირისახეში ეფინებოდა. თავ-ზედ ხელსახოც-წაკრული მეკალოენი სარკესავით მორაკ-რაკებულ კალოზე იდგნენ და დღის ნალეჭს ნიჩბით ანიავებდნენ. კევრისაგან დაკნინებული ყანა ჰაერში ფანტებოდა და ჩაკირული ხორბალი-კი მიწას ეფინებოდა. პურის ხვავი თან-და-თან იზრდებოდა და გლეხის გულს იმედოთ ავსებდა.

XXII

მხოლოდ ერთ კალოზე ასეთ სურათს ვერა ნახავდით. იქ თითქოს კალოც დავიწყებოდათ და საქონელიც-უპატრონოდ მიტოვებულ დაუღლებულ ხარებს რამდენიმე კევრი ერთმანეთში გადაეხლართათ და ერთ ადგილას გაჩერებულიყვნენ. კალო მოუგველი იყო, ნალეჭი გაუნიავებელი. კალოზე არავინ სჩანდა.

ან კალოსათვის ვის ეცალა?

იქვე ახლოს, საზაფხულოდ მოწნულ და შალაფით გადახურულ ფარდულში ერთი პმბავი იყო. აქ შეჰნი-შნავდით ხუთიოდე ადამიანს, რომელთა სახე ერთნაირის ლიმილით, ერთფეროვანის სიამოვნებით იყო აღძრული. როგორც სჩანდა, ყველა—ერთად და თითოეული—ცალკე ტკბილის გრძნობით გამსჭვალულიყო და სწორედ ამ გრძნობას დაევიწყებინა მათვის კალოც, საქონელიც და გაუნიავებელი ნალეწიც.

ხორბლით ნახევრამდის მოყრილს ტომარაზედ იჯდა ჩვენი კარგი ნაცნობი ჯარის-კაცი ილიკო ძიბძიბაძე. ილიკოს გვერდზედ მოსდგომოდა ასე ორმოც-და-ხუთის ან ორმოც-და-ათის წლის დედაკაცი, რომელსაც ცრემლით შონამული თვალები ილიკოს სახისაკენ მიექცია, მარცენა მკლავი კისერზედ მოეხვია და მარჯვენა-კი ჩოხასა და ახალუხ შეა ძუძუსთან ჩაეყო. პირველსავე შეხედვით გადასწყვეტდით, რომ ილიკო და ეს მოხუცი დედაშვილნი იყვნენ, ერთმანეთს იმ ზომამდე ჰგვანდნენ. იგივე შავი თვალები, შავვერიმანი სახე და შავივე თმა, რომლის ნაწნავებში აქ-იქ ვერცხლის ძაფივით ჭალარა გამოჰკევოდა.

მარცენივ, ილიკოს შორი-ახლო, ოცის, ოც-და-ორის წლის ქალი გაჩერებულიყო, რომელიც გულხელ-დაკრეფილი, სახეზედ კმაყოფილება-გადაფენილი, დედა-შვილს შესცეკროდა. ილიკოს ზურგს უკან ასე თერთმეტ-თორ. შეტის წლის გოგონა იდგა. ამ გოგოს სახე ცალკე აღტაცებას, ცალკე გაკვირვებას მოეცვა. დაჲყეტილი თვალები სიხალისით უციალებდა. ქუთუთოების შესართავ კუნჭულებში ცბიერი ლიმილი მიმალულიყო. გოგო თითქას

მშად იყო დაეძახნა: „დედა! ჯედა რას მომცემ რომ
გახარო-რამ!“.

ილიკოს პირდაპირ ფარდულის ბოძს მიჰყუდებოდა
ესე სამოცის წლის გლეხ-კაცი, თავზე წითელ ხელსახლც წაკ-
რული, თეთრ პერანგა და ლურჯ შალვრიანი. ამ მოხუცის
სახეს ბეღნიერების ნათელი გადაჭენოდა. თვალებილან
გამონაკრობ სიხარულის შუქს უცნაურად აეელფერებინა
მისი სპეტაკი წვერ-ულფაში, რომელშიაც აქ მრავლად
ბზე და ჩალა ჰქონდა მოდებული. სახის ყოველი კუთხე,
თითოეული ნაოჭი, ღარი ამ არა ჩვეულებვრივ ამბავს
გაეშალა; გაესწორებინა, თითქოს მზრუნველი ხელი გადა-
ჰსმიაო, მოხუცი იდგა გულზე ხელდაკრეფილი და ჩუმად,
ნეტარის ღიმილით შესცეროდა საყვარელს შვილს.
გულზედ რაღაც აწვებოდა, ტკბილად ულიტინებდა, ესა-
ლბუნებოდა და გრძნობებს დინჯად ულელვებდა. მაგრამ
უეცრიად ეს რაღაცა სწრაფად ზევით აგორავდა, გულმა
თითქოს ღელვა შესწყიტა, სამაგიეროდ მოხუცს თვალები
მოეწვა, მერე წყლით დაუგუბდა და ის, რაც აქამდის გულ-
ში უთამაშებდა, ცრემლად დაიწურა. შერცხვა მოხუცს
დედაბრულის ცრემლისა... იგი მიბრუნდა და მსწრაფლ
მოიშორა კამაძა წვეთები, მაგრამ ამასთანავე დანარღვიდე
ეს წვეთები, რადგანაც, მათის წყალობით, მეტის-მეტი სიტკ-
ბოება გამოსცადა.

ფარდულის შუა გულს გჩერებულიყო ხუთი-ექვესი
წლის ბალლი, თითქმის სრულია დედიშობილა. ამ პაწია
ადამიანს ტანი მთლად აჭრელებული ჰქონდა გამხმარის
ტალახით, რომელიც უშველებელ ხალებად სხეულს ზედ
მისწებებოდა. იგი ჯოხის ცხენზედ ბრძანდებოდა შეკუნტ-
რუშებული და, როგორც სჩანდა, ერთის წუთით შემოვა-

რდნილიყო ახალ აშშის შესატყობიდ, მაგრამ არაჩეულებრივ სურათს ერთ ადგილას გაეკავებინა, თორემ აქამდის ათჯერ მივარდებოდა თავისს უფროს ძმას და იმ წითელს პაგონებს. მსწრაფლ გადააგლეჯდა. კარგახანს იდგა ჩვენი მხედარი გაოცებლის სახით და, ხმა ოომარავინ გასცა,— ალბად გარდასწყვიტა: „აქ ჩემი საქმე. არ არისო“; ამის გამო თავის უფეხურ ბედაურს წკეპლა ამოჰკრა, — „აჩუო“ — მიაძახა და კალისაკენ გაქცესლა.

— საიდამ, საიდამ გაჩნდი ასე ანაპლეულად, ჩემო თვალისჩინო? ჩემო მზევ! — ეუბნებოდა დედა ილიკოს და თან გულზე ეკვროდა.

— თქვენი ნახვა მომწყურდა და... დაცეთხოვე — იტყუა ილიკომ ახლა-კი თამამად.

— სხვა, შვილი, ოფორთუ ხარ, შენ შემოგვევლოს დედაშენი? ხომ არა გიჭირს-რა? სლლასტობა ხომ არ გეძნელება, შენ გენაცვალე? — ჰკითხა. კვლავ დედამ შვილს და თვალებში ჩააკერდა.

— რა უნდა უშავდეს რა!.. — უპასუხა ღიმილით ახლად შემოსულმა ხანში. შესულმა გლეხ-კაცმა — მათმა მეზობელმა, ოომელსაც ილიკოს მოსვლა, გაეგო და სანახავად წამოსულიყო.

— არჯანოიპ პური ბევრი აქვთ და „კაპუჟტა“!

აქ ის ილიკოს სიცილით მიუახლოოვდა, მარტენა ხელი ოხუნჯურად საფეთქელთან მიიდო, თანაც წელში ცოტათი გაიმართა და შორიდან ხელი გაუწოდა.

— ბიჭოს.! ღმერთი-რჯული ძალიან მოგხდენია აი სალდასტობა. ისე გასუქებლხარ, ოფორტური წლის კურატი... აჲ, რატო ჩვენ დროს არ იყო სალდასტობა ოომ მეც წავეყვანეთ... მე შენ ჭითხრა, უარს ვიტყოდი თუ. რას

აკეთებთ, შვილოსან? ! მაშ არა და ჩვენსავით წელი გწყდებათ ყანის მქაში!.. დღეში ორჯელ-სამჯელ მიგაბ-რუნ-მოგბრუნებენ და თოფს გათამაშებინებენ... ეს არის ოქვენი დიდი საქმე... მორჩი და გათვდა!

ამ ხუმრობამ ილიკოს წარსული გაახსენა, საყვა-რელ არსებათა სიახლოვის გამო დავიწყებული, და მთლად აურია გუნება. ამიტომ მან მოსაუბრეს სიტყვა ჩამოართო.

— სხვა, ივანე, როგორ გიკითხო სახლობით? —

— ვარ ღვთისა და ბატონის წყალობით... კაი კაცი ვემოყვრები, ავს ვერიდები... ლმერთი მწამს, ეშმაკი—მძაგს. — უპასუხა მხიარულად ივანემ.— ჰმ... რას იწირპლები, ნათლიიდედ!— მიუბრუნდა იგი ილიკოს დედას, რომელიც კვლავ შეილს გაჰყურებდა და თანაც ცრუმლებსა ჰყლა-ჰვდა.

— რანი ხართ, ლმერთმანი, ეს დედა-კაცები და! რა გატირებს, რო ჰტირი? ერთი მითხარ, რა მოჰსევლია შენ შვილს? ! ფეხთ არ დაჰკლებია და ხელთ! აბა, ერთი შახე-დე, რა ზარბაზანი-ბიჭი დამდგარა!

— განა-კი დაუშავდებოდა რამე, მაგრამ დედის-გული ხომ იცი, ნათლი... ჩვილია! ..

— ჩვილია... გამოაჯავრა ნათლიამ.— ჰო და, მეც მაგას ვამბობ, რად არის-მეთქი ჩვილი და!.. არ უნდა იყოს ჩვილი, არა!.. ჰმ... ონოფრე! შენც ხომ შენ დეკაც ბანს არ ეუბნები? — მიმართა ივანემ მოხუცს ღიმილით.

— რაღა ჩემი ბანი უნდა? .. ბანსაც თითონ იტყვის და მოძახილსაც—უპასუხა ღიმილითვე ონოფრემ— მე ვი-ცი, ხმა არ ეყოფა თუ...

— შენც მაგრე, კაცოო?!— გამოელაპარაკა ცოლი

ქმარს და თანაც; განცვიფრების ნიშნად, ორი თითი ტუჩებზედ მიიღო. — განა ყველას შენსავით ქვის გული აქვს? რამდენი ხანია შვილი არ უნახავს და აბა, თუ ერთი ტკბილი სიტყვა უთხრას?.. დგას ხესავით გაშეშებული, ასევონია აქ არაფერი ამბავიაო... აჰა! — ამ მი- ძახებით ცოლმა ქმარს ქოქოლა მიაყარა.

— ვიღას აცლი, შვილოსან? მიგიკრავს ე გულზედ და ახლო არავის უშვებ მაგ კაცთან... რით ვერ გაძლი შენი ძუძუთი? ჩვენც დაგვანებე ეგ აღამიანი... განა ჩვენ კი წილი არ გვიდევს მაგის გაჩენაში?!.

— ერიპა! ამათ აქ ობობას ქსელი გააბეს!... — შეჰკი- ვლა ახუნჯურის კილოთი ივანემ. — არავინ გართმევთ, ნუ გეშინიანთ!.. სახარბიელო არაფერია... — ამ სიტყვებთან ერთად ივანემ ილიკოს ეშმაკურად თვალი ჩაუკრა იმის ნიშნად, რომ არ გეწყინოს, ამათ გასაჯავრებლად ვამ- ბობო.

ილიკომ გაიღიმა და ფეხზედ წამოიწია.

ამ დროს ფარდულის ერთ-ერთ კუთხიდან პატარა ბალლის ფშრუკუნი მოისხმა. ამის გამგონი ილიკოს რძალი იმ კუთხისაკენ გაქანდა. იმ კუნჭულში რამდენიმე სავსე ტომარა ეწყო და ამიტომ არც ბალლი სჩანდა და არც მისი აკვანი. ახალგაზდა ქალი ტომრებს უკან მუხლებში მოიხარა და რამოდენიმე ხანი ასე იყო მხოლოდ ის-ლა სჩანდა, რომ თავსა და მხრებს ატოკებდა, ასევონია, ვინმე ჰყავს თოვით დამბული და იმას ანთავისუფლებსო. ბოლოს წამოდგა და კრებულს შოუახლოვდა. ხელში ეჭირა ასე თოხი-ხუთის თვის ძუძუთა ბალლი, რომელიც მთლად გაჭარხლებული იყო და იქ მყოფთ ამღვრეულის თვალებით ათვალიერებდა.

ილიკოს ბალლის დანახვა გაუკვირდა.

— ხალხნო!.. რატო აქამდისინ არ მითხართ, რომ ჩვენს ოჯახს ერთი ადამიანი კიდევ შეუძენია.—იკითხა იმან მხიარულად და სახე ბალლისაკენ მიაქცია.

— ეთქვათ რა... მე ვიცი, დიდი სამახარობლო კი ერგებოდათ... დიდი რამ განძი შეუძენიათ.—გაიხმაურა სახის ცბიერის მეტყველებით ივანემ.—პირველი და ისიც ცოდის შეიღლი!.. ეგა და ფიდო სახლში დასაყენებლები არ არიან, ღმრთმანი!..

— რათა, ნათლი, რად უწყრები ჩემს გოგონას? რა უყოთ, რომ ქალია? ზოგიერთი ქალია, რომ ვაჟიკაცა სჯობია?! აბა, ერთი შემოხედე, როგორი გოგონაა!—თანაც მოსიყვარულე დედამ პატარა ბავშვი სელში ამაყად შეათამაშა.

— სჯობიან... მე შენ გითხრა, შენ და ფიდო ისეთ რამეს-კი გააკეთებდით რომ... დედა ნახე, მამა ნახე—შვილი ისე გამონახეო... ხომ გაგიგია?—უპასუხა რძალს მანიმთილმა. ის ძალიან ნაწყენი იყო, რომ იმედი გაუცრუვდა; ვაჟი ენატრებოდა და ქალის პაპა კი ვახდა.

— ახლა რა უჭირს, რომ გოგოა?— გაშოესარჩილა გაწიწმატებით პატარას ბებია.— შენ რომ ვაჟიკაცი ბძანდები, ნათლი, მითომ რითი სჯობი ჩვენ ნათლივალაბ კეკეს? მე ვიცი, ოჯახის სარიპტა არ დაუწუნო, ან რძლების დამწესა?!

თუმცა არც თუ ბებია იყო კმაყოფილი, რომ იმის შვილს ქალი მიეცა, მაგრამ მაინც ის ყველაზე ადრე შეურიგდა ოჯახის პატია წევრს, რაღანაც დარწმუნდა, რომ, რაც მოხდა, იმის გასწორება აწ შეუძლებელი იყო; მით უფრო, რომ ამგვარი საქმე მართას (ასე ერქვა ილი-

კოს. დედას) ყოველთვის ღვთის განვებად მიაჩნდა. ამიტომაც ბეპია ყოველთვის მფარველობას უწევდა შვილიშვილს, როცა ვინმე უსამრთლოდ წაედავებოდა ხოლმე.

თითონ ის-კი, ვინც ასტეხა ეს მცირე კამათი, ყურადღებას როდი აქცევდა მოლაპარაკეთ. დედის ძლიერ მკლავებზედ გადასცენებულს მარჯვენა ძუძუ პირში ჩაედო, მარცხენასთვის-კი ხელი ჩაევლო და ეჭვის თვალით, შუბლ-ქვევიდან გაჰყურებდა მისთვის სრულიად უცნობილიკოს, რომელიც ძმისწულს ღიმილით უცქეროდა.

— თქეენი ჭირიმეთ, ხალხნო, რა მაღიანადა სწოვს!.. ასეგონია, მთელი დღე მარგლაში დაულამებიაო. — შეპყვირა სიცილით ილიკომ და ტაში შემოჰქო. პატარა ქალა ბატონშა, — იუკადრისა ეს სიტყვები, თუ რა იყო, — ძუძუს თავი გაანება, ცოტა ხანს დააცქერდა პაწია თვალბით ილიკოს, მერე ერთბაშად რაღაცნაირად დაიზმუილა და კვლავ თავის მასაზრდოვებელს დაუბრუნდა.

— რომ მშვიდობა იყოს, ვისა ჰგავს? — იკითხა ილიკომ.

— თომას უნდა ჰგვანდეს — უპასუხა მართამ.

— არა, თომას არა ჰგავს — სოჭეა გადაჭრით ონოფრემ.

— რა უიცი, ჰელო-კი იძახის, მუცელი იმაზე მენძრაო...

— რას ამბობთ, ხალხნო! რა დროს მაგის. მგვანებაა: თითის ტოლა ხორცის ნაჟერა... მაგის ჯერ არც თვალი ეტყობა, არც ცხვირი — გაეპასუხა ცოლ-ქმართ ივანე.

— ველ მოგალთვი, ნათლი, დანივლული ბადლიჯანი...

— უთხრა მართამ ივანეს ნიშნის მიგებით და ენის მოკიდე-

ბით, თითქოს ბავშვის ტიტინს პბატავსო,—აბა, ელთი შემომხდე, ლა სავი თალები მაქვს.. ლასი მოგეწონები!.. პელო,—მიუბრუნდა დედამთილი რძალს—აბა, შეხედე, თვალებში ილას არა ჰეგავს?!

— ოღონდაც! ღმერთმანი, შენა გვავს აი, ჩემო მაზლო—მიმართა ღიმილით პელომ ილიკოს.

ილიკოს ეს მსგავსება როგორლაც საეჭვოდ დარჩა და გაეცინა.

XIX

— ე ყველაფერი კარგი, მაგრამ ე კალო რო ასე გრჩებათ,—ალება არ უნდა?—მოაგონია ივანემ—თებრო, თებრო, შენ გაზდას, მაიტა ერთი, წყალი დამალევინე— მიმართა მან პატარა გოგოს, რომელიც იქვე, ფარდულის ერთ-ერთ ბოძთან მივიღა, სადაც კაკლის პაწია ტოტები მრავლად ეყარა, ასწია ეს ტოტები; ამოილო თრმოდან ლიტრა და სტუმარს მიუტანა. ცივ-ცივ წყალს ივანე ხარბად დაეწაფა.

— ჰაი, ყოჩალ!—უთხრა ივანემ თებროს, როცა ლიტრა უკანვე დაუბრუნა, თანაც მხარზე ხელი დაკურა—შენს ქორწილში ჩემი ბებერი ფეხებით სულ ბუქნას ჩამოუვლი!.. ახლა-კი წავიდე, კალოს მივხედო, თორემ გვიანდება.

ყველანი კალოზე გამოვიდნენ და საქმეს შეუდგნენ. ილიკომაც ჩოხა-ახალუხი გაიხადა და,—თუმცა დედა ძალიან უშლიდა,—ხელი მიჰყონალეშის განიავებას. ქა-ლებმა ცოცხები დაიჭირეს და დაუწყეს შორს. გაფანტულ მარცვლებს ხვავზე მიხვეტა. მამამ-კი საქონელი გარეკა, რომ ღამის მეხრისთვის ჩაებარებინა.

დაბინდდა. განივებას მორჩნენ. თავთავს ძალიან ხეირიანი გამოსავალი ჰქონდა. ცალკე ეს გარემოება, უმთავრესად-კი ილიკოს მოსვლა მიზეზი იყო, რომ მთელმა ოჯახმა ძალიან მოიგუნება. ყველანი დიდ ფუსტუსში იყვნენ. ახლო-მახლოს ჰაერი გემოიანი საჭმლის სუნით იყო შეზავებლი. პელო და თებრო, ჯერ კიდევ არ დაბინდებულიყო, სოფელში წავიდნენ და დაბრუნებისას თან ქათმები, ახალ-ახალი შოთები, ხელადებით ღვინო და სხვა კუჭის მანუგეშებელი სანოვაგე მოიყოლიეს.

ამასობაში ონოფრეს კალოზე ზოგიერთა მეზობლებმა და ნათესავებმა თავი მოიყარეს, ყველანი ილიკოს გარს ეხვევოდნენ და ათასნაირის კითხვებით მოსვენაბს არ აძლევდნენ სამხედრო სამსახურის შესახებ. ილიკოს ის უკვირდა, რომ თითქმის ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, — ჯარში სამსახური სასიამოვნო არისო. ერთი ეს არის მხოლოდ, რომ ოჯახს მუშა ხელი აკლდებათ. ილიკოს უნდოდა დაემტკიცებინა მათთვის, მართალი როდი ამბობთ, შემცდარნი ხართო. იგი მზად იყო სული და გული გადაეშალა, დაენახვებინა, რა ვარამი გამოეცლო და გამოეცადნა ამ მოკლე ხანში სამსახურის გამო, მაგრამ ვერა ჰგება და, რომ მშობლები არ შეეწუხებინა.

ამას გარდა, ილიკოს სულ სხვა აზრი უტრიალებდა თავში. იმისი ფიქრი ნინო იყო და ამ გოგოს გათხოვების ამბავი. რა გზით, ან ვისგან შეეტყონამდვილი? ვიდრე შინ მოვიდოდა, დარწმუნებული იყო, ყველაფერი თავისთავად გარიგდებოდა, საჭმის ვითარებას მალე გაიგებდა და. სწრაფადვე მოუვლიდა ამ საჭმეს.

მაგრამ ახლა-კი იღიკოს განზრახვამ სულ სხვა მიმართულება მიიღო. ვისა სცხელოდა ნინოსა ან ილიკოსათვის? ყველას უნდოდა თავისი გულხმიერება დაექმაყოფილებინა „სალიდასტობის“ გამო, რადგანაც თითოეულის შვილსა თუ ძმას აზრეთუ გვიან ილიკოს ბედი მოელოდნა. კითხვას ჟაკითხვა მოსდევდა, პასუხს კიდევ—პასუხი: ილიკო ვერ ასწრობდა ერთისოფის გაეცა პასუხი, რომ მეორე დაუწყებდა ხოლმე ლაპარაკს იმავე საგნის შესახებ. ეს ჭამა-სმა, ეს ჩაცმა-დახურვა, მეცაღინეობა, უფროსები... და, ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ.

— ილავ, აი... რა ქვიან, თოფს რომ მხარზედ გაიდენ ხოლმე.—ჰკითხა სიცილით ივანემ.

— „ნაპლაშო“

— კაცო! მახსოვეს წინად მაგრე როდი იძახდნენ, აი... მილიცია რო იყო, მაშინ ასე უყვიროდნენ ხოლმე—ივანე გაიჭიმა, თავი მაღლა ასწია, გული გადმოაგდო და გაჭიანურებით დაიძახა—თოფი მხარზე გაიიადე!.. წინად ყველაფერი ქართულად იყო.

— ახლა-კი რუსულად არი?—იკითხა ვიღაცამ.

— რუსულად არი.—მიუგო ილიკომ.

— მერე და... ქართულმა რა დაუშავათ—იკითხა იმანვე.

— უნტრეკ-აფიცარები რუსები არიან და იმიტომ.

— შე კაი კაცო, ეგ მუდრეგ-აფაცარები არიან, თუ მამაოხრიშვილები, განა ჩვენი კაცები-კი არ ივარგებენ? მხარზე თოფი თუნდა რუსულად გამიღვია, თუნდა ქართულად—სულ ერთი არ არის?!—იოხუნჯა ივანემ.

— ალბად ერთი არ არი, თორე ხომ არც ასე იქნებოდა.—დაასკვნა ვიღაცამ.

ამ საუბარს ვახშამი მოჰყვა, რომელიც კარგა ხანს

გაჭიანურდა, ასე რომ სოფლიდან კანტი—კნუტიდ მამლის პირველი ყივილი მოისმა. სტუმრები სრულიად კმაყოფილნი დაიშელნენ, — ჯერ ერთი იმით, რომ იღიკონახეს და ბევრი საგულისხმიერო ამბავი გაიგეს და მეორეც იმით, რომ კარგი ვახშამი მიიჩოვეს.

ხმაურიაბა ონოფრიანთ კალოზედაც მისწყდა. მთელი ის არე-მარე სიჩუმეშ მოიცვა. შრომა განვენებას მისცემოდა. ხანდა-ხან-კი გაისმოდა ძალაში ყეფა და კალოზედ დარჩნეილის საქონლის ბლავილი, ან დაგვიანებული ურმის მძიმე ჭრიალი.

XX

იღიკონ გარედ იწვა დიდი ურმეულის ძირას. თავით დედა მოსჯდომოდა და მშობლიურის მზრუნველობით ერთ ხელს შუბლზედ უსვამდა და მეორე-კი უბეში ჩაეყო. იღიკონ არ ეძინა, ან რა დააძინებდა? ძლივს ხელთ სანატრელი დრო მოიგდო და ისა და დედა მარტონი დარჩნენ. საწყალს, როცა სტუმრები დაიშალნენ, ეშინოდა, ვაი თუ დედაჩემს დალლილობამ დასძლიოს და თავი ძილმა წაართოსო.

მაგრამ დედის მოყვარულ გულს, საყვარელ შვილის ახლო, რა ძილისათვის სცხელოდა?. მას უნდოდა მოეკლა წყურვილი დედაშვილურის სიყვარულისა, დამტკბარიყო იღიკონს სიახლოვით ისე, რომ სხვა არავინ ჰყოლოდა თანაზიარი, სხვისი თვალი არ შეჰქებოდა მის „გიშერა“ ბიჭის სახეს, სხვის სუნთქვას არ მოეწამლა ის ჰაერი, რომელსაც იგი ისუნთქავდა, — ერთის სიტყით, — რომ იგი ყოფილიყო, ცოტა ხნით მაინც, მარტო მისი და მისი, ეს თავ-კერძაობა დედისა მართას არსებაში ამ ჟამად

იმდენად იყო გაღვიძებული, რომ არამც თუ ორს ან სამს საათს, არამედ მთელს სიცოცხლეს გაატარებდა ამ ყოფაში, ოლონდ-კი ხელი არ შეეშალათ. და განა გაიმტკუნებოდა მართა ამის გამო? — სრულიადაც არა! სხვა დრო სად მოეპოვება გლეხის დედაკაცს, რომ შვილის ალერსით დასტკბეს?! მთელი დღე ისე გაივლის, დედა-შვილი ერთმანეთს თრჯერ თუ სამჯერ ძლივს გამოელაპარაკება და ისიც მხოლოდ საქმეზე და, ნუთუ დეჭას ის ნუ-გეშიც უნდა მოესპოს, რომ ორის ან სამის წუთით, ძილის დროს, შვილს არ მიუალერსოს, შუბლზედ ხელი არ მოუსვას და თავი არ დაუკორტნოს?!

და მართაც განა სხვაფრივ იქცეოდა? განა აღგზნებულის კილოთი ეალერსებოდა დიდის ხნის უნახავს ილას? ისიც მხოლოდ, როგორც ჰევითაა ვთქვი; შვილს შუბლზე ხელს უსვამდა და თანაც ჩუმად, ტუჩების ოდნავის ნძრევით უჩურჩულებდა: — ჩემო ამამავალო მზევ... ჩემო დამტირებელო შვილო! -ო.

და ეს სადა და უბრალო სიტყვები ისეთის გრძნობის გამოშატველი იყო, რომ გეგონებოდათ აშ აღამ-მიანის არსება შთლიად ამ სიტყვებად გადაჭცეულაონ-ხელის ყოველი გადასმა საამურად უღიტინებდა მართას გულს და ამ დროს იგი იმ ზომამდე იყო ბეღნიერი, რომ თვალებზე ცრემლები ადგებოდა.

ილიკოს არ ეძინებოდა, ჰბორგავდა და რაღაც მოუს-ვენრობა ეტყობოდა. შუბლი უხურდა. ეს ამბავი შეუმ-ჩნევლი როდი დარჩა მშობლის გულმტკინეულობას.

— შვილო, შენ გენაცვალოს დედა, მოუსვენრად რადა ხარ? შუბლი რად გიხურს, შენ შემოგვლე? — ეკით-ხბეოდა გულის შეფრთხიალებით მართა.

ამ სიტყვებს ილიკომ საშინელის ამოოხვრით გასცა
პასუხი. დედის გულში ეს ოხვრა მეხის მსგავსად გაისმა.

— რა იყო, რად ოხრავ? მითხარი, შენ შემოგე-
ვლის დედაშენი! — შეშფოთდა საწყალი დედაკაცი. გული
თითქოს მიუხვდა, რომ ილიკოს ასეთი ამოკვნესა უმიზებო
არ უნდა ყოფილიყო... მერე ისე მულოდნელად მოვიდა
სახლში, რომ... და აქ მართას თავში გაიბა ფიქრთა
დაუსრულებელი გრეხილი, რომლზედაც დახვეული იყო
ათასი შავბნელი და სამგლოვიარო მოსაზრება და დას-
კვნა, — ერთი მეორეზედ უფრო მწარე, უფრო სულის
შემხუთველი...

— მითხარ, მითხარი, აგრემც შენს ბეღნიერბას
შემასწრებდეს ღთვის მშობელი! მითხარი, რა გიწუხებს
გულს? მე რომ არ მითხრა შენი ვარამი — შენს დედას, — მაშ
ვის-და უნდა გაუზიარო? ვის შესტკივა შენოვის გული
ისე, როგორც მე! შვილო, ცხრა თვე მუცლით გატარე,
კინალამ ზედ გადავყევი შენს გაჩენას... მითხარი, გენა-
ცვალე, შენ შემოგევლე!..

ილიკო სწრაფად გულდაღმა გადატრიალდა და თავი
ცივ ბალიშს დაადო, რომ გახურებული შუბლი გაეგრილე-
ბინა. მთაღწია სასურველმა წამმა, მაგრამ ვერა ბედავდა,
რცხვენოდა... ან როგორ უნდა დაეწყო, არ იცოდა.
მართალია, ახლა დედას ელაპარაკებოდა, მაგრამ მაინც
ეკრძალებოდა გულის-პასუხის გამომჟღავნება.

მართას თან-და-თან მღელვარება ემატებოდა. შვი-
ლის ყოყმანი უფრო და უფრო შავის ძაბით ჰმოსავდა.
დედის ფიქრებს და, ვინ იცის, ამ წუთში რა არ წარ-
მოიდგინა ამ საცოდავმა აღამიანმა: — იქნება, სამსახურში

უბედურება-რამ შეემოთხვა... იქნება, გამოპარულიც იყოს... ერთიც ვნახოთ, მდევარი მოვიდეს... გამოსტაცონ ხელი-დან დედის ნუგეში და საპყრობილეში ჩააგდონ... რა ქნას მაშინ?...

— ნუ მკლავ... ნუ მისპობ სიცოცხლეს! — მიმართა მან შვილს სასოწარკვეთილებით და თან ილიკოს ცხარე რცემლები დააყარა.

ამ გულმხურვალე თანაგრძნობამ გააბედინა და წარ-მოათქმევინა ის, რაც კარგა ხანი ილიკოს არსებას ჯა-ლათივით აწამებდა.

— დედი, ჭიმიაანთ ნინო მართლა თხოვდება? — წამოილულლუდა გაუგებრად ილიკომ და თან იგრძნო, რომ სახეზედ ალმური მოედო.

მოკაშუშე მთვარეს რომ ფეხი აედგა და ამ წუთს კალოზედ მოსდგომოდა, მართას ისე არ გააკვირვებდა ეს ამბევი, როგორც ილიკოს კითხვამ გააოცა,

— მერე, რა არის რომ თხოვდება? — ჰერთა მართამ დამშვიდებით.

ილიკო ლოგინიზედ წამოჯდა. მომაკვდავივით გა-ფიტრებული იყო. სახე ფილენჯიანივით დაპრანჭოდა.

— დედი, მრთლა თხოვდება? — განიმეორა ილიკომ ყრუ-ხმით.

მართა შვილის სახის ასეთმა მტყველებამ საკმოდ შეა-შინა, მაგრამ ამსთანავე მიხვდა, რაც იყო ილიკოს შეწუ-ხების მიზეზი და დამშვიდდა, გულს მოეშვა, რადგანაც შავბნელი აზრები არ გაუმართლდა.

— ასე ამბობენ, შვილო და... ნამდვილი-კი ჯერ არავინ იცის...

— რა ვქნა?!.. თქვენ რალას აკეთებდით? — ჰეთხა
ილიკომ ცოტათი დამშვიდებით.

— ლაპარაკი ჩვენცა გვქონდა... მართალია, ყოყმა-
ნობდნენ, მაგრამ, როგორც იყო, დავიყაბულეთ... და-
გვპირდნენ, დავუცდითო, ვიღრე სალდასტობას გაათა-
ვებსო. ახლა-კი ხმა დააგდეს სოფელში, — ნინოს მდი-
დარი საქმრო გამოჰქინიაო. ხომ იცი, შვილო, რა დროა
ახლა? მოსავალი კარზეა... მინდორში ხომ არ დავალ-
პობთ... ღვთით უხვად მოვიდა... ისე ვართ გართულნი,
რომ იმდენი ვერ მოვიცალეთ; საქმის ავ-კარგი ღოპტო-
ლრივ გაგვეგო. სულ ვაპირებდით იმ თჯახის ნახვას,
მაგრამ ხომ იცი, შვილო, ჩემი მდგომარეობაც... ეს სახ-
ლიო, ეს კარიო და... ღვთის წინაშე, ავი არავისაგან
არ გამიგონია... თვალ-ტანადაც მოსაწონი ყოფილა
ი გოგო... ერთხელ ობაში ვნახე, მთავარ-ანგელოზობას..

ილიკოს რომ თავი ბალიშზედ არ ჰქონდა დაყრ-
დნობილი, მართა შენიშნავდა, რა მრავალფეროვანად
იცვლებოდა შვილის სახე: — ხან იმედი უბრწყინებდა და
ხან სასოწარკვეთილება შავ-ლრუბელივით ჰლუშავდა.
უკანასკნელმა სიტყვებმა ილიკოს ისეთი კმაყოფილება
აგრძნობინა, რომ გული ძალუმად აუტოკდა. ძვირფას
შშობელს მისი საყვარელი ნინო მოსწონდა — ამაზე მეტი
სიამოვნება სხვა რაღა იქნებოდა?! მაგრამ როდესაც გა-
ახსენდა, რომ ყველაფერი ეს ცარიელი ოცნება იყო და,
იქნება, იმ წამს, როდესაც იგი დედას ნინოზედ ელაპა-
რაკებოდა, მისი და იმ გოგოს ბედ-ილბალი უკვე გადაწ-
ყვეტილი იყო...

მართა-კი ამ საქმეს სულ სხვა თვალით უყურებდა.
მართალია, იცოდა რომ ილიკოს ნინო ცოლად უნდოდა,

მაგრამ იმას როგორ წარმოიდგენდა, თუ იმ გოგოს სიყვარული იღიკოს ასე მკვიდრად ჩაეჭრებოდა გულში. საზოგადოდ, გლეხობაში ბიჭისაგან ქალის მოწონება ყოველთვის ცოლ-ქმრობით როდი თავდება და ბევრჯერ მოწონება შორიდან არშიყობის ფარგალს არ გადასცდება ხოლმე. ამის მიზეზი ათასნაირი ანგარიშია. მართასაც ასე ეგონა.

ახლა რა ვუყოთ, რომ მოსწონსო? იმაზე ხომ არ ჩამოწყვეტილა სალამიო?! რომელი ფვალ-დასაყენებელი გოგო დაიწუნებს ჩემს შავთვალა ილასაო?! — ასე ფიქობდა ხოლმე მართა და ამ ქამადაც ასე დაიწყო ლაპარაკი.

— თუ არ შეგვეხვეწებიან, შვილო, არც კი ვიკადრებთ იმათ ჭრელ-თვალა გომბიოს... ჰო, შენმა მზემ! გასანაზი, იმათ-კი არა, ჩვენა გვაქვს... მე ვიცი, სასძლოს ველარ ვიშოვნით თუ!... ამას წინად დეიდაშენი იყო აქა და თავისებურად შემომხარა: ასეთი გოგო ავურჩიე ჩემს „ნახ-შირა“ ილასა, რომ თითო მკლავი ბარძაყის სიმსწო აქვსო!... ის რომ თუ კოკას ერთად წამოიკიდებს, — ასე გეგონება, — ზაყ-ბაყ მდევი მოაბიჯებსო!... იმის პურის დაკვრას თვით მტერიუ-კი შეჭნატრისო!..

მართას ნატვრა სულ ის იყო, რომ იღიკოს საცოლე თავიანთ სოფლიდან მოეყვანა. ამიტომაც ცდილობდა დიდის ხელოვნებით დაესურათებნა დეიდას მიერ შერჩეული საპატარძლო.

იღიკოს ართრად ეჭაშნიკა ლირსება-მშვენებანი მისი მომავალის მეუღლისა. როდესაც ისა და ნინო ერთმანეთს შეადარა, ისეთი ზიზღი მოუვიდა, რომ გაბრაზებით ვადა-აფეროთხა.

— არა, დედი! მე ნინოს მეტი ცოლი არავინ მინდა! —

ეს სიტყვები ილიკომ ისეთის გადაჭრით და აღზნუ-
ბულის კილოთი წარმოსთქვა, რომ მართა პირ-ლია დარჩა.
ახლა-კი მიხვდა, რომ ილიკო აღარ ხუმრობდა... რომ
ილიკოს გული იმ „რუსის შეთითხნილ“ გოგოს სრუ-
ლიად დაეფლო. ამის განცდა იყო და მართამ იგრძნო,
რომ გულში რაღაც ჩასწყდა... რომ მისი დედაშვილუ-
რი გრძნობა ვიღაცამ გაკაწრა და დააწყლულა. მართას
შურდა ილიკოს ნაზი, სათუთი სიყვარული იმ გოგოსა-
დმი. დედის გონებას, მშობლიურის გრძნობით დაჩრდი-
ლულს, ვერ განესაზღვრა ხასიათი იმ ვნებისა, რომელიც
ასეთის ძლიერებით იზიდავდა ილიკოს შვიდი-უცხო ადა-
მიანისაკენ. ამას გამო თკისტ გრძნობა — ეს წმინდა-წმინ-
დათა დედისა — მართას შებღალული ეფონა.

მაგრამ რას იზამდა? იძულებული იყო თავისს ჰვედრს
დამორჩილებოდა. ასე იყო თუ ისე, ახლად აღმრულს
გრძნობას ილიკო შესამჩნევად შეერყია და, ეჭვ-გარე-
შეა, დედის მზრუნველი გული დიდს ანგარიშს ვერ გა-
უწევდა პირად სურვილებს. მართა ხედავდა, რომ ისევ
შვილისათვის უნდა ეზრუნა. სწორედ ასეც მოიქცა.

— თუ მართლა ის გოგო გულში ასე ჩაგვარდნია,
მაშ, ვიდრე აქა ხარ, საქმეც გავათავოთ, ნამდვილი სი-
ტყვა ჩამოვართოთ იმ ხალხს, რომ დაიმედებული წა-
ხვიდე...

— აჯ, შენ-კი გენაცვალე, დედი! რა-ნაირად და-
შაამე გული! — შეპყვირა გრძნობით ილიკომ და ინსტიქ-
ტიურად მშობლის ხელი, მაღლობის ნიშნად, გულზედ
მიიკრა. — რომ იცოდე, დედი, ჩემი ამბავი! რომ გავიგე,

ნანო თხოვდებამ, კინალამ გავგიუდი! ოჩანსავით დავდო-
ოდი და რომ არ გამოპარულიყავ... .

— როგორ თუ არ გამოპარულიყავ?! — ჰერთა მარ-
თამ გაკვირვებით. ილიკო ამ თავ-დავიწყების გამო აი-
რია, არ იცოდა, როგორ მიეფუჩქებინა საქმე და კარ-
გა ხანი იზმუილა, ასე გონია პირში ცხელი ლუკა
უდევს და გასანელებლად აქეთ-იქით აქანებსო.

— ჰო, და... გამოპარვას ვაპირებდი, რომ არ და-
კეთხოვეთ — წამოილულლულა როგორც იყო.

მართა დამშვიდდა.

— რამდენი ხნითა ხარ დათხოვნილი?

— ესე, ექვსიოდე დღით. — ილიკო; — რა-კი საქმის
ძოგვარების იმედი მიეცა, — ძალიან გაგულუხვდა და გა-
მოპარვის ვადას სამი დღეც ზედ წაუმატა.. ის ახლა იმ
ზომამდე იყო კმაყოფილი, რომ მომავალი აზრათაც არ
მოსდიოდა, რაკი დედა დაჰპირდა, უეჭველია საქმეს დამ-
ში მოვიყვანო.

— მაგრამ... დედი!.. სხვა სასიძო რომ ჰყოლიას
ჭიმიანთ... იმას რაღას უჩემენ?

— ტყუილია, შვილო! სასიძო კი არა, გადასასიძო!..
აი, როგორ არ ს საქმე... შენც გეცოდინება, ნინოს მო-
სწრებული მმა ჰყავს... ის ბიჭი ერთ ოჯახს ემოყვრება,
მაგრამ ისინი თურმე გაიძახიან, სანამდე სასიძოს გასათ-
ხოვარი და კისერზედ ახვევიაო, მანამდე ჩვენს ქალს ვერ
მოგცემთო... ჩვენ მულისაგან ცხვირში სარახუნებელი
ქალი არა გვყავს, დედამთილის ტუნტურიც ეყოფაო...
და მოიშორე და ჩვენ ქალს, თუ გინდა, ოქროს სინზედ
მოგართმევთო... ჰო და მართლიც არის... ის ცოდის-
შვილი ოჯახს თავზედ აწევს და იმის ძმას კი რა ეცო-

ლება? აი, ამ მიზეზით ჭიმიაანთ ხმა დააგდეს, ნინოს სა-
მრო გამოუჩნდაო... იქნება, ამით ქალიანი დავაამოთ და
დაგვჯერდნენო... აი, როგორ არის საქმე! არც გათხო-
ვება და არც ქორწილი!.. რას ამბობ, შვილო?! შენის-
თანა სიძეს ვინ მოერიდება? სამნი ძმანი ხართ და ერთი
ცოდვის-შვილი და გიგდიათ... რა ვიცი, ისე როგორ
გაგიჭირდებათ, რომ სამმა ვაჟიკაცმა ერთი გოგო პირ-ნა-
ხლად ვერ გაისტუმროთ?!

— მაშ, დედი, როდის გადავწყვიტოთ ეს საქმე? ხომ
იცი; მე წასასვლელი ვარ და ასე უიმედოვან რომ წავი-
დე, ბარე აქვე ყელი გამამჭრათ, —ის მირჩევნიან!..

დედის ლაპარაკმა ილიკო ძალიან წაათამაშა და ახლა
შოურიდებლად გამოსთქვამდა თავის წუხილს.

— პაი, შე ლაჩარო, შენა! ერთი გომბიოს გული-
თვინ ემაგრე როგორ ირცხვენ თავს?! — ამ სიტყვებთან
ერთად მართამ შვილს ალერსით ლოყაზედ ხელი გაუწ-
კაპუნა. — აი, შვილო, ხვალ შაბათია — არაფერი იქნება —
საქმის დღეა... ხვალზევით უქმეა, შავაბათ ურემი და
ნათლიდა ზაქარას ვესტუმროთ... ნათლია ზაქარა და ჭი-
მიაანთ ოჯახი ისე არიან თურმე ერომანეთში, როგორც
ჩვენა და ნათლია ივანე... ზაქარას მელაკუდაობა ხომ
იცი... ამისთანა საქმეში იმან ბორძიკი არ იცის... თუ
გინდა, ისე გამოაპარებს და ისე მოგვირის იმ შენ გოგოს,
რომ ნიავმაც-კი ვერა გაიგოს-რა... .

XXI.

დედა-შვილს ჯერ რჩევა-თათბირი არ გაეთავებინათ,
რომ შორიდან სიმღერა შემოესმათ.

ეს სიმღერა ურმული იყო.

მაგრამ არ ვიცი, მკითხველო, გაგიგონია-კი როდისმე
ურმული ზაფხულის მთვარიან. დამეში? თუ არ გაგიგო-
ნია, — მაშ ნუ დამემდურები, ვინიცობაა. ჩემმა აღწერამ
ვერ დაგაკმაყოფილოს. აქ, იქნება, თვით გენიოსსაც უმტ-
ყუცნოს კალამმა და. მე, — ერთი მორიგი მჯღაბნელი,
სათვალავში რა ჩასაგდები ვარ?!

ურმულის მიერ ადამიანის სულსა და გულზედ და-
ჩნეული შთაბეჭდილება სხვა-და-სხვა გვარია. ის, ვინც არ
იცის ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრება, მისი ყოველ-წუთი-
ერი ტანჯვა-ვაება წარსულშიაც და აწყობიც, გამუდმე-
ბული ბრძოლა ბუნებისა და ცხოვრების. მრავალ-ფერო-
ვან მოვლენასთან, იქნება არც-კი მოიხიბლოს ამ თავი-
სებურის ჰანგის მეტყველებით... არც ის გამიკვირდება,
რომ მან სთქვას კიდეც: — ეგ თქვენი ურმული მხოლოდ
უხეშ სმენას თუ დაატკბობსო. შეიძლება, არცა სტყუო-
დეს... კაცია და გუნება... მაგრამ ჭეშმარიტი ქართველი
მაშინათვე იგრძნობს, რომ ურმულში ჩაგრეხილია, ჩაქ-
სოვილია სული და გული ქართველის ერისა. და ის
კი, რაც გამოსთქვამს საიდუმლოებას ერის გულის-პასუ-
ხისას, სულთა-ძვრისას, — მე მგონია, და შენც დამეთან-
ხმები, რომ მარტო უხეშ სმენას როდი უნდა ატკბობ-
დეს.

არის ისეთი სიმღრა, რომელსაც თვით ხელოვნე-
ბის დიდებული ქურუმიც-კი. ვერ დასძლევს, ვერ აართ-
მევს ალოს და ვერ მოუქებნის იმ იერს, რომელიც
ჰქიბლავს ხოლმე მსმენელს. მაგრამ ხშირად მოხდება,
რომ ამავე სიმღრას ერთი უბრალი აღამიანი, რო-
მელმაც არც-კი იცის, არსებობს თუ არა ქვეყნად სიმ-

ლერის წესი და რიგი, ისეთის გრძნობით განმსჭვალავს,
ისეთის მაღლით აღავსებს, რომ განცვიფრებას ეძლევი.

ურმული ერთი ამ სიმღერათაგანია:

რამდენჯერმე გამიგონია იგი ნამდვილ მომღერალი-
საგან და უბრალო გლეხ-კაცისაგანაც. და არასდროს მომ-
ღერალს არ აღუძრავს ჩემს არსებაში ის უცნაური, — თან
ნეტარი, თანაც მშარე, — სევდიანი გრძნობა, რომელსაც
ყოველთვის ამიშლიდა ხოლმე უბრალო აღამიანის სადა,
მაგრამ მუდამ კილოიანი ღულუნი.

ან, იქნება, ამის მიზეზი იყო ხოლმე ურმის გულ-
გამაწერილებელი ჭრიალი, ხარ-კამეჩის დარბაისლური ფე-
ხის ბაკუნი, მეურმე თავისის სახრის ტკაცუნით და შო-
ლტის ტყლაშუნით და მთვარიანი ღამე, ყოველივე ეს
ერთად შეთანხმებული, ვით ბუნებრივი აკომპანიმენტი
ჰანგისა, — რომელსაც მოკლებულია მომღერალი ...

და ადგანაც ახლა მე და შენ, მკითხველო, სწო-
რედ ასეთი გარემოება ხელს გვიწყობს, მოვუსმინოთ მე-
ურმეს მისი სიმღერა.

მკითხველო, შენს ცხოვრებაში, ხშირად თუ არა,
ერთხელ მაინც აღბად შეგხვედრია სევდით აღსავსე თვა-
ლები. შეიძლება, ამ თვალების პატრონი გაჩუმებული
იყოს, უმოძრაო, მაგრამ, სამაგიეროდ, მისი თვალები მა-
ინც მეტყველებს, მეტყველებს... სევდას... ან იქნება,
იგი. იცინოდეს კიდეც, მხიარულებდეს, კეკლუცობდეს.
თვალები მაინც მეტყველებს, მეტყველებს... ისევ იმავე
სევდას... სევდა ამ თვალებისათვის განუშორებელი შინა-
არსია, ბუნებრივი, უცვლელი... მოხდება ხოლმე, რომ
ამ თვალების იერი თითქოს უცბად ფერს იცვლის... მა-
გრამ, რომ დააკვირდე, ადვილიდ შეატყობ, რომ იცვა-

ლა თვალების იერი-კი არა, არამედ — იერი სევდისა. აქა-
მდის თუ სევდა თხლად იყო მოდებული თვალებში,
ახლა უფრო გახშირდა ღრუბელივით, ჩატბორდა აზეირ-
თებულ მორევივით და აქა-იქ სილრმებში თითქოს ცრემ-
ლმა იწყო ციალი.

თუ ერთი-და-ერთი ჩაუკვირდი ამ თვალების მეტ-
ყველებას, — სამუდამოდ სამახსოვროდ დაგრჩება, თავის
დღეში არ დაგავიწყდება, როგორადაც რომელიმე დია-
დი აზრი, იდეა....

რომ შეაძლებელი იყოს, ხმას, ჰანგს ხორცი შეასხა-
და ხედვისათვის საჩინარი ჰყო, მაშინ ურმული სწო-
რედ იმ სევდით აღსავსე თვალებად განხორციელდებოდა.
ხმა-შეკიდებულ ამოძახილში, თუ დაბლა დამდოვრებულ
ფარდებში განუწყვეტელი სევდა გაისმოდა, ხან მშფო-
თავი, ცეცხლივით შწვავი, ხან მონელებული, მიბნედი-
ლი, ვით ბინდ-ბუნდი მწუხრისა.

როგორადაც ის სევდით მოცული თვალები არავის-
და არაფერს არ უჩიოდა, სწორედ, იმის დაკვალუდ, ურ-
მულიც არავის ჰყველრიდა, არავისამხელდა. თვალებშიც
და ურმულშიაც თანასწორის ძლიერებით გამოითქმოდა
რაღაც ბედისწერითი კაეშანი, თითქოს ეს კაეშანი მხა-
ტვარი ყოფილიყოს და თვისის ხელით ეხატოს. თავისივე
სახება — ერთს შემთხვევაში თვალების მეტყველებით და
მეორე შემთხვევაში — ჰანგთა აღზნებით.

ასეთი იყო ურმული, — ეს სიმღერა სევდა-კაეშნისა.

სივრცეს მეურმის ხმა თამამად აპობდა, რადგანაც
ირგვლივ მყუდროება იყო გამეფებული. და გზად სხვა
არავითარი დამაბრკოლებელი ხმაურობა არ ეღობებოდა.
ჰაერი თრთოდა, ირყეოდა ხმის ნავარდჩე, თითქოს შიგ

სხივი-რამ შეიჭრა და იქაურობა მთლად ააბზინაო. მეუ-
რმე მჭახედ როდი მღეროდა.—ურმულს სიმჭახე, სიმძლა-
ვრე არ უხდება. ურმული ნიავივით სათუთი ჰანგია, ჰა-
წია, მაგრამ მრავალ-გრეხილოვანი. ჰანგის სხვა-და-სხვა-
ფარდა ზესკნელ-ქვესკნელსა ჰგავს და ამ ორ კიდეთა შო-
რის მრავალი მიხვეულ-მოხვეული საფეხურია, რომლებ-
ზედაც ხმა ჭველურის კლაკვნით და რხევით ჩადის და
ამოდის.

— მეონი, ფილა—სთქვა მართამ, რომელმაც ურმუ-
ლის გაგონებაზე სახე გზისაკენ მიატრიალა. ერთ ხანს
ყური ათხოვა მოახლოვებულს ურემს და მერე გადაჭრით
დაუმატა—ჰო, ის ურის... იმის წკრიალა ხმას ვინ არ
იცნობს?! წავალ, ონთფრეს გავალვიძებ,—ურმის შემო-
ტანა უშველოს; შენ-კი დაიძინე, შვილო, დალლილი
ხარ.—უთხრა მართამ ილიკოს და მზრუნველობით შვილი-
საბანი გაუსწორა... ის-კი აინუმში არ მოჰქონდა, რომ,
თითონ მთელის დღის განმავლობაში, წელგაუმართავი კა-
ლოზე ტრიალებდა გავარვარებულ მზის სხივების ქვეშ
ალონდ შვილები ყოფილიყვნენ: კარგად და მართა თა-
ვისს თავს დაჭიანებულ ჩირის ფასადაც არ იგულისხმე-
ბდა.

— დაიხურე, გენაცვალე, თორემ ნოტიო დამეა, არ
შეგცრვდეს... უჩვეულს ხვალ ძვალ-რბილი სულ ზრზნას
დაგიწყებს, ვინიცობაა სიგრილემ დაგურა.

— არა, დედი, ახლა ალარ დამეძინება.—უპასუხა
ილიკომ და დედისაგან ჩათბუნებული საბანი გადიძრო.

— უი, თვალები დამიღვეს, ქაა! რას შვრები, შვი-
ლო!

— ძნის ჩამოლების მე ვუშველი... დე, მამას ეძინოს...

— არა-მეთქი, ქაა!.. თუ მაგრეა, არც მამაშენს გავალვიძებ! ფილო, საბა და მე... განა არ ვეყოფით? დაიძინე, შენ გენაცვალე... სახე მოქანცული გაქვს... იქნება, ურემი არც-კი დავცალოთ...

— დედას მზემ, არ მეძინება... ძმები შაინც არა ვნახო?!

— მაშ კარგი... — მართას სახეზე იღუმალმა ლიმილმა გადაურბინა, თითქოს რაღაც განზრახვა შეეჭრა თავშიო. — იცი, რა გითხრა? ჯერ ნუ აღგები... იმათ ხომ შენი მოსვლა არ იციან... ნახე, როგორ გაეხარდებათ... შენ თავი მოიმძინარე... მე განგებ აქეთკენ წამოვიყვანდა... — ალარ დაათავა მართამ და უხმოდ ტკბილიდ ჩაიცინა.

— ძალიან კარგი... ეს-კი ადვილია — დაეთანხმა სიცილით ილიკო და იქვე მიწვა.

XXII.

მართამ მარჯვნივ გაუხვია და მერე შარა-გზისაკენ გასწია, საიდანაც მოისმოდა ურმის ჭრიალი და ხარ-კამეჩის დარბაისლური ნაბიჯი, რომლის ხდაურობა ლამის მყუდროებაში მკვეთრად ირკვევოდა, როგორც სამჭედურში დიდი კვერის რაკა-რუკი.

ურემი მართას დაუპარდაპირდა. მეურმებ შორიდან-ვე გაარჩია სივრცეში მართა და შემოუძახა:

— დედი, შენა ხარ? არა გმინავთ?

— შენმა ხმამ გამამაღუიძა, შვილო. ასე რად დაი-
გვიანეთ?

— რალა რად დავიგვიანეთ... ურემი დამიზიანდა იმ
ვერანა კუისწყარის ჩამოსატანში... გატეხისა მეშინოდა,
— ესე ზლაზვნით მოვდივარ...

— საბა რალა იქნა? — ჰკითხა მართამ. საბა. მართას
უმცროსი ვაჟი იყო, ილიკოს. მომდევნო.

— მინდორში დარჩა. გათენებისას მეც უნდა დავ-
ბრუნდე. ძნა კიდევ არის მოსატანი. — ამ სიტყვებით ფი-
ლო ურემს მარცხნივ უხვევდა.

— ფილო, რა გახარო! — მოისმა აშ ღროს მხიარუ-
ლი ხმა თებროსი, რომელიც ურმის ჭრიალს გამოეღვი-
ძებინა და პერანგის ამარა გამოქცეულიყო, რომ ილიკოს
ჩამოსვლა ეხარებინა ფილოსათვის. მართა მიუხვდა, რაც
უნდა ეხარებინა და ჩუმის სიცილით თებროს მუჯლუგუნი-
წაჰკრა.

— ჯერ არ უთხრა, შე პირ-გასაშავებელო! — წა-
ხურჩულა მართამ გოგოს.

— რას მამცემ, რომ გახარო-რამე? — მიახახა კვლავ
თებრომ ფილოს, რომელმაც ურემი მარცხნივ მიაბრუნა
და შარა გაღმოვლო.

— რა მოგცეე? .. — და ფილომ აღარ დაასრულო ის,
რაც უნდა ეთქვა, რაღგანაც იმ ადგილს მიაღწია, სადაც
ურემი უნდა გაეჩერებინა. ფილო ძირს ჩამოხტა, ხარები-
საკენ გასწია და ხარების ჭაპანი კაპანი კამეჩების უღელს მოხსნა:

ხარები, თუმცა ურემს მოხსნეს, მაინც დაუღლებულ-
ნი იყვნენ და იმავე ადგილზე იდგნენ ფეხ-მოუცვლელ-
ნი, სადაც ფილოს „მამო-მამო“-შ და „33-33-33“-ამ გა-
ჩერა. — იდგნენ და დინჯად იცონებოდნენ.

— თებრო, თებრო, შენ გაბედნიერებას, კონკილა
სწორედ დააყუდე, — კამეჩები უნდა გამოვუშვა.

ფიდო ურმის ყელს დაეჭიდა, მაღლა ეწეოდა, რომ
სათავე ერთბაშად მიწაზედ არ დაცემულიყო და კონკი-
ლას დაყრდნობოდა. მართა-კი იმავე დროს უღლიდან
კამეჩებს უშვებდა. როდესაც ერთი კამეჩი გამოხსნა, სი-
მძიმემ, — თუმცა ურმის ხელნები ფიდოს ეჭირა, — სათავე
ძირს დააქნევინა; უღლის განთავისუფლებულმა ნახევარმა
მაღლა გაითამაშა, მეორე ნახევარი-კი, — სათავის მთელის
სიმძიმით, — მეორე კამეჩს დააწვა და კისერი მიწისაკენ დაა-
ხრევინა, ასეგონია, ქედში სადგისი გაუყარესო. მართა
სწრაფად კამეჩისაკენ გაჭანდა, რომ მაღლე გაენთავისუფ-
ლებინა საცოდავი პირუტყვი, მაგრამ ამ დროს ფიდოს
ხმამ შეაჩერა.

— დედი, დედი, არიქა, ირმას უშველე, ყელში
აპეური წაეჭირა!

მართლაც, რაც მართომ ეს კამეჩი გამოუშვა. და
უღელი ცალმხრივ დაყირავდა, აპეურის ნასკვები ერთმა-
ნეთში გადაიხლართა, კამეჩმა თავის გამოყოფა ვერ მოა-
სწრო და გამომარყუშებულმა აპეურმა პირუტყვს. თავი
მაღლა აუყირავა.

მხოლოდ, ვიდრე მართა კვლავ ირმას დაუბრუნდე-
ბოდა, თებრო ელვასავით ეცა ამ კამეჩს საბლის ნასკვის
გამოსახსნელად და, ის იყო, სწვდა კიდეც საბლის ერთ-
ერთ წვერს, როდესაც ირმამ, — თებროს თეთრის პერან-
გით დამფუთხალმა, — ერთი დაიხვნეშა: „ფფჰუ“-ო, მედ-
გრად უკან გაიწია, გაინთავისუფლა. თავი უღლიდან და
გაცოფებულივით განზე გახტა.

ურემი იმ ზომამდე შეირყა, რომ ფიდოს ურმის ყე-

ლი. ხელიდან გაუსხლტა, რის გამოც სათავემ მიწისაკენ
დაიწია და უეჭველად ხელნის წინა ნაწილები შუაზე გა-
დაიფშვნიტებოდა, რომ შებმულ კამეჩის ძლიერს ქედს არ
დაეჭირა. თუმცა-კი ეს გმირობა პატიოსანს პირუტყვს:
უქმად არ დაუჯდა: მჟიდროდ დატვირთულის საძნე-ურ-
მის მთელი სიმძიმე იმდენად ძლიერად დაეცა კამეჩის
ქედს, რომ საცოდავმა ორივე მუხლზედ წამოიჩოქა.

ყოველივე ეს ანაზღეულად მოხდა. მართას თებრო
განსაცდელში ეგონა და დიდად შეშინებულმა „უი“-ო
— შეჰკივლა — და ქალისაკენ სწრაფად გაქანდა, მაგრამ,
რა-კი დარწმუნდა, რომ თებრო უვნებელი გადარჩენი-
ლიყო, ორიოდე ქიმუნჯი წაჰკრა კისერში.

— არა, ვინ გეხვეწებოდა, შე არ გასაშვებო, რომ
წაეჩხირე?! კიდე კარგი, კამეჩმა რქებზე არ წამოგაგო!..
რას აპირებდი მაშინ, რას? ვმ, რასა?

სანამ მართა ქალსა სტუქსავდა, ფილომ კამეჩი ულ-
ლიდან გამოხსნა და ურემი მიწაზედ მიმედ დაუშვა.

— აბა, ახლა მითხარი, რა უნდა გეხარებინა? — მი-
უბრუნდა ფილო თებროს, რომელიც ინდაურივით გაბუ-
ნჩული იდგა, კოხებ-შეკრული და ტუჩებ-აწეული, თით-
ქოს ჰაერსა სუნავსო. ძმის ლიმილმა თებრო გუნებაზე
მოიყვანა.

— აბა, გამაიცან, ვინ მოვიდა ჩვენსა?

— ვინაა? — დიამც იყოს ნათლია ზაქარა!..

— ვერ მოგართვი!.. — უთხრა ნიშნის მოგებით თე-
ბრომ.

— მაშ ვინ იქნება? მაიცა, მაიცა.. დეიდა მაგდა-
ნა... ის იქნება.

— ოლოლო შენ!.. ვერ გამაიცან!.. — დაიძახა მხია-
რულად თებრომ და ჯაფარიასავით შეიკუნტრუშა.

— არ უთხრა, შე ენა-გასახმობო... — წასჩურჩული
მართამ ქალს. მაგრამ თითონაც გული ისე უცემდა, რომ
შზად იყო, თებრისათვის დაესწრო და იმაზე აღრე ეხა-
რებინა ფიდოსათვის სანატრელი ამბავი.

— წამოდი და შენ თითონ გაიგებ!.. — უთხრა თებ-
რომ ძმას იდუმალის კილოთი, თანაც თვალები ეშმაკუ-
რად იქითკენ გააპარა, საღაც ილიკო ეგულებოდა.

— კარგი; მაგრამ... ეს საქონელი?

— გამარჯობა. შენი, ფიდო! — მოისმა ამ დროს ხმა
ილიკოსი, რომელიც, ის იყო, ძნის ურმეულების შუა გა-
მოვიდა და ძმისაკენ გაქანდა. ვეღარ აიტანა ამდენილო-
დინი, ვეღარ დასძლია გულის ბრძანება — მალე შემაერ-
თე შენის სისხლ-ხორცის გულთანაო.

— ილიკო! ბიჭო! საიდამ?! — და ძმები ერთმანეთს
გადაეხვივნენ.

მართა-კი გაჩუმებული იდგა და ნეტარებად გადაქ-
ცეულის სახით შეჰყურებდა საყვარელ არსებათა ალერ-
სიან. საღამს. ამასთანავე ცრემლი ღაპა-ღუპით იფრქვეოდა
მოხუცის სახეზედ, მაგრამ ეს ცრემლი იყო მეტის-მეტად
ტკბილი, მეტის-მეტად მსუბუქი და სათუთი. იმის მაგი-
ერად, რომ ამ ცრემლებს მისის სახისათვის ცეცხლი წაე-
კიდებინა, — როგორც სხვა სამწუხარო ცრემლებს, — გამა-
გრილებელ ნექტრად ესხურებოდა მზისაგან ატკრეციონ
ხორცის კანს და წლოვანებისა და ჯაფისაგან ნაოჭად ას-
ხმულ ღარებში კამკამა ნაკაღულივით მოგორავდა:

— ბიჭო! საიდამ გაჩნდი ასე ანაპლეულად? — დაე-

კითხა კვლავ ფიდო, როცა ძმები ხვევნა-კოცნას მორჩნენ. — ეს უნდა გეხარებინა განა, შე კუდიანო! — მიუბრუნდა მერე თებროს. — ხალხნო, ჯამაათნო, რატომ აქამდის არ მითხარით?! — იძახდა ფიდო მხიარულის ღიმილით და თან სიამოვნებით ათვალიერებდა ილიკოს, რომლის ერთი ხელი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა.

— წმინდი გიორგის მაღლას ვფიცავ, რლავ, ძან მოგხდომია აი, სალდასტობა... ჰა? ხომ ღამშვიდდი? — მიუბრუნდა იგი მართას. — ჩემი ილა და ჩემი ილაო... მოგივიდა ეგ შენი ნებიერი შვილი... მაღლობა ღმერთს! ახლა მაინც მოგვასვენებ!.. — ამბობდა მოჩვენებულის მუნათით ფიდო და თან ძმას სიყვარულით ხელს უჭერდა. ისე გაუმხიარულდა ფიდოს გული, რომ მზად იყო სულ თითონ ელაპარაკნა. მერე განა საბაბი არა ჰქონდა სიმხიარულისა?! რას ამბობთ? ამდენი ხნის უნახავი ძმა უცბად, მოულოდნელად თვალშინ გამოეცხადა. ძმა, რომელთანაც ბევრი ბედნიერი და ბევრი ცრემლიანი დღე გაეტარებინა.

ფიდოს თვალშინ თავიანთი ყმაწვილობა წარმოუდგა (იგი ილიკზე სამის წლით იყო უფროსი). ტყე, ველი, შაშვის ბარტყები, დედის მუჯლუგუნები, მისივე ალერსი, ილასთან ჩხუბი გოთაობის გამო. საქონლის ერთად მეხრეობა და ყველა ეს სხვა-და-სხვა-ფეროვანი სურათები ძმურმა, ნათესაურმა გრძნობამ ერთმანეთზე გადააბა, ერთ გრძნობად აჰკინძა.

მოაგონდა აგრეთვე ის დრო, როდესაც ილეკო სულ პატარა იყო და პირველად მინდვრად ძროხაში გაჰყვა.

როვორც ახლა ეჯგა ილიკო თვალშინ, სწორედ ისე ნა-
თლად წარმოუდგა მაშინდელი პატია ილა, კამეჩხე მჯდა-
რი. კამეჩხე ჯდომა ილიკოსათვის პირველი ხილი იყო
და, როცა წყლის გუბეს გადადიოზნენ, ერთი ვაი-უშვე-
ლებელი მორთო—ვაიმე, დედავ, თვალები მიჭრელდე-
ბაო...—და უეჭველად გუბეში ტყაპანს მოადენდა, რომ
ფიდო არ მიშველებოდა.

წარსულის გახსენებამ ფიდო ისე გაიტაცა, რომ გა-
ჩუმდა და მხოლოდ გაშტერებით უცქეროდა ძმას, თით-
ქმას არც-კი სჯეროდა, რომ ეს ბრე ვაჟკაცი სწორედ
ის პატაწკინტელა, ცინგლიანი ქონდრის კაცი იყო, რომე-
ლიც მან გუბეში ამოზუნზელის გადაარჩინა.

სიჩუმე, ჩამოვარდა. ბოლოს მართამ ამოიღო ხმა.

— აბა, ახლა თქვენ წადით და მე-კი საქონელს თვა-
ლიანთ საბრალოს მივურეკამ, გათენებამდის მინდორში
აძოვოს.

— ძაან კარგი იქნება, დედი! შეეხვეწე, საბა ყა-
ნაში ტარჩა და ფიდო-კი დაღლილია-თქო—უთხრა ფი-
დომ დედას.—ურემი დეუცლელი დარჩეს, —სულ ერთია,
უკან ვეღარ წავიდებ: მეორ; ურემს მოვიხმარ როგორ-
მე... ჭალებზე ჯოხებს ავაკრამ...

ძმები ხელ-გადაჭდილნი კალოსაკენ წამოვიდნენ და
მართამ-კი სახრეს ხელი დაავლო საქონლის გასარეკად.

ფარდულიდან ბალლის ტირილი. მოისმოდა. რო-
გორც სხინდა, პატარას გამოლვიძებოდა და დედას ძუძუსა
სთხოვდა; მაგრამ დღიურის შრომით მოქანცული პელო
ლრმა ძილში იყო წასული.

— თებრო, თებრო, აგრემც გაიზდები; მაროს აკ-

ვანი გაარწიე — მიშართა ფიდომ თებროს, რომელიც ქმებს უკან მისდევდა. მერე ფიდო ილიკოს მიუბრუნდა — ნახე ჩემი შეილი?

— ვნახე. — უპასუხა ილიკომ. — ეგ რა დაგემართათ შენ და პელოს! პირველადვე გოგო როგორ გააკეთეთ. — ჰქითხა თავისის მხრით ილიკომ და თან ცბიერად გაიღიმა.

— ბარე არც მე მიამა, მაგრამ რას იზამ? ალბათ, ჩვენი წერა ეგა ყოფილა... — სთქვა ნაღვლიანად ფიდომ.

— გეხუმრები, ფიდო! — უპასუხა ჩატუნებით ილიკომ — დეე, გაიზარდოს და ღმერთი მოწყალეა. თუ ღმერთს უნდა, იქნება ეგ უფრო სახეირო იყოს ოჯახისათვინ...

— ეგ მართალია, ილავ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ქალი ოჯახს საბოლოვოდ ვერ გაჰყვება... გავრჩი, აღამიანად აქცევ, იმედი გაქვს, ოჯახს მოჸველებაო, მაგრამ გაიხედავ და ერთი ვილაც უცხო შვილი წამოგედავება და ხელიდან წაგართმევს... მერე ისე წაგართმევს, თითქოს შენი არც-კი ყოველიყოს, თითქოს არაფერი ამაგი არა გქონოდეს...

აშენარად მომუსაიფე ქმანი ურმეულების ძირს ჩასხდნენ.

XXIII.

კვირა დღეს მალალაანთ ზაქარას სახლში სათათბიო, სხდომა იყო გამართული. ამ თათბირში მონაწილეობას იღებდა თვით ზაქარა, იმისი ცოლი მაია, ნინოს-დედა სალომე და ილიკოს. დედა მართა.. სხვა მამაკაცნი

ამ საქმეში არ გაერივნენ. რაც შეეხება ზაქარას, ის თითონ ოხუნჯობდა თავის თავის შესახებ: ულორისთავოდ ჭორწილი ვის გაუგიაო...

ონფრე თავის რძლით და უმცროსი შვილით არც კი წამოვიდა ამ საქმისთვის.—ესაო—ამბობდა ონფრე— დედაკაცის საქმეა. ღმერთმა ავალაც და კარგადაც დამსნას იმათ ყატყატსაო. ნინოს მამაც სწორედ ასეთის აზრისა იყო და სჯა-ბაას არც ის დასწრებია დარწმუნებული, რომ მისი ფხიანი სალომე ჭივას არ წააგებდა. ამის გარდა, ზაქარას იმედიც ჰქონდა: რაც უნდა იყოს, ჩვენი მეზობელია, ჩვენთვის ცუდს რად მოინდომებსო...

მაინცა და მაინც დიდი პაექრობა და სიტყვების ხარჯვა როდი იყო საქმისათვის საჭირო. გოგო-ბიჭის ოჯახთ წინად უკვე ჰქონდათ მოლაპარაკება და ახლა ეს მოლაპარაკება. საქმედ უნდა გადაეჭიათ... და გადაიქცა კიდეც, მხოლოდ სალომე კვლავ წუწუნებდა,—სამი წელიწადი დიდი მანძილია... ვინ იცის, რა მოხდეს ამ ხნის განმავლობაშით.

— რაღა ბევრი გავაგრძელო, — გაგიგრძელდეთ სიც ცოცხლე — წარმოსთქვა ბოლოს ზაქარამ — საქმე რიგზეა, დამშია, — ჩემი ცოლი რო იტყვის. ხოლმე. ღმერთი რჯული, არც ერთი ხართ წაგებას, არც მეორე... ან რა გვაქვს სალაყბო? გოგო-ბიჭი თანახმაა, სხვა რაღა გვინდა? მზითევზეა საქმე? ხალხნო და... რაც სხვებს დაუწესებიათ, ჩვენ ხომ ვერ შევცვლით?! განა თქვენ თითონ არ იცით?

— ეგ მართალია, ჩემო მაზლო, — უპასუხა სალომეშ — მაგრამ... სამი წელიწადი, შენ გენაცვალე, კარგი მანძილია...

— იი ქა!.. შენ კიდევ შენსას გაიძახი! — უთხრა.
თითქოს უკმაყოფილო კილოთი სალომეს ზაქარას ცოლ-
მა.—რას აინაუე, — სამი წელიწადი და სამი წელიწადი...
ზოგი ათი წლობით ელის ბედნიერებას და!.. შენი ქალი
მაინც დაიმედებული იქნება... ნეტავი, შენი მაღლით,
ჩემს პატარა საბედოსაც მაგითანა ბედი ეღირსოს თავის
დროზედ და ლოდინს არ მოვერიდები...

— ახლა რა ვიცი ქა? იქნება, რა გუნებაზე დაბრუნ-
დეს სალდასტობიდან ი ბიჭი? ერთი თავლაფის დასხმა
რომ აჭამოს ჩემს ქალს, მერე? მაშინ ხომ ის-ლა დამრჩე-
ნია, ყელზე ქვა მოვაბა და წყალში გადავაგდო ი ცო-
დვი-შვილი!.. — სთქვა სალომე.

— მაგას რას ამბობ, ადამიანო? — თათქმის ერთსა და
იმავე დროს წამოიძახეს მართამ და ზაქარას ცოლმა და-
ორივემ, გაოცების ნიშნად, ორ-ორი თითი ტუჩებზე მიი-
დეს და თავები გააქნივ-გამოაქნიეს.

— უწინამც დღე დაელევა მაგის ჩამდენს! არა, ქა!
მე მაგითანა შვილი არა მყავს. — დაუმატა წყენით მართამ
და ამრეზილი სახე სხვა მხრივ გაიბრუნა.

— არა, განა საწყენად ვინ მოგახსენებს? — წარმოს-
თქვა ტკბილის ღიმილით სალომემ, რომელიც მიხვდა,
რღმ მართას ძალიან ეწყინა ჩემი სიტყვებით და უნდო-
და თავისი უკმეხი საქციელი ამ მოლაქუცებით გაებათი-
ლებინა.

— შენ თითონ იცი, შენ გენაცვალე, — მიმართა შან
კვლავ მართას — დედის გული! ათასი შავი ფიქრი მივლის
თავში..., განა სახუმრო საქმეა ცოლქმრობის საქმე? ხომ
არ ავილებ და არ გადავაგდებ ი ცოდვი-შვილს?! ზოგი
ისე ფიქრობს, აქაო და ქალი როაო, თავიდამ მალე უნ-

იმ მოვიშორო... ახლა რა ვუყოთ ჩომ ქალია? ქა-
ლია, უვთის-მშობლის მაღლმა, მაგრამ იქნება საქმით ვაჟი-
კაცის არ ჩამოუვარდეს... აბა, რა გითხრათ? ნათქვამია,
თავის ქება—თავის ტეხაო... აბა ერთი ჰკითხეთ ვისმე,

როგორია ჭიმიანთ ნინო-თქო. და, თუ ვისგანმე წუნი
გაიგოთ, წუახი ჩამასხით პირში! არა, თქვენი ჭირიმეთ,
ისე ხომ ვერ აკილებ და ვერ გადავაგდებ იმ გულკვდრი-
შვილს... სადღე-ხვალიოდ ხომ არ მინდა საქმის დაჭე-
რა...— დაათავა სალომებ და თან ხელები ისე გაასავსავა;
თითქოს ამბობდა: „ხალხნო, ხომ არ გაგიუებულხართო“.

— მერე, ვინ შერცხვენილი გეუბნება, აიღ და გა-
დააგდე ი შენი გოგოო.— მიმართა ზაქარამ გაკვირვებით
სალომეს.— აბა, რო ლაპარაკობ, ჩემო რძალო, რა გა-
ლაპარაკებს. უთავ-ბოლოდ? გათავებული საქმე ლამის ისევ
ციციაანთ-დავა გახადო! ე ოხერი და ტიალი! რამდენ-
ჯერ მითქვამ ჩემი თავითვინ,— შე ავო კაცო-თქო, ნუ
ერევი დედაკაცის დავაში-მეთქი, მაგრამ, დალახვროს გა-
მჩენია, თითქო შუბლზე მეწეროს, მაინც არ ამცდება ხოლ-
მე... მერე, ნეტა ერთი კაცი მაინც ერიოს, რომ ვა-
რაუდიანი სიტყვა თქვას... ჩაგიგლივართ სამს დედაკაცს
და ლამის საქალამნო ტყავი გამაძროთ... გაგიალმასებიათ
ეგ დალოცვილი ენა და წალმა-უკულმა ასარსარებთ— იძა-
ხოდა მოთმინება-დაკარგული ზაქარა, რომელსაც საქმე
გათავებული ეგონა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, სა-
ლომე კვლავ თავიდან იწყობდა.

ზაქარას სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, სალომეზე სა-
ჭაოდ იმოქმედა. ის თუმცა გულში დიდი ხანია თანახმა
იყო, მაგრამ მაინც საქმეს აჭიანურებდა; რათა მართასა-

თვის ევრძნობინებინა, რომ არც ისე გვიხარიან თქვენი, მოყვრობა, როგორც შენა გგონიაო.

· მართასაც მოსწყინდა ერთისა და იმავე საქმის შესახებ ამდენი ლაპარაკი და ამიტომ ამრეზილის სახით იჯდა, სხვა მხრით მიექცია თვალები და ხმას არ იღებდა, თუმცა არც ერთი სიტყვა არ გამოჰქონდა. საშინელი ბრაზი, მოსდიოდა ამ მართლა და „ჭიმია“ სალომეზე. შვილის შეურყეველი სურვილი რომ არა სკოდნოდა, აქამდის ათჯერ ეტყოდა; „კარგად მოუარეთ თქვენს ნაქებ საპატარძლოს, არ დაგიმუავდეთ... ჩვენ იღია ვთხოულობთო“. — მაგრამ ახლა რა ექნა, როცა ილიკოს ისე ჩავარდნოდა ფულში „ო კატის-თვალა ვოგო“.

ბოლოს, როგორც იყო, სალომემ სრული თანხმობა განაცხადა და მომავალი მძახლები მორიგდნენ. და ლაპარაკი ტკბილად დაიწყეს.

— ეს ამბავი ხომ გავათავეთ, მაგრამ... გოგო-ბიჭებს არ ვანახვინოთ ერთმანეთი? — განაახლა მორიგებაზე შეწყვეტილი ლაპარაკი ზაქარამ, რომელიც გამოცდილებით მიხვედრილი იყო, რომ ილის ძალიან უნდოდა გოგოს ნახვა. თუმცა ზაქარამ წინადვე იცოდა, რომ სალომე, ჩვეულებისამებრ, „უჯაათის ცხენზე შეჯდებოდა“, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, როგორმე მოვარბილებო.

— აბა, მაგას რასა ბძანებ, ჩემო მაზლო? — წამოიძახა სალომემ წამოწევით და ამასთანავე მისი სახე განცვიფრებამ მოიცვა.

— რა გესმის, ჩემო რძალო? რა ძალიან იტკიცე?! ახლა ეგენი დანიშნულებივით არიან!.. მაშ, აღამიანო,

როგორ გინდა? ბიჭი ისე უნდა წავიდეს, რო თრიოდე
სიტყვა არ უთხრას ი გოგოს?

— მერე ხალხი რას იტყვის ქა?

— რა ხალხი? ვინ რა იცის, ან რას გაიგებენ? ესე-
ნი ისე ჩუმად ამჟიდნენ, რომ თითქმის არავის გაუ-
გია...; ახლა ნინო რომ ჩვენსა გადმოვიდეს, მითომ რაო?—
სალალანო ვის გაუხდება? ჩემი ბიჭია შინა და... ბალლი-
ხო არ არის,—ეს ამბავი ქვეყანას მოსდომის?.. პატარა გო-
გოა და... მეზობლებში დარბის... ან, თუნდა გაქვეყნდეს,
ვის რა? ხომ ყველამ იცის, რომ შენი ქალი დღეს არა,
—ხვალ გათხოვდება... ერთი დღით წინ გაიგებენ თუ
უკან — შენთვინ სულ ერთი არ არის?—მიაყარა და მია-
ყარა ზაქარამ საბუთები სალომეს, რომელმაც კვლავ რყე-
ვა იწყო და არ იცოდა, დასთანხმებოდა თუ არა.

— ეგ ეგრეა, ჩემო მაზლო, მაგრამ...

— მაგრამ და მაგრამ... სულ მაგას გაიძახი.. შენ,
ჩემო სალომე, მაგრე საქმეს ვერაოდეს ვერ გააკე-
თებ... — ჩაერია ლაპარაკში ზაქარას ცოლი — ჰო, და... ჩე-
მი კაცი მართალს ამბობს — ბიჭი ისე როგორ უნდა წა-
ვიდეს, რომ ერთხელ მაინც ვერა ნახოს დანიშნული —
დანიშნულია, მარა რა არი? — არ უნდა გაიგოს, — ყრუ
ხომ არ არის, ან მახინჯი, ან მახინჯი?!

— დიალ, მახინჯი! — წარმოსთქვა თავის ქნევით სა-
ლომებ — აფსუს ქვეყანავ! ჩემი ნანისნანატრად გაზდილი
ნინო და მახინჯი?!

— მერე და... უნდა იცოდეს იმ კაცმა თუ არა,
ადამიანო? — დაეკითხა გაჯავრებით ზაქარა.

ამაოდ აქნია შეკითხვა სალომემ თავი, რაც გაუ-
ბედავობის ნიშანი იყო; ბოლოს მაინც ვერ გაუძლო ზა-

ქარას და იმის ცოლის იერიშს და მაჭრჩვალივით, —თითქოს ხავს ეჭილებაო, —მართას დაეკითხა:

— შენ რაღას ბძანებ, ჩემო მძახალო?

— რა უნდა მოვახსენო, ჩემო მძახალო?... თუ გოგო-ბიჭს უნდათ. .—უპასუხა მოლოვით მართამ.

— ბიჭს რომ უნდა, —მე კარგად ვიცი!.. —სთქვა ზაქარამ.

— ნინო რო გაიგებს, რისთვისაც იბარებთ, —არ წამოვა... —მიმართა სალომებ ახალს სანგალს.

— რას ამბობ? რას არ წამოვა!.. წამოვა-კი არა, გამოფერინდება!. შენ რა იცი, ჩემო რძალო, ახალგაზ-და გოგო-ბიჭის გულის ამბავი... —დაიძახა ცტიქტის ლი-მილით ზაქარამ.

— შენ ხომ... მე ვიცი... იჸ! —და ტუჩების აბზე-კით ცოლმა ზაქარას ქოქოლა მიაყარა.

— ისე ღმერთმა მე მიშველოს!.. ახლა ძალიან გაი-ნაზე, შენმა მზემ... შენ არ იყავი, რომ კინალამ წყალ-ში თავი არ დაიღრჩე, —გინდათ, თუ არა, ზაქარას მიმე-ცითო? — მიმართა ხუმრობით ზაქარამ ცოლს და თანაც თხუნჯურად თვალი ჩაუკრა.

— აი, უწინამც დღე დაგელევა! — გაწიწმატდა მთლად წამოწითლებული, ჯერ კიდევ ლამაზი და მოხდენილი მაია. — აბა, როდის, შე გულკედრის შვილო?

— ადამიანო! შენ თითონ არ მითხარი? — გამოეპა-სუხა კვლავ დამცინავის ლიმილით ზაქარა.

— როდის, ჰა? როდის?

— ვთქვა? — დაელრიჭა ზაქარა ცოლს — ვიტყვი აი! გინდა ვთქვა!.. ეჭეი, ნუ მათქმევინებ, თორე... — და სა-ხე-გასხივოსნებულმა ზაქარამ ცოლს თითო დაუქნია.

— აბა, თქვი, თქვი... — უპასუხა მაიაშ, მაგრამ ეს „თქვი“ „ნუ იტყვის“ უფრო ჰგვანდა. მაიას სახე სირცევილისაგან მთლად ატკრეცილი ჰქონდა.

— ჰო და... გაჩუმდი — უთხრა ზაქარაშ ცოლს ნიშნის მიგებით. ორივენი გაჩუმდნენ.

— ჰა, ადამიანო! — რას იტყვი? ი კაცი გვიცდის... მიმართა, ცოტა სიჩუმის შემდეგ, ზაქარაშ სალომეს.

— რა ვქნა? თქვენი ნება იყოს! მაგრამ, ზაქარავ, იცოდე, — ეს ამბავი სულ შენგანა მჭირს, აი!.. — უპასუხა სალომეშ თან დამუქრებით, თანაც ღიმილით; შერე ასაღვომად წამოიწია, ტახტიდან ძირს ჩამოვიდა, ბურნუთის კოლოფი და ლურჯი ცხვირსახოცი, რომლებიც აქამდის მუხლებზე ელაგა, ჯიბეში ჩაიდო და კარებისაკენ გასწია. — წავალ და ვეტყვი იმ ცოდვი-შვილს, რომ თქვენსა ამოვიდეს — და სალომე მძიმე ნაბიჯით კარზე გავიდა.

ოთახში მყოფთ ერთმანეთს შეხედეს და ირონიულად უხმოდ ჩაიცინეს. ეს სიცილი სიტყვებად რომ გადაგვეთარგმნა, აი რასა ნიშნავდა: „ყინული გატყდა, დნობა დაიწყო“.

XXIV

იმ დროს, როდესაც ზაქარას და დედაკაცებს ასეთი სჯა-კამათი ჰქონდათ, ეზოში, კაკლის ფართოდ გაშლილ ტოტებ ქვეშ, ფილოსა, ილიკოს და სოლოს (ზაქარას ვაჟს) საუბარი გაებათ.

იმათი ლაპტარაკი საქონელსა და მოსავალს შეეხებოდა. თუმცა სამივემ იცოდა, რომ ახლა სახლში ილიკოს ბედ-ილბალი სწყდებოდა, მაგრამ მაინც ამ საგნის,

შესახებ ლაპარაკი როგორდაც ექითირებოდათ. ილიკო
რომლის სულიერი ვითარება სულ სხვა იყო, ვიდრე და-
ნარჩენებისა, ათასში ერთხელ თუ ჩაურთავდა სიტყვას ბი-
ჭების საუბარში. დანარჩენ ღროს გაჩუმებული იჯდა კა-
კლის ძირას, თავი გადაეღუნა, ხისთვის მიებჯინა და მი-
ზანში ამოელო სახლის კარები, საიდანაც, აღრე თუ გვი-
ან, მისი ბედნიერების, ან უბეღურების ამბავი უნდა გა-
მოსულიყო. მართალია, ილიკო დაიმედებული იყო, სა-
ქმე სასურველად გათავდებაო, მაგრამ, ვით შეუფარებულს,
მაინც გული ეთანალრებოდა და ხან-და-ხან იმედს გვერდში
უიმედობასაც ამოუყენებდა ხოლმე.

— ვაი, თუ სალომე ვერ დაიყაბულონ... იქნება ან
გოგოს არ ვუნდოდე... ან, დედამ რომ მიამბო, საქმე ისე:
არ იყოს და ნინოს მართლა მდიდარი საქმრო გამოსჩე-
ნოდესო. — ფიქრობდა ილიკო და თავში ათასი ამისთანა:
აზრი გაუელვებდა ხოლმე. რაც ხანი გადიოდა, ილიკოს
თან-და-თან მღელვარება ემჩნეოდა; თავს უიმედოდ აქეთ-
იქით აკანტურებდა, თითქოს ვისმე მოელისო, უაზროდ
აფათურებდა ხელებს, ასეგონია, ვიღაცას ანიშნებს, —
რაღას იგვიანებ, გამოდიო; ხან-და-ხან გახშირებულ სუნ-
თქვასთან ოხვრასაც ამოაპარებდა ხოლმე, რაც ფილოსა.
და სოლოს ღიმილსა ჰგვრიდა.

— შენ ხომ მაგას ამბობ, სოლო და... ღმერთი გა-
მიწყრეს, თუ ნიკორასთანა პირუტყვი საღმე მენახოს! —
და ამ სიტყვების დასამტკიცებლად ფილომ დამუჭული
მარჯვენა ხელი ისე დაიჭნია, თითქოს თავისს სიტყვებს
კვერს უკრავსო. — ვი, ამოტელა ხნის ბიჭი ვარ და მამა-
ჩემს ჯერ მაგითანა მაღლიანი ხარ-ზაქი არ გაურდია!...
ერთ ოჯახათა ლირს, კაცო, იგეთი ხასიათი აქვს, რომ

სახრეს არ დაგაკვრევინებს... ამართავ თუ არა დასარ-
ტყმელად სახრეს, ი დალოცვილი მაშინათვე მიგიხვდება
და იგეთი გაიწევს ხოლმე, რომ ხელი გიშეშდება და გუ-
ლი-ბუხარის გასახეთქად მეორე კამეჩს თუ გადაუჭირებ!..
ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა! ან თავ-დალმართში ნახე!.. რაც
უნდა დადებული ურემი ჩამოქანდეს,—ნუ გგონია,—წინ
გაყოლი მოუნდეს... შენც არ მამიკვდე! აი, იმ დღეს, ილ-
წობის დასაქანში ძნის ურემი ჩამოქანდა... აბა, ხო
იცი, რა ოხრობა ადგილია?!.. კამეჩები ხარები დავხსენ
და წინ გამოვუძეხ: მარცხნივ სხვისა კამეჩი მება,.. ირმას
წინა დღით ქედი გადაექლიშა და მეზობელსა ვთხოვე...
ლვთის წინაშე, — კაცმა სიმართლე უნდა თქვას, — კაი გამ-
წევი პირუტყვი იყო, მაგრამ იმ ამოსავარდნელ ადგილას
აკი არ წამამექცა!.. ორსავე ფეხებზე წამაიჩიქა!.. შენი
მტერი! ფერი მეცვალა! მაგრამ დახე ნიკორას კამეჩობას!
კაცო, ღმერთი, რჯული, ურემი იქვე გააჩერა, — ადგი-
ლიდან ფეხი არც-კი მოუცვლია!.. თუმცა, ლვთის წყა-
ლობა შენა გაქვს, ძალზე შეიბერტყა... ის რომ არა ყო-
ფილიყო, იქნება, ღლეს აქ არც-კი გენახეთ, — ურემი გა-
დამლახავდა... ილიკო-კი იძახის, ირმა სჯობიაო! — მიუ-
ბრუნდა ფიდო ღიმილით ძმას.

— ირმა ხალისიანი პირუტყვია!.. — გადაუგდო ცალ-
ყბად სიტყვა ილიკომ და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ
ეთქვა რამე.

— მართალია, მაგრამ ნიკორასთანა ძალ-ღონე და
ფეხის სიმაგრე არა აქვს... ნიკორა რომ არის — მთა-კამე-
ჩია!.. იმან თუ ფეხი შაიმაგრა, — ადგილიზან მდევიც ვერ
დასძრავს. ეს-კი დიდი რამ არის!.. არაა, შენ შენი ღმერ-
თი? — დაეკითხა ფიდო სოლოს.

— რასაკვირველია!.. ან ილამ კამეჩისა რაღა რცის?

მაგას ახლა „ნაპლაჩო“ და თოფის ამბავი ჰყითხე. — სთქვა-
სიცილით სოლომ და ილიკოს მხარზე ხელი დაჭკრა. —
ჰა? ილავ! გახსოვს, შარშან-წინ რო მასხარად მიგდე-
ბდი? დედავ! რა ზარი ჰქონია კენჭის ამოღებას! — აქ სო-
ლომ გაკვირვების ნიშნად ხელი ხელს შემოჭკრა და თა-
ვი გააკანტურა. — უფლიშ მაღლმა, ჰატარა ხანს კიდე რო
გაეარნა, უეჭველად ფათერაკი დამემართებოდა რამე! ..
კაცო, რაღაც ღმერთი გამიშყრა, თვალთ დამიბნელდა,
ვერაფერს ვხედავდი ი დღესავით ნათელ ოთახში, იმ
დალახვრულ ყუთის შეტ... მერე, ი დახვეულმა ქალალ-
დებმა თვალები ათას ფერად ამიჭრელა... არ ვიცოდი,
ხელი რომლითვინ წამეტანებინა... მეშინოდა, არ დამწვას-
მეთქი. მერე, ჩვენმა ნაჩალიკმა მითხრა, — ბიჭო! რასა თრთი
ვერხვი ფურცელივითო! ერთ-ერთი ამოილეო... — მართლა-
დი... თურმენუ იტყვი, ციებ-ცხელებიანსავით მაბაბანებდა...
დავწვდი და... დახე ბედსა! .. ი ჰაწაწკინტელა ქალალდმა წი-
თელ ბილეთიანში კი ჩამაგდო! .. ჰა, დედასა-შვილო!
რამდენს უკანკალებდა მაშინ გული! .. ზოგი განგებ ით-
რობოდა ხოლმე, რო გულადად მისულიყო... არ დაი-
ჯერებთ... ერთი ბიჭი ღვინისაგან ფეხზე ძლივს-ლა იდ-
გა, მაგრამ, — სიცოცხლე თქვენა გაქვთ, — მალე ის გამო-
ფხიზლდა, როცა უთხრეს, — ნარგები ხარო... ამობენ,
ვისაც ეშინიან, იმას დოჭროლრიც ერგებაო... მე-კი,
ღვთის მაღლით, ამცდა, თუმცა. შიშით — ძალიან მეში-
ნოდა... შენ, ილავ? შენც ჩემსავით აგაბაბანა? — მიუბ-
რუნდა სოლო კვლავ ილიკოს. — კაცო, რა დაგემართა?
— ლიმილით განაგრძო მანვე, რაკი შენიშნა, რომ ილი-
კოს ისევ კარებისაკენ ეჭირა თვალი — ნუ გეშინიან, არა-
ვინ გეცილება ი გოგოს! .. ჰა, ი დასაჭცევი ისა! რამ-

დენ ბიჭე აუფანუქალა შენსავით გული!.. ბიჭო! სალ-
დასტობამ ხომ არ გასწავლა ეგეთი სიყვარული, ჰა?

ამ სიტყვების გავონებაზე ილიკოს ტუჩებზე უცნა-
ური ღიმილი შეუთამაშდა. ერთის მხრით ეს ღიმილი
თავ-მოწონებას სახავდა, რადგანაც სოლომ ნინო ისე უქო-
და მეორეს მხრით—იგივე ღიმილი ნალვლიანი იყო, თი-
თქოს ილიკოს ეჭვი ეპარებოდა, ვაი თუ ასეთმა ნაქებმა
გოგომ არ მიკადროსო.

— მართლა, სოლო, — მიმართა ფიდომ—როგორი ხა-
ლხია ეს კიმიაანი?

— კარგი მოგეცეს—კარგნი ეგენიარიან!.. — მიუფო
სოლომ.

ილიკომ ყურები აცქვიტა.

— მაგრამ ცოტაოდენი ძველი ვალი აწევთ... დე-
მეტრე ძან გამრჯე კაცია... იმან წამოაყენა ოჯახი
ფეხზე, თორემ, ცოტას გაზარჩა, მთლად არ დაიღუპნენ.

— რათა, რა დაემართათ?

— კაცო, არ გაგიგიათ? დალალ ხეჩოს ვალი ემარ-
თათ. ჰაი, ის უკეთური ისა! რამდენი პატიოსანი ოჯახი
დაანიავა! ბიჭებო! არ დაიჯერებთ, რა ძალლობა გასწია-
და... მთელი დემეტრიანთ ოჯახი ხელში ჩაიგდო და წურ-
ბელასავით სრუტვა დაუწყო. დემეტრე თურმე ჯერ ისევ
ყმაწვილი ბიჭი იყო, როცა იმისმა უფროსმა ძმა მიხამ
დალალ ხეჩოსაგან თხხი თუმანი ისესხა. ამ თხხმა თუ-
მანმა ორ-სამ წელიწადში თურმე ისე იბლარტა, რო კაი
ოც და ათი თუმანი წამოაწვა ოჯახს ვალად. აბა, ხომ
იცით, ამოტელა ფული, რაც უნდა ღონიერი ოჯახი
იყოს, რა ქვის უდელია?!.. ამასობაში ხეჩომ დემეტრეანთ
„ნაწიფლარი“ ვენახი ხელში ჩაიგდო. ყოველ წლივ ღვი-

ნისა. თუ მიწის მოსავალი სულ იმას შექონდა, მაგრამ ვალი ვალად ოჩებოდა და სარგებელიც ზედ ეკეცებოდა. ვერ იქნა, — ვერ მოახერხა მიხამ ამ ხათაბალის მოშორება... ცხონებული ერთი დუნდულა, უენო კაცი იყო... კამეჩივით ყურში ხელს ჩავლებდი და, საითაც გინდოდა, იქით მიიყვან-მოიყვანდი. მეც მოვესწარ... დიდი ხანი არ არის, რაც თქვენი ჭირი წაიღო. დემეტრემ რომ ნახა, ოჯახი სულ უკან-უკან შიღისო, მოსავალი კარგია, მაგრამ ხელში-კი არა მრჩება-რაო, თავი მოიქექა, ჩალხივით დატრიალდა... აქამდე მიხაზე იყო მინებრებული, მაგრამ ახლა-კი ყური აღარ ათხოვა. „ნაწიფლარი“ ხეჩოს ლატრიოსით, ან სუდით-კი არა ჰქონდა დამტკიცებული, — მარტო მიხას ნებაყოფლობით იყო. დემეტრემ აიღო და ერთ წელიწადს ხეჩოს მოსავალი როდი მისცა, — მარტო სარგებელი წაიღე, რაც გერგებაო. გაგულისებულმა ხეჩომ სუდში უჩივლა. დემეტრე აქეთ მიდგა, იქით მოდგა... ერთი ნაჭერი მიწა ჰქონდა, ნაბატონარისაგან გამოყიდული, — ის მიწა გაყიდა, დანარჩენი ივალა და, როგორც იყო, იმ ურიის ვალი მოიშორა... თუმცა-კი თითონ ძალიან გაჭირებაში ჩავარდა... ვენახი მაინც შეინარჩუნა. ამასობაში შვილიც წამოესწრო. მამასავით გამრჯე ბიჭია... ხომ იცი, ფიდო, როცა ოჯახში ერთი-ორი მარჯვე ხელი დატრიალდება, — ნაგუბარში უეჭველად წყალი ჩადგება ხოლმე... შაებნენ დემეტრე და იმისი შვილი ოჯახის ჭაპანში... ღმერთმაც არ ინება კაი ხალხის გაფუჭება... ამ დავაში და ხათაბალაში მიხა ავადმყოფობამ გასწირა... საწყალს ცოლი და ქალ-ვაჟი დარჩა. ქალი შარშან წინ დემეტრემ გაათხოვა, — გაღმა მხარს წაიყვანეს; ბიჭი-კი თელავში ერთ ვაჭართანა ჰყავს... მიხას

ქვრივი ახლა დემეტრეანთას ცხოვრობს... აბა, ნახევ? იმ
დასალუპმა ხეჩომ ის ოთხი თუმანი ორმოც თუმნამდე აქ-
ცია და მიხას ბიჭიც ხუთი წელიწადი სახლში იმსახურა-
ეს არის... ამ შავი დღის ვალი-ლა აწევთ დემეტრეანთ,
თორემ სხვაფრივ ძალიან კარგად არიან.—დაათავა სო-
ლომ თავისი შოთხრობა.

— სოლო! დემეტრეს ბიჭი მართლა ცოლის შერ-
თვას აპირებს?—ჰკითხა ილიკომ.

— განა აქამდე-კი არ უნდა შეერთო?! მაგრამ ოჯა-
ხის გაჭირებამ არ დააცალა.

— გავიგე, მითამ ქალი კიდეც გაუშინჯავს...

— მართალია, მაგრამ ნინოს გათხოვებას უყურებენ.

— ნინოს რომ ცდა მოუნდეს?—იკითხა წამოწით-
ლებულმა ილიკომ და სახე გვერდზე მიიქცია.

— რა ვუყოთ?.. თუ-კი დაიმედებული იქნება, ეგ
რას დაუშლის? უჰ, ძალიან ბიჭია!.. როგორიც თავი მო-
გაგონდება... მერე, რა მოჭიდავეა!.. შენ თუ შეეჭიდები,
თორემ შარშან გიორგობას მთელი თქვენი სოფელი გა-
დალახა... .

— რა ქამანდი უფრო იცის?—ჰკითხა ცნობის მო-
ყვარეობით ილიკომ, რომელსაც კარგი მოჭიდავის სახელი
ჰქონდა სოფელში გავარღნილი. სხვა კარგ მოჭიდავის
ხსენებაზე. გული ისე აუფანცქალდა, როგორც მონადი-
რეს ნადირის. დანახვაზე.

— სარმა.

— შიგნიდამ, თუ გარედამ?

— შიგნიდამ.

— დაჩოქილი?

— დაჩოქილი.

— მარდია?

— მარდია, მაგრამ ფთხილია... შენსავით არ იცის: წაეძიდგილავები თუ არა, მაშინათვე სარმას უგდებ ხოლმე. არც ძალიან ახლოს უდგება მოჭიდავეს.

— ეგ არ ვარგა.—სთქვა დაბეჯითებით ილიკომ.—კაი მოჭიდავე თავის დღეში განზე არ გაიბოტება... ჭიდაობას ლაზათი ეკარგება... შენ ეს მითხარ, ღონიერია?

— ღონე საკმაოთა აქვს... ისე მკლავში არა, როგორც ფეხში. რკინის ბოძივით დაურჭობს ხოლმე ი სამგლე ფეხებს. შენ არ მამიკვდე, იმას გარედამ მოქნეულმა სარმამ ვერა დააკლოს-რა... ისევ ფეხი მოეფუნიტება და დედამიწას-კი არ მოაცილებს...

— თვალიაანთ ნიკოსა და იმას უჭიდავნიათ?

— როგორ არა... მაგრამ გავაშვებინეთ... აღექსას ჩოხა ამოეკეცა... შერე არც ერთმა აღარ იკისრა... ძალიან დამეგობრდნენ... ალბად, ფანდში კარგად მოვიდნენ და ერთმანეთის წახდენა აღარ მოინდომეს... ამბობენ, ვითამ შენ ნიკო წაგექციოს...

— მე თითონ არ ვიცი, როგორ მამიხდა...—სთქვა თავ-დახრით და, ცოტა არ იყოს, დარცხვენით ილიკომ. იმას, ერთსა და იმავე დროს, თავიც მოსწონდა, რომ ისეთი მარჯვე ბიჭი გალახა და თანაც თავის ქებისაც რცხვებიდა.

— შენ გარდას, ილავ, მიამბე, როგორ იყო?—შეეხვეწა სოლო.

— როგორ იყო და... შარშან ერთხელ ყანიდან მოვდიოდით... მე ვიყავი და ხუთიოდე ჩვენი სოფლელი ბიჭი... ფილო, არ გახსოვს?—მიუბრუნდა ილიკო ძმას, რომელმაც, თანხმობის ნიშნად, თავი დაიქნია და «ჰო»-ც

დაატანა. — ესეც იქ იყო... გზად თვალიაანთ ნიკოც წა-
მოვერეშია და ერთად მოვდიოდით. სიარულის დროს ნი-
კომ ხუმრობით ერთ-ერთ ჩემ ამხანაგს ფეხი გადაუდო და
მიწაზე გაშელართა. საწყალს ცხვირიდან სისხლი წას-
ჭდა... მე, ღვთის წინაშე, გული მამივიდა და ამრეზით
ვუთხარი, — ბიჭო, თუ ჭიდაობის საღერღელი აგშლია,
რაღა ქურდულად ისვრი-მეთქი სარმას... პირდაპირ ვერ გვე-
ტყვი შენი გულიჭ პასუხ-მეთქი?!. ნიკომ, ცოტა არ იყოს,
ჩემი ნათქვამი იტკიცა. ალბად, კუდი მოეწო — ვაი შენ
ნიკოსაო — დამკიცლა — რომ თქვენითანა ცინგლიან ბიჭებს
სარმა ქურდულად გავუყაროთ. — როგორ თუ ცინგლიანს-
მეთქი — და ცეცხლივით ავენთე. — ილა მოგიკვდეს, თუ
თავისი ცინგლიანი ცხვირი, შენ არ მოგაწმენდინოს-მეთ-
ქი — და იმისაკენ გავიწიე. — ესე არ იყო, ფიდრ? — მიმარ-
თა კვლავ ძმას ილიკომ; რომელიც წარსულის მოგონე-
ბას მთლიად აღეგზნო; თვალებიდან სულ ცეცხლის ნაპერ-
წკლებს ჰყრიდა, ასეგონია, ამ უამაღაც თვალიაანთ ნი-
კოს ელაპარაკებაო.

ფიდომ იგივე „პო“ გაიმეორა.

— ნიკომ ერთი გულიანად გაიცინა — განაგრძო ილი-
კომ — ნამგალი შორს გადასტყორცნა და გული წინ გად-
მოაგდო. აბა, ხომ იცი, რა ჭაან ბრევ ბიჭია... მერე, ჭი-
დაობაშიაც განთქმული.... ცოტა არ იყოს, გულმა ძაგდაგი
დამიწყო... გატეხილი უნდა ვთქვა, რომ ჩემ მოსწრებულ
ბიჭობაში ჯერ არ გავლახულვიყავ და მეშინოდა, — აქ არ
შევრცხე-მეთქი. მაგრამ შიში გვიან-ლა იყო, — ნიკო კი-
დეც გამომეთამაშა... ყველანი გარს შემოვეხვივნენ და,
მხიარულად დაგვძახოდნენ — პარიქა, ბიჭებო, — პარიქა, ბი-
ჭებოო! — მტაცა ნიკომ ქამარში ხელი და სამოვერდეოზ

მოიმარჯვა... გეცოდინება,—ძალუმი მოგვერდი იცის! ვიფიქრე, —შევრცხვი-მეთქი... მოგვერდი მაშინ როდი მე-ხერხებოდა... გავიწიე ჩვენებიანთ იაკოს რქა-მოკლე ხა-რივით, გავუსხლტი ხელიდან და მხრებით დავიქნიე... ნა-კი თავის სამარდეზე როგორლაც დაიმედებული იყო და მეტის-მეტად ეწყინა. —მაშ მაგრეო—მამახახა და მარცხე-ნა ხელი მამხსნა, დამატრიალა, დამატრიალა და გარე-დან სარმა მტკიცა. ბედზედ, მიწას ფეხი დროზედ მოვა-შორე, თორემ, —შენი მტერი! —შუაზე გადამიფშვნეტავ-და. სულ ცოტა რომ ვთქვა, თითო იმისი ფეხი ჩვენი ირ-მას ფეხის ტოლა მაინც იქნება... ნიკოს ფეხი აუსხლტა და წაბარბაცდა, მაგრამ, როგორც იყო, შემაგრდა. ახ-ლა მე დავუტრიალდი... ვაჩვენე, მითამ გარედან მინდო-და სარმა და უცბად-კი წამოვუჩიქე... ვდე შუა სარმა... აკი არ იპრიანა ღმერთმა და ხერხიანად არ მამივიდა... წაიქცა... წაიქცა ის დალოცვილი... მაგრამ, გამჩენის მადლმა, ისეთი-კი დამნანდა, რომ... კარგი მოჭიდავის გალახვა კაცის გულს როგორლაც ეთანალრება ხოლმე... ამბავმა ილიკო მეტის-მეტად გაიტაცა.

ძარღვებში რაღაც უცნაურმა ძალის მომფენმა. წვეთმა დაურბინა და ეს უზომოდ შეყვარებული და ნაზის გრძნო-ბისაგან მთლად დამონავებული ჭაბუკი ამირანულის სი-მამაცით განშეჭვალა. ილიკო ისე მოჟინიანდა, რომ მზად იყო, თვიდო კაკლის ხესაც-კი შესჭიდებოდა. რაც თან-და-თან ამბავის დასასრულს უახლოვდებოდა, მით უფრო სხეულის მოძრაობა და ხმაში ძალა ემატებოდა. მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები ისეთის ბუნებრივის გულწრფელო-ბით, უეცრად შეცვლილის და დანანების კილოთი წარ-

მოსთქვა, რომ ეჭის ვერ შეიტანდით — სტუუიკო, — ნიკოს
წაქცევა ძალიან უხარიანო.

— სალდასტობაში ჭიდაობა ხომ არ დაგავიწყდა,
იღავ? — ჰერთხა სოლომ, რომელიც ილიკოს ყურს გუ-
ლის ფანჯალით უგდებდა და რომლის აღფრთოვანებაში
იგი მთლიან მოხიბლა..

— არა, არ დამვიწყებია... ან იმოდენა რა ხანია?
მაგრამ ჭიდაობის გული აღარ არის... — სთქვა ნაღვლი-
ანის კილოთი ილიკომ, რაკი „სალდასტობა“ გაახსენეს.

— რაც სალდასტათა ხარ, გიჭიდავნია?

— როგორ არა... ამ გაზაფხულზე ბევრჯელ მიჭი-
დავნია...

— ხომ არავის გაულახვიხარ?

— ჰო... ერთხელ — მიუგო ილიკომ დარცხვენით.

— მართლაა! — გაიკვირვა სოლომ.

— მაგრამ დალოცვილმა ხელმა წამაქცია და როდი
მრცხვენიან... ღმერთმანი!.. — სთქვა ილიკომ ღიმილით,
რომელიც სწორედ რომ სირცხვილის კანონიერი ნაყო-
ფი იყო.

მართალია, ვონების მსჯელობით ილიკოს დამარცხე-
ბისა სრულიადაც არა რცხვენოდა, მაგრამ გული-კი სულ
სხვას ეუბნებოდა, რაღგანაც, როგორც კარგ ფალავანს,
თავ-მოყვარეობა დაწყლულებული ჰქონდა.

— სადაურმა წაგაქცია?

— ერთმა თიანურმა ბიჭმა... თვალ-ტანად არაფერი
შვილი იყო, მაგრამ მოგვერდი იცოდა, სოლომ, მოგვერ-
დი, რომ, უფლის მაღლმა, კამეჩს გაღმოაგდებდა. მერე,
როცა ფანდი ავართვი, მოგეცა ღვთის წყალობა, მეც-კი

ბევრჯელ გავშალე ლავაშივით... იმან მასწავლა მოგვერდი, ისეთი მოგვერდი, რომ თვალიაანთ ნიკოს მოგვერდი ბიჭათაც არ ეყადრება.

— ძალიან დაგანარცხა, ილავ?! — ჰქითხა დაცინვით და თვალის მოჭუტვით ფიტომ:

— ძალიან, ღვთის მაღლმა!.. რას იცინი?

— აი, ვენაცვალე მე იმას გამჩენში!.. აკი არ ამოუყრია ჩემი ჯავრი!.. — და ფიდომ გულიანად გაიხარხარა. — გახსოვს, ერთხელ სოკოზე რო ვიყავით?!.. კაცო! — მიუბრუნდა იგი სოლოს სახის იმ გვარის გამომეტყველებით, თითქოს ეუბნებოდა: „აბა ერთი შენ გაგვასამართლეო“ — მიმავალმა შორიდანვე ერთი უშველებელი, — აი სოლომნიაანთ მოურავს რომ რუსული შლაპკა ჰქონდავს, — სწორედ იმოტელა ქამა-სოკო დავინახე და სიხარულით იმისაკენ გავქანდი... — ეს სოკო ჩემია-მეთქი — დავიძახე — და, ის იყო, მოწყვეტას ვაპირებდი, რომ ეს კნიაზი აზამბურელ თათარივით წამამედავა: — არა, ჩემიაო, მე ადრე დავინახეო... — ბიჭისა თუ ადრე დაინახე, რატო ადრევე არ მიხველ-მეთქი? — არა, ჩემიაო — მაინც თავისის გაიძახის. მეც გაქირი გავწიე... ამასობაში წავძიძგილავდით..., ამ ვაჟ-ბატონმა არც აცივა, არც აცხელა, — აქაო და სარმა ვიციო, — მკრა, კაცო, ი დასალუბი და მიწაზე-კი გამაკრა!..

აქ ფიდომ და სოლომ გემრიელად ჩაიკუჭეუჭეს. ილიკო-კი მოკრძალებით ილიმებოდა.

XXV.

ამ დროს სახლის კარები გაიღო და მის ზღრუბელზე სალომეს მოხრილი ტანი გამოჩნდა. ბიჭები ფეხზე წა-

მოცვივდნენ. ილიკოს სახეზე ყვითელმა ფერმა გადაჰკრა, როგორადაც დამნაშავეს, განაჩენის გამოსაცხადებლად გა- მოსულ მოსამართლეთა დანახვის დროს, და ქვემო ტუჩი თღნავად აუკანკალდა. სალომემ ბიჭების ახლო გაიარა- და, როცა ილიკოს დაუპირდაპირდა, სახე-მიუბრუნებ- ლივ, თვალი მუშტრულად ილიკოს შეავლო, თანაც მი- ღიოდა და თვალები ილიკოზე ჩემოდა.

ილიკომ-ჯი თავი მოტცხვად დახარა და წელან გა- ფითრებული სახე ახლა წამოუწითლდა. როცა სალომე სახლს მიეფარა, ზაქარა გარედ გამოვიდა და ბიჭებისაკენ გამოსწია. შორიდანვე ილიკოს თვალი ჩაუკრა და სიცი- ლით მიმართა:

— ჰა, ილავ! გული საგულეში გაქვს თუ არა! აბა, კარგა გაიშინჯე! რას მამცემ, რომ ნამდვილი გითხრა?

მართალია, ილიკოს გული საგულეში არა ჰქონდა, მაგრამ მაინც მღელვარება დასძლია და სულ-სწრაფობით თავი არ შეირცხვინა.

— გული, ნათლი, ემაგითანა წვრილმან საქმეზე, საგულედამ არ ამამიხტება ხოლმე! — უპასუხა: ღიმილით ილიკომ, მაგრამ ზაქარიას გამჭრიახმა თვალმა და სმენამ ადვილად შეატყო, რომ ილიკოს ღიმილი ნაძალადევო- იყო და ხმაში თრთოლვასავით რაღაც-რამ გაისმოდა.

— ხმაზედაც არ გეტყობა! — მიახალა ზაქარამ.

ილიკოს შერცხვა, საიდუმლო რომ გაუგეს, უაზროდ აქეთ-იქით წაიტორტმანა და ბოლოს გვერდზე გადააფურთ- ხა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ფუ ეშმაქსაო“.

— მამი, მაინც როგორ გაათავეთ ამ კაცის, საქმე?

— ჰკითხა სოლომ ზაქარიას.

— როგორ და... უ... ა... რ... ზე ა... რი... ან... — გა—

ჭიანურა ზაქარამ, თანაც ილიკოს გვერდზე გადახედა; ფილოს და სოლოს-კი თვალი მოუჭუტა და ცალი ულვაში ოინბაზურად შეათამაშა.

„ამ სიტყვების გამგონს ილიკოს სახე როგორლაც აღმაცერად გადაეგრიხა,—მერე ძირს ჩამოეჭიმა, ჯერ გაუფითრდა და შემდეგ გაულურჯდა. მხოლოდ, როცა ზაქარას დააშტერდა,—ძალზე აძგერებული გული დაუმშვიდდა და სახემაც ჩვეულებრივი იერი მიიღო.

— ხუმრობა გაშვებიზ და... საცაა სალომე თავის ქალით აქ მოვა.—სოჭვა ზაქარამ; მერე ილიკოს ხელი წიავლო, განზე გაიყვანა და რაღაც ჩურჩული გაუბა.

შორიდან რომ თვალი გედევნებინათ ამ თრის კაცის სახის მოძრაობისათვის, დარწმუნდებოდით, რომ ზაქარა რაღაცაზედ ეოხუნჯებოდა და ილიკოს-კი ეს ოხუნჯობა, როგორც ლიტინი, ისე უვლიდა სხეულში, და თუმცა მთელს მის არსებას თაფლივით ატკბობდა, მაგრამ ამასთანავე, ახალ პატარძალივით, სირკევილში აგდებდა.

— მაშ, ღვთის მაღლით, საქმე საქმეზე მოსულა! — უთხრა სოლომ ფილოს, როცა მათ ზაქარა და ილიკო ჩამოეცალნენ.—მამიჩემისაგან ხომ კაცი სწორეს ვერას გაიგებს... წამო სახლში, იქნება დედაკაცებმა გვითხრან... .

სოლომ და ფილო სახლისაკენ გაემართნენ.

XXVI

ნინოს დანახვაზე ილიკოს სისხლმა ადულებულ წყალივით ჩქაფ-ჩქაფი დაიწყო. თითქმის ყოველი წვეთი. ამ სისხლისა სათითაოდ ანაპერწყლდა და მთელს არსებაში გაიფანტა. ამასთანავე ყმაწვილ ბიჭს ისეთი ძალა შეჰმა-

ტა, რომ იგი მზად იყო ცას და ქვეყანას შესჭიდებოდა, ოლონჯუ ამ გოგოსათვის თავი მოეწონებინა.

ნინოს დარცხვენილმა, მაგრამ იდუმალად მეტყველმა სახემ ილიკოს ცხვირწინ სივრცე აუთამაშა და ცეცხლის ისრების მფრქვეველმა თვალებმა სიყვარულის ალით ალანია მისივე თვალები.

ისკი, ვინც ასე დაფერა ილიკოს სულიერი ვითარება, კუთხეში იჯდა თავ-ჩაღუნული, სარტყლის ფოჩებს შეუბრალებლად სჭმუჭვნიდა და სრულიად ყურს არ უგდებდა გვერდზედ მჯდომ მაიას ლაპარაკს. ქალის ფართოდ გადმოშლილი გულ-მკერდი სწრაფად ადი-ჩადიოდა, თითქოს საშური-რამ საქმე აქვს და გათავება ეჩქარებაო. ხან და ხან-კი, როცა სხვა იქ მყოფთა ყურადღება მაზედ არ იყო მიქცეული, ნინო ქურდულად გააპარებდა ხოლმე კარებისაკენ თვალებს და ისეთ ნაირად დააკვესებდა, გეგონებოდათ, უცბად თოფის წამალმა იფეთქაო.

ამ მოძრაობას თან მოსდევდა ილიკოს გამწარებული. ტორტმანი და საბრალო სამფეხა სკამის ჭრაჭუნა.

იმ ხნის განმავლობაში, რაც ილიკოს ნინო არ ენახა, ყმაშვილი გოგო ვარდის კოკრიდან სრულ ვარდად გაფურჩქნილიყო, მხარ-ბეჭს განზედ გაეწია, გული მაღლა ამობურთოდა და სიმაღლეც მომატებოდა. სახე-კი თურაშაულ ვაშლივით უღუოდა და მის ხორციელ სისაღეს საამურ ბანს ეუბნებოდა. ყოველი ნაკვთი სხეულისა დამრგვალებოდა და წინანდელებრ სხეულს განუვითარებლობა, დაუსრულებლობა აღარ ეტყობოდა.

ერთის სიტყვით, ნინია ჰასაკშა შესულიყო, დაქალებულიყო, თუმცა-კი უწინდელი სინარნარე, — რაც მის-

გლეხურ ჯაფა-შრომით სავსე ცხოვრებას შეეფერებოდა, მთლად შერჩენოდა.

ილიკოსაც, ნინოს თვალში, სწორედ ასევე მოემა-ტნა. წინანდელი ოდნავ აჯეჯილებული ულვაშები, — თი-თქოს ტუჩების ზევით მური გადაუსვიათო, — ახლა აღ-რებოდა. მსხვილ-ნაკვთიანი და ენერგიით სავსე სახე, სწორე, — შუაში ოდნავ კეხ-წამოზგმული, — ცხვირი; დიდ-რონი შავი თვალები, მოელვარე თეთრი კბილები, — ყვე-ლა ეს ერთად აკინძული, — პირველსავე შეხედვაზე თით-ქოს კაცს ეუბნებოდა: „რას მაშტერდები? ავიც და კარ-გიც ესა ვარ! გინდა მომიწონე, გინდა არაო“.

ილიკოს გულმა არ უმტყუვნა. მისმა მოხდენილებამ და ვაჟუაცურმა იერმა იმ ნეტარ დღიდან ნინო მთლად დაიმონავა. თუმცა მას შემდეგ ერთმანეთს აღარ შეხვედ-როდნენ, მაგრამ ქალის გული სამუდამოდ მხოლოდ მის-თვის სძგერდა... მით უფრო, რომ ნინომ უკვე გაიგო, ილიკოს დედ-მამას მოციქული მოუგზავნიათო.

ამ წამიდან ის „შავტრუხა“ ბიჭი ქალს ყოველთვის თვალშინ ედგა და, როცა ვინმე მის სახელს შემთხვევით: წამოიძახებდა ხოლმე, თუნდა სხვა ილიკოზე ყოფილიყო ლაპარაკი, მაინც შეშინებულ ჩიტივით უფართხალებდა. გული. ნინოს ასე ეგონა, რომ ქვეყანაზედ სხვა ილიკო აღარ არის და, თუ ვინმე ილიკოს ახსენებს, უეჭველად „იმ ილიკოს“ ჰერცოგის სხმობსო.

გუშინ საღამოს-კი ეს ფარისხალი გულისა გაუათკე-ცდა, რადგანაც დედმამის ლაპარაკს ყური მოჰკრა; ისი-ნი ილიკოს ჩამოსვლის შესახებ ლაპარაკობდნენ. დღეს, როცა დედამ უთხრა — ჩაიცვი, ზაქარაანთას წავიდეთო, — არ იცოდა, რა ექნა? მართალია, წასვლით ძალიან უნ-

დოდა წასვლა, მაგრამ თანაც ქალწულებრივი კდემა-მო-
სილება თითქოს ყურში იდუმალად უჩურჩულებდა: „არ
წახვიდე, ის ბიჭი იქ დაგხვდებაო“.

როდესაც წარმოიდგინა, რომ ილიკოს თვალით ნა-
ხავდა, გული ისე გადაელია, ისეთი თრთოლა მოუვიდა,
რომ იძულებული გახდა, მხრიდან კოკა ჩამოედო, რო-
მელიც წყლიდან მოჰქონდა.

ზაქარაანთას მისვლისას, ილიკოს რომ თვალი მოჰ-
კრა, სივრცე ისე გაუნათლდა, ეგონა ცა გაიხსნაო, მაგ-
რამ ამასთანავე იგრძნო, რომ ლოყებზე ცეცხლი მოექიდა-
და ის ოდნავი ბუსუსი, რომელიც თითქოს ატმის კანიაო,
— ისე მოსდებოდა სახეზე, — მთლად აეტყრუშა... მერე-კი ცო-
ტათი დამშვიდდა და კუთხეში მიჯდა. ათასში ერთხელ
თუ ამოიღებდა ხმას, — ისიც „ჰო“-სა და „არა“-ს:

ყველაზე ბევრს, ეჭვი არაა, ზაქარა ლაპარაკობდა.
იმისი გააღმასებული ენა სულ ორ-აზროვან სიტყვებს
ისროდა და ნინოს ისედაც გაღაელაჟებულ ლოყებს მუქ
ვარდის ფრად ჰლებავდა.

— ახლანდელ დროში, ვინც, ქმაო, სალდასტი არ
არი, ჩვენ გოგოებს ახლო ნუ გაუვლის. აქაო და სალ-
დასტიაო, ასე ჰერნიაო, ღვთისა და ხელმწიფის წყალო-
ბა მარტო იმაზე იყოს სუფრასავით დაბლერტილი!.. მე
ერთი გოგო ვიცი, რამდენიმე კაი ბიჭი დაიწუნა, — ვინ-
დათ თუ არა, სალდასტს უნდა მიეთხოვდეთ... შენ ეი! —
მიმართა ლიმილით თავის შვილს — რაო, პირი რო გაგი-
ლია!.. იქნება, იმედზე ხარ, მეც როდისმე ცოლს შავირ-
თავო... ვერ მოგართვი ღორის თავი ალილობა დღეს!..
ღმერთმა არ ინება შენი გაბედნიერება და არც ჩვენი
გოგოები დაგაყრიან ხეირს!.. აბა, ერთი ილასავით შენც

აგეთი წითელი აპელატები გეკეროს, მაშინ ჩვენ გოგოებს ზედა-ხოცა ექნებოდათ. ახლა-კი... — და ზაქარამ, ვითომ და უიმედობით, ხელი გაიქნია, თითქოს შვილს ეუბნებოდა, — დაღუპული ხარო.

— ნუ ვეშინიან, მამი! მე ჩემს საკბილოს, როგორც იქნება, ვიშოვი... — უპასუხა მხიარულად სოლომ. — ახლა რა ვქნათ, რომ სალდასტის შესატერი არ იქნება?!.. წყალს ხომ მაიტანს და პურს გამოაცხობს...

— მერე, ნათლი, ეგრე რათა ძვირობს სალდასტი? — ჰკითხა მაცდურის ღრმილით ფიდომ ზაქარას.

— რა ვიცი... ასე ამბობენ, — ოტკის სმას სწავლობენ და იმიტომაო...

ამ პასუხს საყოველთაო სიცილი მოჰყვა.

— ილავ! — მიუბრუნდა ილიკოს ზაქარა, რომელსაც ჯერ კიდევ სიცილი არ გაეთავებინა. — შენ შენი ღმერთი, გასწავლეს რუსებმა ოტკის სმა თუ ვერა?

ილიკომ, ის იყო, პირი გააღო, რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ნინომ იმისაკენ თვალები გააპარა და ელვასავით ზედ სახეზედ შეანათა. ნინოს შემოხედვამ ილიკოს მართლა ცეცხლივით გაუელვა, ერთ წამს თვალები დაახუჭინა და ეს ამოდენა ვაჟყაცი ისე შეანძრია, რომ სკამის დაზიანებული ფეხი გადაიმტვრა, სკამი დაყირავდა და ჩვენი მხედარი გვერდზე გადავარდა.

ყველა იქ მყოფმა — ქალიან-ვაჟიანად — საშინელი-ხარხარი ასტეხა. ჩურჩელასავით სირცხვილში ამოვლებული ილიკო ფეხზე მარდად წამოიჭრა და გაგულისებულმა დაიძახა:

— ი, დალახვრა ჩემმა გამჩენმა! აკი გატეხილი არა ყოფილა!

სალომემ წამოიწია და ნინოც თან აჰყვა. მოხუცებულებმა ერთხელ კიდევ დაასკვნეს, რომ ილიკო საახალ-წლოდ ორის კვირით დაეთხოვებოდა. და ნიშნობას მა-შინ გადაიხდიდნენ; სამსახურის გათავებისათანავე ბელ-გას მისცემდა და ჯვარსაც იმავ ხანში. დაიწერდა. მანამ-დის-კი მათი მოყვრობის ამბავი მარტო მახლობლებს უნ-და სცოდნოდათ.

XXVII

ზაქარას არაფრად ეჭაშნიკა, რომ ილიკო და ნინო ერთმანეთს მარტოდ-მარტო ვერ შეახვედრა. დარწმუნებული იყო, ორივენი ერთმანეთისაკენ სულითა და გუ-ლით მიისწრაფოდნენ. თავისს თავზე გამოეცადა, რა ძნე-ლია, როცა შეყვარებული ხარ და ვერ-კი დაგიოკებია ეს გრძნობა... ახსოვდა ის წამები, როცა თითონ ზაქარა, როგორც მშიერი კატა ჭერში. დაკიდებულ ძეხვს, ისე უვლიდა თავისს დანიშნულის სახლს.

— ისე როგორ უნდა წავიდეს, რომ ერთი ხმა არ გასცესო — ფიქრობდა ზაქარა. — ხუმრობა მანძილია სამი წელიწადი? ვინ იცის დღეს რა მოაქვს, ღამეს რა მო-აქვს?!... იქნება, ველარც-კი ნახოსო...

ზაქარას მუდამ თვალწინ ედგა ილიკოს ვედრებით. აღძრული სახე, რომელზედაც მხოლოდ ერთად-ერთი სუ-რვილი იყო აღბეჭდილი, — დამატებე ნინოს ცქერითაო.. ამის გამო ზაქარამ, — როცა სალომე ქალით ეზოში გავი-და, — ნინო გააჩერა და ჩურჩული დაუწყო. თანაც სახეს ისეთი გამომეტყველება ააღვნა, თითქოს ჩვეულებისა-მებრ ეხუმრებაო, რომ ეჭვი არ ამართვანო.

— გოგუნი! მე ხომ ვიცი, შენ ლოჭტოლრივ გინდა მაგ ბიჭისთვინ თრიოდე სიტყვის თქმა. ეგეც ხო ისე არ წავა, რომ ერთი შენი ხმა არ გაიგონოს... უნდა იცოდეს, თუ არა, რომ შენის ნებით მიჰდევ ცოლად. ამაღამ, თქვენ ები რომ დაიძინებენ, ვენახში გამო... ილიკო იქ იქ ნება... მე მოვიყვან.

— იჭ, ძიავ, როგორ იქნება—უპასუხა ნინომ ზაქარას, ვითომ გაკვირვებით და შორს დაჭერით—რომ გვნახოს ვინმემ...

ეს სიტყვები რომ გაიგო, ზაქარამ ულვაშებ-ქვეშ ჩაიცინა.

— ეჟე! ეს კიდეც მზად ყოფილა და!..—გაიფიქრა მან.—როცა ქალმა გითხრას,—სირცხვილია, ვინმე გვნახავსო,—მორჩი და გათავდა,—საქმე გაჩარხულია!..

— ვინ უნდა გნახოთ? ახლა, ვინ იცის, როდის მოვა ეგ ბიჭი... იქნება, საახალწლოდ არც-კი დაითხოვონ.

— დედამ რომ გამიგოს, ხომ...

— მწწ... დააძინე-მეთქი... იცოდე, რომ გელოდებით...—უთხრა ზაქარამ, დარწმუნებულმა, რომ ნინო გამოვიდოდა.

რასაკვირველია, ზაქარამ ეს აშავი ილიკოს აუწყო. ილიკო, ცოტას გაწყდა, სიხარულისაგან არ გაგიუდა... არ იცოდა, რა ექნა... ჯდებოდა, დეგებოდა, უაზროდ აქეთ-იქით ტორტმანობდა და ხელებს აფათურებდა. ტუჩებზე გამონასკვოდა ლალი, ცოტა არ იყოს, მოყეუჯრი ლიმილი და, როცა ერთ ადგილის იდგა, თვალები სულ შორს ეჭირა, თითქოს სივრცეში რაღაც-რამ მოჩანსო. ზაქარა კმაყოფილის ლიმილით თვალს ადევნებდა ილიკოს სიხარულს, მოუთმენლობას და ბუნდათ,—ასეგონია.

ბურუსშია გახვეულიო, თავისი სიყმაწვილე აგონდებოდა.

კარგად მოსალამურდა, რომ მართამ სახლში წასელია დააპირა, მაგრამ მასპინძლებმა ძალიან, იუარეს. განსაკუთრებით-კი ზაქარა იყო წინააღმდეგი, რაღვანაც, მართა რომ წასულიყო, ილიკოც თან უნდა გაჰყოლოდა და მაშინ ნინოს ველარ ნახავდა. ილიკო, რაღა თქმა უნდა, ზაქარას მიემხრო და, როგორც იყო, მართა დაიყოლიეს. შინ მარტო ფილო წავიდა, რომ კალო არ მომცდარიყო. მართა და ილიკო-კი მეორე დღეს უნდა დაბრუნებულიყვნენ.

ვახშამს მორჩნენ. ლოგინის გაშლა დაიწყეს. სოლო, ილიკო და ზაქარა გარედ დაწვნენ, ბელლის წინ. მანდილოსნები-კი სახლში მოთავსდნენ.

თითქოს განგებ, სოლოს როგორლაც ძილი არ ეკიდებოდა და ხან რაზე ჩამოუგდებდა ხოლმე. ილიკოს ლაპარაკს, ხან რაზე. ზაქარას, და მით უფრო ილიკოს, ეს არაფრად ეჭაშნიკათ და ამიტომ ისინი ტყუილად თავს იმძინარებდნენ.

— საკვირველია ლვთის განგება! — იძახდა გულრძმა მწოლიარე სოლო. — ამ ცას რო გაჰყურებ, ასე გვონია ე შასკვლავები ახლო არიანო, ნამდვილად-კი თურმე ისეთი შორსა ყოფილან, ისეთი რომ...

სოლომ შესაფერი შედარება ვერ ჰპოვა და აღარ გააგრძელა.

მყუდროება დამყარდა.

ზაქარასა და ილიკოს ეგონათ, — სოლო ეს არის გაჩუმდა და საკაა ხვრინვასაც. ამოუშვებსო, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ.

— ამბობენ... — დაიწყო კვლავ სოლომ. — მასკვლა-

ვი კაცის სულიაო... კაცი რომ დედამიწაზედ არის, იმისი სული ზეცაში მასკვლავივით ანთიაო. ყველა კაცს ცაში თურმე თავისი მასკვლავი ჰყავს... ისიც გამიგონია, მითამ მზესა და მთვარეს ოდესმე დედამიწაზედ უცხოვრიათ. ამბობენ, ქვეყანაზე ერთი ხელმწიფე იყონ და მზე და მთვარე იმისი ქალები არიანო. ორივენი ძაან ლამაზები ყოფილან, მზეთ-უნახავები... ერთმანეთი თურმე ძალიანა სძულდათ, რაღვანაც მზეს მთვარის სილამაზე ჰშურდა და მთვარეს კიდევ მზისა. როცა ერთი გარედ გამოდიოდა, მეორე სახლში იჯდა სოლმე, — ორივენი ერთად გამოსული არავის უნახავს... ბოლოს, ორივენი თურმე ერთ დღეს დაიხოცნენ. ლმერომა ანგელოზებს უბძანა, — ორივეს სულები აქ მომგვარეთო. როცა ანგელოზებმა სულები მიართვეს, ლმერომა უბძანა იმათ: აქაც რომ ერთმანეთში შულლი არა გქონდეთ, — მზემ დღისით გაანათოს ქვეყანა და მთვარემ-კი ღამითაო... ასე მოურიგებია ლმერთს მზე და მთვარე... ამიტომაც არის, რომ მზე თავის დღეში ღამით არ ამოდის და მთვარე-კი დღისით... მამი, ეს არაკი არ გაგიგონია?

პასუხი არავინ გასცა.

— ილავ, ილავ! აბა ერთი შახედე ი მასკვლავს! როგორ ჩაესვენა ი დალოცვილი... უთუოდ ვილაცა მოკვდა... კუდიან მასკვლავს რო ამბობენ, სწორედ ეგ უნდა იყოს... არ დაინახე, რამოტელა სინათლე დააყენა!..

— რას ჩამოგვეკიდე, ადამიანო, ძველი ხურჯინივით?! აღარ დაგვეხსნები? მთელი დღე რათ ვერ გაძეხილაპარაკით? — შეუბუზლუნა შვილს ზაქარამ. — ქადაგად არ დაეცა ეს მამაოხრიშვილი!..

— დღეს შენს მეტი ვიღა ღაპარაკობდა, მამი?! ახ-

ლა ჩემი რიგია!.. — უპასუხა სოლომ იმ იერით, რომ აშ
დროს, ალბად, სახეზე ღიმილი უკრთოდა...

— იყტედე, თუ არ დაგიშლია!.. ჩვენ-კი ყურს არ
დაგიგდებთ და... — და ზაქარამ თავზე საბანი წაიხურა. —
ილავ, საბანი ჩაითბუნე, არ შაგცივდეს, — გრილი ღამეა, —
თორემ დედიშენის მუნათს ვინ გადურჩება?!

— ჰმ... ჰმ... ჰმ... — მოისმა ნამძინარევი ხმა ილი-
კოსი.

— ერიპა! ეს თავისს პატრონს კიდეც ჩაპხარებია! —
სთქვა სოლომ და გვერდი იცვალა იმ აზრით, რომ ძი-
ლი მოჰკიდებოდა.

მართლაც, ცოტა ხანს უკან, სოლომ მაღიანი ხვრინ-
ვა ამოუშვა.

ზაქარამ ცოტა კიდევ დააცალა, რომ სოლომ უფრო
ძალიან გაბმულიყო ძილის ბარდებში. მერე-კი ილიკოს
წასჩურჩულა:

— ზარბაზანიც რომ დაუცალო, ახლა მაგას ვეღარ
გააღვიძებ... ძლივს არ დააყენა ი სამგლე ენა... აბა,
ნელ-ნელა აიწი, ბეღელს ამოეფარე, მეც ახლავე მოგყვე-
ბი... ტანისამოსი თან წაიღე, იქ ჩაიცვი...

ილიკომ გულის დაგა-დუგით წამოიწია, მაგრამ ზა-
ქარამ შეაჩერა.

— ესე არ ივარგებს... ჯერ მე ავღვები... ძალლი
გიუცხოვებს და დაგყეფავს...

ილიკო კვლავ თავისს ლოგინზე დაეშო.. ზაქარა მარ-
თალს ამბობდა: იქვე, იმათ შორი-ახლო, ძალლი იწვა,
რომელმაც, ილიკო რომ ლოგინზე წამოჯდა, ყურები აც-
ქვიტა და ოდნავ დაიღრინა.

ზაქარა წამოდგა და ფეხ-აკრეფით ბეღელს ამოეფარა. ძალლი თან გაჰყვა. როცა ახლოს მივიდა, ზაქარამ ყურებში ხელი სტაცა. პირუტყვამა წემუტუნი დაიწყო და, უკანა ფეხებზე შემდგარმა, დავლური ჩამოუარა.

— გაჩუმდი, შე მგლის კერძო ე ხალხი არ შემიყარო, თორემ სულს გაგაფთხობინებ!..

ილიკოს რომ ძალლის ხმა შემოესმა, იფიქრა, — ახლა-კი დრო არისო, — და წამოდგა. იმის ფეხის ხმაზე ძალლმა ღრენით გაიწია, მაგრამ ზაქარამ არ გაუშვა. როგორც იყო, ტანისამოსი ჩაიცვეს და გზას გაუდგნენ. ძალლი მხოლოდ ილრინებოდა და ყეფით-კი არ დაუყეფნია, რადგანაც პატრონი იქვე იყო. უკან გამოდგომა და-აპირა, მაგრამ ზაქარამ ქვით გამოაგდო.

— შენი პატრონი ხომ კაი საქმეზე მიდის და ახლა შენც დაედევნე!.. ღმერთმანი, ერთი ბრიაბრობა რომ ვჭამო ამ სიბერის დროს, — ახია ჩემშე! არა, რა ჩემი საქმეა ამითანა ხათაბალაში გარევა?! ი დედაკაცმა რო გაიგოს, ხო თოხლო კვერცხივით გადამყლაპა!.. — ასე ფიქრობდა ჩვენი ზაქარა და ფეხ-აკრეფით მიიპარებოდა ორლობები შეა. მაგრამ, როცა ილიკოს სიხარული გაახსენდა და მოიგონა, რა მაღლობელი იყო მისი ეს საწყალი ბიჭი, — კმაყოფილება იგრძნო და ორჭოფი ფიქრები მთლად გაეფანტა.

ილიკო-კი... მაგრამ ილიკო რა? მოდი, მკითხველო, ისევ შენ თითონ წარმოიდგინე. ილიკოს მდგომარეობა. იქნება, შენი ოცნება უფრო ძლიერი! იყოს ჩემისაზე და უფრო აღგზნებით და მეტის ძლიერებით განიცადო ჩვენი გმირის სულიერი ვითარება. მხოლოდ ერთ რამესა

გთხოვ: როცა მორჩე შენს ოცნებას, ილიკოს თან გაპუევი... აქ მეც დაგეხმარები... მაშ ერთად წავიდეთ. მეც ილიკოს მივდევ.

ილიკო მიდიოდა, მაგრამ ამასთანავე ფეხები უკანა რჩებოდა. რატომ ვერ დაეძლია საზიზლარი გაუბედავობა, რომელიც ისე ჰბორჯავდა მას, როცა ნინოს გვერდით იყო ხოლმე. აი, ახლაც ეშინოდა, რომ ენა დაებმებოდა და ვერას ეტყოდა.

ილიკოს გარშემო რაღაც ბურუსი ეხვია. ერთბაშად რომ გაგეჩერებინათ და გეკითხნათ, — აი, ამ უამაღ რაზედ ფიქრობო, — ვერ გიპასუხებდათ.

ორივენი ჩუმად მიდიოდნენ. ზაქარაც ხმას არ იღებდა, რადგანაც არც თუ მაგრე რიგად მოსწონდა თავისი მდგომარეობა მაჭალისა. მაგრამ მოულოდნელად გუბეში შეტოპა და უკან გადახტა.

— აი, დალახვრა ჩემმა გამჩენმა! გუბე ყოფილა ეს ამოსავარდნელი! დასწყევლოს ღმერთმა! ყველგან რომ გვალვისაგან ქვეყანა იბუგებოდეს, ამ ვერანა ადგილას მაინც ტალქხია ხოლმე!.. მარჯვნივ მოუარე, იღავ, თორემ ძალიან სუფთა მიუხვალ შენი გულის ნუგბარსა... ეშმაკის ვირზე უნდა შამსვან მე ოჯახამოსაგდები და იმისი კული უნდა მამცენ ხელში!..

რაკი ზაქარამ პირი გააღო, ისე როგორ გაათავებდა, რომ ენა არ მოექავა.

— არა, რა მრჯოდა მე მამაოხრიშვილს?! დიდი რამ არის, თუ ამათ ერთმანეთი არა ნახეს?! რა ვიცი, მთელი დღე კინაღამ თვალებით ერთმანეთი არ გადაყლაპეს და რით ვერ გაძლნენ?! ახლა, თუ ძუძუებზე არ მოუცაცუნა ხელი, — როგორ იქნება?!.. შენი ჭირიმე, დედიიი, რა

ლრო დაგვიდგა! სადღაა ძველებური ნამუსი?!.. სადღაა მორიცება?!.., ლამის ქვეყნის თვალწინ გოგო-ბიჭები ერთმანეთს კისერზედ ჩამოეკიდნენ!.. ეჭ!..—ამბობდა ვითომ და უკმაყოფილოდ ზაქარა, მაგრამ ილიკო კილოზე ატყობდა, რომ ეს უკმაყოფილება მოჩვენებული იყო. ძუძუების გახსენებამ ილიკოს ურუანჭელი და ზმორება მოჰვარა.

— აბა, შენ აქ დაიცა... მე სახლს ავუვლი... ღმერთო, ე რა ჭირში ჩავაგდე ჩემი თავი!.. აქ არ გამიგონ და ქვეყანაზე თავი არ მამჭრან! წარმოსოჭვა ზაქარამ ახლა-კი, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულმა.

ილიკო ხის ჩრდილს ამოეფარა და ზაქარა-კი დაწინაურდა. კარგა განიერი ორლობე იყო, რომელსაც დიდი საურმე გზა ზედ შეუაზე სჭრიდა. ზაქარას ეშინოდა, ვინმე გამვლელ-გამომვლელმა არ დაგვინახოს, ქურდები არ ვეგონოთ და ერთი ვაიუშველებელი არ ასტეხოსო. სიბნელე გახშირებული იყო, მაგრამ მთვარე მალე ამოვიდოდა.

ორლობის სისწვრივ ჭიმიაანთ კარის ვენახი იყო და ნინო სწორედ ამ ვენახში უნდა გამოსულიყო. ზაქარას იმედი ჰქონდა, შინ სალომესა და ნინოს მეტი არავინ იქნებაო, რაღვანაც მამაკაცები და რძალი ლამითვე კალოს დაუბრუნდებოდნენ. ვენახის ლობე დაბალი იყო, — გადასვლა ადვილა შეიძლებოდა; არც ვენახის მცველის შიში ჰქონდა, იმიტომ, რომ ჯერ ყურძენში თვალი არ შესულიყო. ვენახს სახლი და ეზო ზედ ჰქონდა მიკრული. საკმაოდ ფართო ეზოში აქა-იქ გაფანტული იყო სხვა-და-სხვა შენობა, რასაც თითქმის ყველა საშუალო გლეხ-კაცის კარ-მიდამოში შეხვდებით: ბელე-

ლი, მიწაში შეთხრილი გომური და მარანი, რომელსაც
კედელი მხოლოდ ერთ მხარეს ჰქონდა. თითონ სახლი
ფიცრული იყო; ჩრდილოეთით-კი კედელი ქვითკირისა
ჰქონდა. ეზოშივე აქა-იქ გაფანტული იყო სხვა-და-სხვა ხე-
ხილი და შიგ შუაგულას თუთის ხეს ტოტები ფართოდ
გაეშალა.

ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, კარების სარკმლიდან სანთ-
ლის შუქი როდი გამოკრთოდა. ზაქარა დარწმუნდა,
რომ სახლში ყველას ეძინა; ამიტომ გაბედა და ეზოს
კარებს მიუახლოვდა... როცა კარებს მიაწვა, ხის გორ-
გოლაზე შემდგარი ლასტის წნული აჭრაჭუნდა და ამავე
ღროს საიდგანლააც მყეფარმა დაიღრინა. ზაქარამ, შე-
შინებულ ნადირივით სული განაბა და ყურ-მოუკრავის,
ნაბიჯით ილიკოსაკენ გასწია. ილიკო გულის ფანცქალით
ელოდდა.

— ილავ, ვენახში გადავიდეთ, თორემ ახლა სახლს
კაცი ვერ მიეკარება. ი დასაღუპი მყეფარი შინა გდებუ-
ლა... მე მეგონა, კალოზე გაიყოლებენ-მეთქი... ისეთი
შემომლრინა ი მგლის კერძმა, რომ ზარბაზნის ხმა გეგო-
ნებოდა... ვენახში დავიცადოთ... უსიკვდილოდ გამოვა...

— რომ არ გამოვიდეს?.. — ჰკითხა იმედ-მიხდილმა
ილიკომ.

— გამოვა... დარდი ნუ გაქვს...

— შენ რომ უთხარ, იუარა?

— ისე რაღა... ცალყბად... პირით „არაო“, მაგ-
რამ გულით-კი „ჰოო“.

სინათლე რომ ყოფილიყო, ზაქარა შენიშნავდა, რა
სიხარულის ნათელი მოეფინა ილიკოს სახეს.

— შენ პირს შაქარი!.. — წაილულლულა უაზროდ ის,
რაც პირზე სიტყვები. მოადგა.

— შენსას კიდევ ნინოჲ ტუჩები!.. ჰაი, შე ეშმაკო
შენა! რა გოგონა ჩაიგდე! იცოდე, პირველი შვილი მე
უნდა მამანათლინო... იმიტომ ვცდილობ, თორემ რაო
ჩემოო!.. ეჭეი, ფიდოსავით შენც ღმერთი არ გაგიწყრეს და
პირველადვე ცოდისშვილი არ გეყოლოთ, თორემ მისამარ
ახლოს არ მივეკარები...

— ოლონდაც გამაბეძნიერე და...

— აბა, ახლა ვენახში შევიპარნეთ.... რაღა შორს.
წავიდეთ?! ამაზე დაბალ ადგილს სხვაგან ვერ ვიპოვნით...
ნელა-კი, თორემ ლამეა, ძალლს ჩამი-ჩუმიც-კი. ესმის...
მგონია, დიდი ხანი არ მოგვიგვიანდება....

ზაქარა და ილიკო ვენახში გადავიდნენ.

— რა კარგი იქნება, დაგვინახოს ვინმემ და ქურ-
დები ვეგონოთ... ლვთის წყალობა გაქვს,— იმან ხალხი
შეგვიყაროს... — სთქვა ზაქარამ, როცა ისა და ილიკო
გაფოთლილ ვაზებს შეერივნენ.— აბა, ახლა ცოტა წინ
წავიწიოთ... მე მგონია, ნინო მთვარის ამოსვლას მოუ-
ცდის... მთვარეც მალე ამოვა... იცი, რა გითხრა, ილავ...
მოდი, მე აქვე ახლოს სადმე წამოვწვები და შენ-კი ამ
ხის ძირას იყავ. ხო ხედავ, — ბილიკი... უეჭველად ამ
ბილიკზე გამაიყლის....

— ძალიან კარგი... ღმერთმანი, ნათლი, არ ვიცი,
მაგიერი რითი გაგიწიო...

ზაქარამ წინ რამდენიმე ნაბიჯი წადგა და იგი მსწრაფლ
სიბნელემ შთანთქა.

XXVIII

ილიკო მარტოდ-მარტო დარჩა. იამა კიდეც, რომ ზაქარია მოშორდა. ახლა თავისუფლად შეეძლო ფიქრი ნინოს შესახებ... მით უფრო, რომ გოგოზე ასე ახლოიყო. მაგრამ ამავე დროს, — მარტო რომ დარჩა, — რაღაც სასომიხდილებამ შეიპყო, თითქოს მისი გამბედავობა ზაქარია ყოფილიყოს და ზაქარიას ეს გამბედავობა თან წაეყოლიოს.

ამისთანა საქმისათვის ილიკო გამოუცდელი იყო და ვერ მიხვედრილიყო, როგორ მოპყრობოდა ნინოს. არ იცოდა, მოსელისათანავე მოჰვევნოდა, თუ მოკრძალებით მიჰებებოდა. იმ გახშირებულ ბინდ-ბუნდში, რომლითაც მისი ფიქრები დაიჩრდილა, ნათლად მხოლოდ ერთი რაში ირკვევოდა, — ეს ის აზრი იყო, — რომ საკაა ნინოს შეხვდება მარტოდ-მარტო, ბნელ ღამეში, აი, ამ ხის ქვეშ...

ილიკოს მხარი ხისათვის მიეყრდნო და მოელვარე თვალები შავ-ბნელ სივრცესთვის გაეშტერებინა. სამოთხ ნაბიჯის იქით არაფერი სჩანდა, მაგრამ ილიკოს, ნამდვილ თვალების გარდა, რომლებიც ღამის საბურავს დაეჩლუნებინა, სხვა თვალებიც ჰქონდა — თვალები ოცნებისა, წარმოდგენისა. მხედველობა ამ თვალებისა ისარივით ჰპობდა არამც თუ ქვეყნად გამეფებულ წყვდიადს, არამედ სახლის კედლებს და ნინომდე აღწევდა. თვალწინ — გრძნობა-გონების თვალწინ — ედგა ნინო, გულის ფრიალით მომლოდინე იმ წამისა, როცა დედა ხვრინვას ამოუშვებდა.

ასე სულ-განაბული, შენა-გამახვილებული იდგა ილიკო, როგორც მღნადირე ნადირის მოლოდინში, — რომ

უცბად ყურთ ნიავსავით ნელი, წყნარი, მოკლე ნაბიჯი შემოესმა.

ამ ხმაურობის გაგონებისათანავე ილიკოს გული ძალუმად შეფრთხიალდა და მაშინვე შეჩერდა, ასეგონია შეიკუმშაო, მოძრაობა შესწყვიტა. ილიკოს ეგონა, — ეს ეს არის გადავიქცევით და, — აქამდე კისერ წაშოგძელებული, წინ წამოხრილი, — დასუსტებულივით ხეს მიებჯინა. ასეთი ყოთა დიდხანს არ გაგძელებულა... გულმა კვლავ ტაკა-ტუკი დაიწყო, მხოლოდ ისეთის სისწრაფით, რომ ყოველ ამოფეთქას ცალკე ვერ გაარჩევდით, არამედ ერთი მეორეზედ ჯაჭვივით იყო გადაბმული... სახე უხურდა, საფეთქლებში ჩაქუჩივით რაღაც ურაკუნებდა... ყურები უწიოდა.

ფეხის ხმა რაც უფრო ახლოვდებოდა, იმდენად გულის ძეერა მატულობდა. კარგა ხანს ვერ გასძლებდა ილიკო ამ მდგომარეობაში, რაღგანაც ჰაერი თითქოს დამბიმდა, დაკოშტდა და ადვილად როდი ისუნთქებოდა.

აი, ფეხის ხმა იქცე ახლოს გაისმა... ილიკოს ცეცხლმოკიდებულმა თვალებმა ძლიერ გაარჩია სივრცეში ბუნდი გამოხატულება ქალის ტანისა...

ამის დანახვა და ილიკოს ძალის მოკრება ერთი იყო. მას თითქოს ფრთები შეესხა... ქალისაკენ გადახტა და აკანკალებული ხელები ნინოს მოხვია.

— უი! — შეჰკივლა ოდნავ შეშინებულმა ნინომ, მაგრამ, რა გაისმა ჩუმი, მინელებულ ცეცხლივით მგზნებარე ხმა ილიკოსი: „ნინო... ნინო... ჩემო ნინო!...“ ა, — ქალი შეპყრობილ ჩიტივით ჭაინაბა და თითქოს დავისს ხვედრს კიდეც დაპნებდა

ყმაწვილი ბიჭის აღელვება, გრძნობების ცეცხლივით

აღგზნება, ერთის წამის განმავლობაში, ქალსაც მოედო... სხეულში ელექტრონის წვეთივით რაღაცამ დაურბინა; ტანში საამო ჭრუანტელი უვლიდა... იგი თუმცა გაციებულივით ცახცახებდა, მაგრამ ეს ცახცახი ციებ-ცხელების ძაგძაგს როდი ჰგვანდა... იგი იყო ნეტარი, სიამის მომფენი... ნინოს ასე ეგონა, ეს არის ცივ წყალში მიბანავია, გამოვსულვარ და ის მაძაგძაგებსო... სხეული თანდათან უხურდებოდა, სისხლი უდუღდა, გულს რაღაც სიტკბოება აწვებოდა... ამ სიტკბოებამ ნინოს მთლიად გადაავიწყა წელანდელი გალბედავობა, ბრძოლა თავისევე თავთან იმის შესახებ, გასულიყო ვენახში, თუ არა.

— რა უშავს? გავალ, ორიოდე სიტყვას ის მეტყვის, ორიოდეს მე და... მორჩა და გათავდაო...

საიდან მოიაზრებდა ნინოს კრძალული და მორიდებაში გამოწროთული გული და გონება, რომ ადამიანის ბუნება სტიქიონისა ჰგავს, — თუ ერთი აღტყინდა, — საზღვარი არ იცის დაოკებისა. ნინო თავისს დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ილიკოს არსება პირველსავე შეხვედრაზე თავისაკენ ასეთის მომჯადოვებელის ძალით მიიზიდავდა.

როცა ყმაწვილი ბიჭის ტუჩები ქალის ლოკას შეეხო, — ნინოს ასე ეგონა, ხორცის კანზე, გავარვარებული ნაკვერჩხალი დამეცაო, — მაგრამ... ამის განცდა მხოლოდ წუთიერი იყო, რადგანაც პირველის ამბორისაგან დაწყლულებული ადგილი ლოკისა მეორე, მესამე და დანარჩენმა კოცნამ მსწრაფლ მოუშუშა, დაუამა...

თან-და-თან ეს გაგრილება, ეს დაამება ნინოს როდილა აკმაყოფილებდა. ახლა თვით მასში აღიძრა სურვილი

ილიკოსათვის მაგიერი გადაეხადა, — თავისის ცეცხლმო-
დებულის ტუჩებით ისიც დაეწვა და დაედაგა.

ამისთანა შემთხვევაში მაგიერის ზღვევა ანაზღეულია-
ხოლმე. ნინოც ამ ზოგად კანონს დაემორჩილა. აქამდის-
უმოძრავმა და გაყუჩებულმა უცბად ხელები გაშალა, შე-
მოახვია ილიკოს კისერზე მკლავები და დაუწყო კოცნა...
კოცნა, ჯერედ გამოუცდელის ვნებათა ლელვით შეზავე-
ბული... ალძრულ ბუნებისაგან ნაჩურჩულევი.

თითქოს ამ წამის მომლოდინე ლამის მნათობი უეც-
რად საიდგანლაც გაჩნდა ცის კამარაზე და მთლად გაქა-
თქათებულმა მხიარულად გადმოხედა ხის ქვეშ მყოფ ში-
ჯნურთ.

ამავე დროს ხის ფართოდ გაშლილ ტოტებ-შუა ქურ-
დულად ჩამოიპარა მთვარის ერთ-ერთი მკრთალი სხივი,
რომელმაც ქალის სახე საყვარელივით გადაჰკოცნა. ილი-
კოს თითქოს შეშურდა სხივის სითამამე და, რათა დაემ-
ტკიცებინა მისთვის, რომ მეც შემიძლიან ნინოს კოც-
ნაო, როგორც მშიერი კაცი საჭმელს, ისე დააცხრა იგი
კვლავ ქალის ლოყებს და ტყლაშა-ტყლუ ში აუყენა.

ზოლოს ორივენი, ხმის ამოუღებლივ, იქვე ხის ძი-
რას ჩასხდნენ. ნინო გვერდზედ აპირებდა. მოჯდომას, მაგ-
რამ ილიკომ არ გაუშვა, მუხლზე შეისკუპა და მარჯვენა.
ხელი სალტესავით წელზედ შემოავლო. ნინოც მიჰყვა და
ბიჭის მხნე მკერდს ზედ მიაყრდნო თავისი მარცხენა მკერ-
დი, რომელშიაც აჩქარებით მმოძრავი გული. სამხიარუ-
ლო ებანსა სცემდა. მერე ილიკომ ქალის კისერი თავი-
საკენ გადახარა, ჯერ ერთი ლოყაზე აკოცა და შემდეგ
თავის ლოყა ზედ მიაყრდნო და ისე ორივემ, ამ უამად

ერთ არსებად გადაქცეულმა, ერთმანეთში გამდნარმა, თვალი უსაზღვრო ცის გუმბათს გაუშტერა.

ცაზედ ამ დროს რაღაც მედიდურ მყუდროებას და ესადგურნა, რომელიც კაცის გულს სასოებით და გამოურკვეველის სიამოვნებით ავსებდა. ერთის შეხედვით, ცა საოცნებო ქსოვილი გეგონებრით, რადგანაც სხვა-და-სხვა გამოსახულების და ფერის ღრუბლებს აქა-იქ აჭრე-ლებით მთლიად დაეჩითა. პაწიავარსკვლავები ოდნავ ციმცი-მებდნენ, თითქოს მთვარეს ეკრძალებიანო. მთვარე-კი ოქ-როს ნავივით, უბიშო ქალის რხევით, თავისუფლად დანავარდობდა თვალგადუწვდენელ მორევში და თი-თქოს ყმაწვილ გოგო-ბიჭს მხიარულის მუქარით. ეუბნე-ბოდა:

— ჰაი, თქვე ცელქებო, თქვენა! აქ სად მიმალულ-ხართო!..

XXIX

კარგა ხანი ისხდნენ! ნინო და ილიკო და ოდნავ-ღა-ღელავდნენ. წელან-ღელი გაალმასებული გრძნობიერება და კნებათა-აშლილობა როგორლაც მიწყნარია..

აქამდის ნინოსა და ილიკოს შორის ერთი სიტყვაც-კი, — რომელსაც გონების ნიშანწყალი ჰქონოდეს, — არ დაძრულიყო და რაც იყო წარმოთქმული, ის-მხოლოდ კნებათა-ღელვის ნაყოფად ჩაითვლებოდა. ახლა-კი, როცა სხვა-და-სხვა სურვილების ზღვაშ შესწყვიტა თავისი გალომებული ფრთონა, ზვირთების ერთი-ერთმანეთზედ აგორება და ნელად-ღა ირყეოდა, — ორივეს მოუნდათ ერთ-განეთთან ლაპარაკი, ერთმანეთის ხმის გაგონება, რათა ყოვლით დამტკბართ — სმენაც. დაეტკბოთ.

პირველად ილიკომ ამოიღგა ენა..

— მაშ არ იშლი, — ცოლად უნდა წამამყე რალა?

— ჰყითხა მან ნინოს ლიმილით და თვალებში ჩახედა.

— თუ შენ არ იშლი, — მე რალად დავიშლი... — უპა-
სუხა ლიმილითვე ქალმა.

— მე რომ ჯერ სამ წელიწადზე მეტი სამსახური
მაქვს?..

— ახლა რა ვლყოთ? თუ შენ იქ გასძლებ, მე აქ,
ჩემ მშობლებთან, ვერ გავძლებ?! მერე ხომ სულ ერთად
ვიქნებით... — დააბოლოვა მთლიად წამოწითლებულმა ნი-
ნომ.

— განა აგრე გიყვარვარ?..

— იჲ, რა ვიცი... — იყო პასუხი, მაგრამ გრძნობის
გამომეტყველი თვალები ქალისა სრულიად ააშკარავებ-
და, რა პასუხიც ეკერა ნინოს პირზე, მაგრამ ქალწულე-
ბრივი კრძალულება როდი ათქმევინებდა.

— ჩემო მთვარევ!.. — წარმოსთქვა აღზნებით ილი-
კომ და თან ქალს მკლავები მუხრუჭივით მოუჭირა, თი-
თქოს ზედ უნდა მიიღნოსო.

— ნინო, არ გაგონდებოდი ხოლმე? — ჰყითხა ილი-
კომ ცოტა სიჩუმის შემდეგ. ასეთმა კითხვამ ნინო მთლად
ოფლში გაქნა, გულის პირველ მოწოდებაზე იგი მზად
იყო, ყველაფერი ეთქო ილიკოსათვის, — ეამბნა, რამდენი
უძილო ლამე გაეტარებინა მის ხსოვნაში, რამდენჯერ და-
ელბო ცრემლით ბალიში და სხვა ამისთანები, მაგრამ —
„სირცხვილით“ — გაურბინა ქალს თავში ფიქრმა და არა-
უთხრა-რა.

ილიკო ამ პასუხსაც მიუზვდა, — ქალის გაყუჩებამ, თა-
ვის ძირს დახრამ აღცნო, რაც იჯო მიზეზი ნინოს სი-

ჩუმისა და, ამის გამო, ისევ მკერდზედ მაგრად მიიკრა.

— შე...ნა?—მოისმა ქალის ხმა, რომლის აკანკალე? ბულმა ჰანგმა თვით ჰაერიც-კი აათროთოლა.

— მეე?—ყოველ დღე, ყოველ საათს, ყოველ წუთს... იცი, რა გითხრა, ნინო ღმერთი, რჯული, თოფი რომ მეჭირა და გვათამაშებდნენ, მაშინაც-კი თვალწინ შენა მყვანდი—უპასუხა კილოშეკიდებით ილიკომ.

ახლა ქალი თვით პირველი მიეკრა მკერდზედ ილიკოს და ლოკა ლოკაზე მიაყრდნო, თითქოს სცივა და სურს ყმაწვილი ბიჭის სიცხოვლით გათბესო.

— იცი, ნინო—დაიწყო კვლავ ილიკომ;—ნათლია ზაქარამ მითხრა,—პირველი შვილი მე უნდა მოგინათლოთო... შენ რას იტყვი? ჰა?

— მე რა ვიცი... როგორც შენ გინდა...

— ეპი, შენც ჩემი რძალივით პირველადვე გოგოთი არ გამახარო, თორემ...—დაემუქრა ვითომ ილიკო.

— თორემ... რას მიზან?—ჰკითხა კომწიაობით ნინომ და თან დაცინვით სახეზედ დააცქერდა.

— თორემ... თორემ... ავიღებ და... ერთ გაკოცება!—უპასუხა სიცილით ილიკომ და მართლაც ერთი მაგარი აკოცა.

— შენი რძალი როგორი ადამიანია?—ჰკითხა ცოტა სიჩუმის შემდეგ ნინომ სერიოზულის კილოთი.

— ღმერთმანი, ძალიან უწყინარი ქალია!.. არ დაიჯერებ? რაც მე სახლში ვიყავი, ერთხელაც არის, იმასა და დედაჩემს უსიამოვნობა არ მოსვლიათ... შენა? შენ გიყვარს ჩხუბი?—დაეკითხა ახლა ილიკო, რომელსაც საჭხეზე აინბაზური იერი უკრთოდა.

— ძალიან! — წარმოსთქვა სიცილით ქალმა! — საჩხეუ-
ბარი ვისთან რა მაქვს?

— რა ვიცი... — რძალ-დედამთილი ერთმანეთს ისეუყუ-
რებენ, როგორც ძალლი და კატაო, — გამიგონია. აი, ჩვენ
ერთი შეზობელ გვყავს... ისე დღე არ გაივლის, რომ
იმათ სახლში აურ-ზაური არ მოხდეს. ხოლმე... სულ-კი
რძლების ბრალია...

— იქნება, დედამთილია ავი?

— ჰო, არც თუ ის არის წმინდა წყლისა... მაგრამ:
უფროსი იშიტომ არის ოჯახში, რომ უმცროსი ემორჩი-
ლებოდეს... ღმერთმანი, ძალიან მეწყინება, ჩემმა ცოლ-
მა, რომ დედაჩემს აწყენინოს... იმ დროულა ადამიანს...

— ნუ გეშინიან, მე ისეთი არა ვარ... — გააწყვეტი-
ნა სიტყვა ნინომ.

— განა მე შენზე ვამბობ, შენ გენაცვალე! განა მე
არ ვიცი, რომ შენ იგეთი არა ხარ!

— მერე, შენ რა იცი?

— გატყობ...: თუმცა-კი ძალიან კუდიანი-რამ უნდა
იყო...

— რაზე მატყობ?

— აი, წელან, კინალამ თვალებით რომ დამხვრი-
ტე!.. სულ შენი ბრალია, სკამიდან რომ გაღმოვვარდი...
ნინომ ერთი გულიანად გაიცინა, როცა ილიკოს.

სირცვილისაგან ალანძული სახე წარმოიღვინა.

სიჩუმე დამყარდა.

— საახალწლოდ ჩამოხვალ?

— მაშა! ნიშნობა გვექნება.

— ქორწილი როდის-ლა გვექნება?

— ააჲ! — ამოიოხრა ილიკომ. — ნეტა როდის უელირ-სები მაგ დღეს!..

— მაგრე რად გენატრება? — ჰკითხა შოჩენებულის გულუბრყვილობით ნინომ. კარგად იცოდა, რადაც ენა-ტრებოდა. ილიკოს ის დღე, მაგრამ ქალის ინსტიქტიურ თავ-მოყვარეობას. სწყუროდა, თვით ილიკოს პირით გაეგონა, რად იყო საქორწილო დღე მისთვის. ნეტარი.

— როგორ თუ რად? მაშინ მე თავისუფლად ვივლი და შენ-კი საკუთრად ჩემი იქნება... აი რად...

— როგორ თუ საკუთრად შენი ვიქნები? განა დედ-მამისა აღარ უნდა ვიყო?

— დედმამისა. სულ სხვაა და ჩემი-კი...

— შენი რა?

— ისა, რომ... როცა მინდა, აი, ასე გაკოცებ ხოლო მე... — უთხრა ილიკომ, თან თავში ხელები ჩაავლო, სახე თავისკენ მიიზიდა და გამალებით კოცნა დაუწყო.

გეყოფა, გეყოფა, ნუ დამაღრჩე?.. — ეუბნებოდა ნინო, თუმცა გულით-კი ის უნდოდა, რომ ჯერ კიდევ დიღხანს გაგრძელებულიყო ეს კოცნა.

ილიკო ერთ ხანს გაჩერდა, რომ სული მოეთქვა.

— უჲ! კინაღამ დავიღჩე! — წამოიძახა ნინომ. და თავიდან გადავარდნილ. — თავ-ხახვევის სწორება დაიწყო. — ლამის ყბა მამაგლიჯო!.. ჯერ ხომ შენი არა ვარ, — რა ნება გაქვს, რომ ასე მკოცნი?!.. — ეუბნებოდა ნაძალადევის გაჯავრებით ნინო და თანაც ლოყებზე ხელს ისვამდა.

— რად იწმენდავ, შენ გენაცვალე?

— იმიტომ, რომ არ მინდა შენი კუცნა! — უთხრა
ჭინიანობით ნინომ.

— არ გინდა... ა... ა... ა — გააგრძელა ილიკომ.

— არა! — უპასუხა ნინომ იმავე კილოთი.

— აბა, თუ მაგრეა და ჰნახავ!.. — წარმოსითქვა და-
მუქრებით ილიკომ და ქალის. სახე თავისაკენ მიატრი-
ალა.

ქალი განგებ უძალიანდებოდა, მაგრამ ამაოდ. ილი-
კომ წელანდელივით კოცნა დაუწყო. ყმაწვილ ბიჭის არ-
სებაში კვლავ გაიღვიძა მიყუჩებულმა ვნებათა-ლელვამ და
გაზაფხულის მდინარესავით აბობოქრდა.

უცბად ილიკოს ხელები ნინოს მკერდს მოხვდა, ამ
შეხებამ ქალიც შეარყია, აღძრა და წინანდელებრ კოც-
ნას კოცნით უბრუნებდა, ხვევნას ხვევნით.

ბუნება-აღძრულმა ილიკომ ქალს ლიფის წინა ღი-
ლები ქურდულად შეუხსნა, ნაპირები გადაუწია და მერე-
ტუჩებით მოტიტვლებულ გულ-მკერდს დაეკონა. ტიტ-
ველა სხეულის დანახვამ და შეხებამ ილიკო. მთლად დაჰ-
ბნიდა, დაათრო, გააბრუა.

ილიკოს ვნება ათახთახებდა, წამ-და-უწუმ აზმორებ-
და, სახე გაფიტრებული ჰქონდა, ტუჩები ათრთოლებული.
ლრიმად ჩავარდნილ თვალებში სისხლი მოსწოლოდა, ელ-
ვარება და სინათლე გაენელებინა. იგი ვერაფერს ვერა
ჰქონდავდა, გარდა ნინოს სპეტაკ გულ-მკერდისას, ძუძუ-
ებისას, რომლებსაც ხელებით ჩმუჩვნიდა და ტუჩებით-კი
ჰკოცნიდა...

მთავარ-ცნება დაკარგულმა ილიკომ მოხვია ქალს
ძლიერი მკლავები და მიწაზედ გადაწვენას უპირებდა.
თუმცა ილიკოზე ნაკლებ არც ნინო იყო აღელვებული,

— იმასაც სხვა-და-სხვა წადილი ჰასაკოვნებისა თავით-ფეხა-
მდე არყევდა, სიამეთა შორის აგდებდა, — მაგრამ იგი გან-
საცდელისაგან ქალწულებრივმა კდემამოსილებამ და უბი-
წოების ალლო იხსნა. ნინო მიხვდა, რა განზრახვაც ედო
ილიკოს გულში და ხელიდან გაუსხლტა.

— რას შვრები? ცოლ-ქმარნი ხომ არა ვართ? — ამ
სიტყვებით ქალი ფეხზე წამოიჭრა.

ილიკო მსწრაფლ გონზე მოვიდა. ნინოს სიტყვები
ცივი წყალივით გადაჭინა. მიხვდა, რომ ცუდად მოიქცა,
ნამუსის ფარგალს გადააბრჯა და არ იცოდა, რა ექმნა,
— თავ-ჩაქინდრული იდგა და სირცხვილეული თვალები
ქალისათვის ვერ შეევლო.

ძნელი გამოსაცნობია, რა სახედ შეიცვლებოდა გო-
გო-ბიჭის უხერხული, ორჭოფი მდგომარეობა, — კვლავ
გასცემდნენ ერთმანეთს ხმას, თუ ასე ჩუმად განშორდე-
ბოდნენ. ორივენი გრძნობდნენ, რომ ისეთ საზღვარს მია-
დგნენ, რომლის შემდეგ ან საყვედურით უნდა მიემართ-
ნათ ერთმანეთისათვის, ან სიყვარულით... ზაგრამ ვერც
ერთი ვერ აპირებდა დაწყებას.

ამ დროს ფეხის ხმა შემოესმათ. ორივემ იქით მია-
ქციეს თვალები, საიდანაც ხმაურობა ისმოდა და ზაქარა
დაინახეს. იმის დანახვაზე ნინომ შეჰკივლა: „უი“-ო და
ანაზღეულად ვაზებ შუა გაჰქრა.

ზაქარა-კი ილიკოსთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო
და ლიმილით უთხრა:

— გეყოფა, ბიჭო, თორემ მიეჩვევი და ხვალაც მო-
გინდება! წამო, წავიდეთ... საცაა გათენდება... აგერ მა-
მლები ყივიან... მე ერთი პირი ძილი კიდეც გამოვაც-
ხე... წამო... .

მამლები მართლა ყივოდნენ. გათენება მოახლოვებული იყო. ჰაერი აგრილებულიყო. მთვარე, ვნებათაღელვისაგან დათენთილ ქალივით, მიბნედილიყო. სამაგიეროდ ვარსკვლავებს ელვარება მოპმატებოდათ. წელანდელზე ძლიერად კრთოდნენ. ცა მთლად მოწმენდილიყო. აღარც ერთი ღრუბელი აღარ სჩრდილავდა.

წავიდეთ... — სთქვა ნალვლიანად ილიკომ იმ იერით; თითქოს ზაქარიას-კი არ ეუბნებოდა, არამედ თავისთვის ამბობდა.

მიდიოდა, მაგრამ გული-კი იქვე, იმ ხის ქვეშ რჩებოდა.

XXX

— ეჰეი!? იკადრე მობძანება!.. — მიეგება ღიმილით: ხრაიშვილი ილიკოს, რომელიც, ის იყო, თავიანთ როტის კარვებს მიუახლოვდა. — კაცო, სად იყავი გადაკარგული ეს ერთი კვირა? რო იცოდე, რა ვაი-ვაგლახი იყო შენის გამოისობით ჩვენ როტაში!.. მართლა, სად იყავი?

— სად ვიყავი და შინ ვიყავი... — უბასუხა მოკლედ ილიკომ. — რაო, რას ამბობენ?

— რალა რას ამბობენ... შენს ძებნაში სული ამოგვჭდა.., მთელი ეს ტყე-ღრე სულ გადავლახეთ...

— კაცო, ტყეში რა შინდოდა, ნადირი ხომ არ ვიყავი?! — სთქვა გაკვირვებით ილიკომ. — ჩვენი ზვრუნი რას ამბობს?

— ძალიან გახარებ ელია... სულ ხელებს იფშვნეტავს და გაიძახის „პაპალსი გალუბეცო“!.. — მართლა, ზო-

გიერთებს „სლესტვია გვიყვეს“, — ხომ არა იცით-რა ძიბ-ძიბაძის გაპარვისაო?

— რა უთხარით?

— რას გეტყოდით, რომ არა ვიცოდით-რა...

ილიკოს მოსვლა სხვა ბიჭებმაც გაიგეს. მაღლე მთელს „როტაში“ სულ იმას გაიძახოდნენ, გაქცეული ძიბძიბა-ჟე დაბრუნებულაო. აქეთ-იქიდან ამხანაგები თავს იყრი-დნენ და ხრაიშვილივით ლაპარაკს უბამდნენ გაქცევის თაობაზედ. იმათ სიტყვა-პასუხში ერთის მხრით თუ და-ცინვა გამოითქმოდა, — ვითომ უქმად არ ჩაგივლის მაგი-სთანა ქეიფიო, — მეორეს მხრით შურის მსგავსი რამ გა-მოსცვირდა. — აჲ, ნეტავი შენ, რომ სახლში იყავიო! — თითქოს ეუბნებოდნენ ისინი ილიკოს თვალების იღუმა-ლის მეტყველებით, ან უცაბედის წამოძახებით: „ჲაი, დე-დასა! რა კარგია ახლა სოფელში ყოფნა!“ -ო.

რაღა თქმა უნდა, ხმლიანმა (ასე ეძახდნენ ჯარის-კაცნი ფელთებელს) ძიბძიბაძის დაბრუნება მაშინათვე „როტის“ უფროსს აუწყა. ილიკო დააპატიმრეს და „ნა-ობახში“ ჩასვეს, ვიდრე იმის გაქცევის საქმე ადგილობ-როვ სამხედრო სასამართლოში გაირჩეოდა.

ძიბძიბაძემ იცოდა, რა სასჯელიც მოელოდდა, რად-განაც მისებრი გაქცევა და უკან დაბრუნება პირველი მაგალითი არ იყო იმათ რაზმში. სულ არაფრად მიაჩნდა მოსალოდნელი სასჯელი. მართალია, იმისი სოფლიდან რაზმში დაბრუნება ციდან ქვეყნად ჩამოეარდნას უდრი-და, მაგრამ, რაკი გული საგულეზე ჰქონდა, იმედით სულ-დგმულობდა. გაივლის ხანი და ჩემს ბედნიერებას ვეწევით — ფიქრობდა ილიკო და ეს იმედი ბრწყინვალე ვარს-კვლავივით თვით ბნელ საკანსაც-კი უნათებდა.

ძიბძიბაძის საქმე როდი გააჭიანურეს, რაღანაც იგი უარზე არ იდგა და თავს დამნაშავედ თვითვე აღიარებდა. იმავე რაზმის სამხედრო სასამართლომ ორის კვირით „კარცერში“ ჩაგდება მიუსაჯა და მარტო პურითა და წყლით საზრდოობა. ამასთანავე წელიწად-ნახევრით „დასჯილთა ხარისხში“ ჩარიცხა.

იქნება, მყითხველო, არც-კი იცი, რას ნიშნავს „დასჯილთა ხარისხი“ (გავრედს შეგრაფივაშვილს) და მოკლედ მოგახსენებ, თუ რა გარემოებაში ვარდება ჯარისკაცი, ამ „ხარისხით“ გაპატიოსნებული. ამგვარი ჯარისკაცი ისეთ ვინძედ ითვლება, როგორადც ცუდ ყოფა-ქცევაში შენიშნული ადამიანი. ყველა,— სულ მცირე უფროსიდან დაწყობილი, თვით როტის უფროსამდე, — გაფაციურებით აღევნებს თვალ-ყურს მის ყოფა-ქცევას. მცირედი წაბორძიკება სამსახურის ასპარეზზე, — ურჩობა, დაუყოვნებლად არ აღსრულება უფროსის ბრძანებისა; სიტყვის შებრუნება და სხვა, — საკმარისია, რომ ერთი ვაი-ვაგლახი დააწიონ „დასჯილთა ხარისხით“ მოსილს. ის, რაც ამ ხარისხისაგან თავისუფალს ჯარის-კაცს აღვილად ეპატიება, ამ დალით აღბეჭდილს ავ-დღეს აყენებს და ბევრჯერ „აროზგვინებს“ კიდეც.

ჯარის-კაცებმა არ იცოდნენ მნიშვნელობა ამ ხარისხისა, რაღანაც განაჩენის მხოლოდ იმ ნაწილს აქცევდნენ ხოლმე ყურადღებას, რომელიც ნამდვილს საჯელს შეეხებოდა. ე. ი. საქმით განსახორციელებელს, მაგალითად დაპატიმრებას, საჭმლისა და სასმლის აღვევთას და სხვ. მეორე ნაწილი სასჯელისა-კი მხოლოდ სიტყვები იყო და იმას ვინ მიაჭიევდა ყურადღებას, რომ ეს სი-

Онукъ би სათანადო დავთარში იწერებოდა უფროსთა სახელმძღვანელოდ ამა თუ იმ ჯარის-კაცის შესახებ.

უნტერ-ოფიცერი ხლოპოტოვი (ის ახლა უკვე უნტერ-ოფიცერი და ზოოდის უფროსი იყო) ამისთანა საკრინგანჭურო საქმეში გამოთაღლითებული გახლდათ. კარგად იცოდა, რომ—ისედაც მისი ხელჭვეითი—ძრია: ძიბძიბაძე ახლა ბედისწერამ მთლად კლანჭებში ჩაუგდო.

როცა,—დაბრუნებისას,—ილიკო უფროსს გამოეცხადა, ხლოპოტოვმა გველივით დაისისინა და დაცინვით უთხრა:

— Ага... Изволилъ пожаловать!.. Ну, что? Хорошо гулять?

— Хароши, гаспадинъ...—უპასუხა ლიმილით ძიბძიბაძემ, რომ უფროსისათვის გული მოეკლა.

— Ишь, смеется!.. Радъ, точно воинскій уставъ наизустъ выучилъ!—А службу не забыль?

— Никакъ ніэтъ, гаспадинъ...

— Посмотримъ... А теперь пррроваливай!..

XXXI

ავად თუ კარგად, ილიკომ გადაწყვეტილი სასჯელი გაათავა და გულ-მხიარულმა ამხანაგებისაკენ გასწია.

როტაში მისვლის უმალ, ძიბძიბაძე თავისს განუოფილების უფროსს (ახლა სხვა იყო, — ხლოპოტოვის მაგირი) გამოეცხადა. ამან „ზოდნი“-ს აუშა; „ზოდნი“-მ „უფელთებელს“ მოახსენა.

— შენ ეი! ამას იქით უური მახვილად გეჭირობა! შენიშნული ხარ და მცირედიც-რამ რომ დააშავო, — სა

სტიკად დაისჯები!.. — უთხრა „ფელთებელმა“ ილიკოსი,
მერე „ზეოდნის“ მიუბრუნდა — ხლოპოტოპოვ, ამ ბიჭზე
თვალი გეჭიროს!

— Слушаюсь, Захаръ Иванычъ!.. — უპასუხა იმან;
ამასთანავე ხლოპოტოპოვის სხვილი, დაჯორჯებული ტუ-
ჩები გამოურკვეველ ღიმილად გამოინასკეა; თანაც თვა-
ლები ილიკოსაკენ გააპარა და ახედ-დახედა. პაწია თვა-
ლებიდან გამონაკრთობ ნაპერწყალს რაღაც უსიამოვნო-
იერი სდევდა: ის იყო კმაყოფილების ნაპერწყალი, მხო-
ლოდ მხეცური კმაყოფილებისა, თუ-კი მხეცს შეუძლიან-
თვალების მეტყველებით ამ გრძნობის გამოხატვა.

რა საჭირო იყო „ფელთებლის“ გაფთხილება, რო-
ცა ისედაც ონავარ ნადირივით თვალი ამ ბიჭისაკენ ეჭი-
რა. როგორც სჩანდა, ილიკოს გულუბრუვილო საქცი-
ელს — პირველში და შემდეგში-კი — მცირეოდენ ურჩიბას
უფროსის თავ-მოყვარეობა სამუდამოდ დაესერა, ასე რომ
აქამდისაც ვერ გამქრალიყო ამ ადამიანში წყურვილი შუ-
რის-ძიებისა.

ახლა-კი მთახლოვდა წამი ზღვევისა. ხლოპოტოპო-
ვი დარწმუნებული იყო, რომ ახლა ილიკოს ძალიან ად-
ვილად წაუსხლტებოდა ფეხი. მაგრამ მცირე სასჯელი
როდი დაკმაყოფილებდა უფროსის გაკაწრულ გულ ზვია-
ლობას — აჲ, ერთი „დისციპლინარნი ბატალიონში“ მაკ-
ვრევინა მაგისი თავი და სხვა არაფერი მინდაო — ფიქრო-
ბდა ხლოპოტოპოვი.

უნდა აღვნიშნო, რომ ხლოპოტოპოვი მარტო ილი-
კოს მიმართ როდი იყო სიმძულვარით გამსჭვალული. მას
საერთოდ უველანი სძულდა, ვისაც-კი იგი უფროსობდა.
და თუ ილიკოს შესახებ ისე იყო გამძვინვარებული, ეს

მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საერთო განწყობილებას ხელ-
ქვეითების შიძართ — კერძოდ ილიკოსაღმი — პირადული უკ-
მაყოფილებაც უერთდებოდა. ხლოპოტოპოვისათვის რომ
მიგენდოთ, იგი დიდის სიამოვნებით ყველა არა-რუსი
დისციპლინარნი ბატალიონისაკენ გაუყენებდა.

ვინც-კი იმის ტომს არ ეკუთვნოდა, ხლოპოტოპოვს
ქრისტიანად როდი მიაჩნდა, ან ისეთ ადამიანად, რომელიც
თანასწორი იყო მისი... მერე, ისიც არა ხარისხით, არამედ
ადამიანურის თვისებებით. — ის რა ადამიანია; რომელმაც
რუსული არი ცისო — ფიქრობდა ხლოპოტოპოვი. — ან რად
არის ისე დაწესებული, რომ ყველა ჩვენგანი უფროსია
და ესენი-კი ჩვენი ხელქვეითნიო... .

ამ მოსაზრებაზე დამყარებული ხლოპოტოპოვი დარ-
წმუნებული იყო, რომ ის და მისიანები, — ვით რუსი,
— ქვეყნად საუფროსოდ არიან გაჩენილნი და დანარჩენე-
ბი-კი მათ სახელქვეითოდ.. .

როცა ბიჭები ერთად მოიყრიდნენ თავს — ან შაირის
სათქმელად, ან სასიმღეროდ, ხლოპოტოპოვი გადააფურ-
თხებდა ხოლმე და იტუოდა:

— Собрались черти, пѣсни разводить!

დიდის სიამოვნებით დაჰკივლებდა იმათ რიხიანი უფ-
როსი:

— Розойдись ио мѣстамъ, не толпись, не ори
какъ ишакъ-то, — მაგრამ ვერ გაებედნა, რადგანაც „რო-
ტის“ უფროსი კეთილი კაცი იყო და ძალიან უყვარდა,
როცა ჯარის-კაცნი მხიარულოდენ.

მარტო ხლოპოტოპოვი როდი იყო ასეთი. თითქმის
ყველა მისიანი არა-რუსს სწორედ ხლოპოტოპოვის თვა-
ლით უყურებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი

ბუნებით უფრო კეთილი იყო, ან უფრო ავი, ვიდრე მეორე
და ან თავისზე უმცროსს ამის დაკვალად ექცეოდა.

XXXII

პირველმა დღემ, „კარცერიდან“ გაშოშვების შემ-
დეგ, ისე გაიარა, რომ უფროსს ილიკოსათვის ხმა არ
გაუცია. ილიკო მხიარული იყო და ბიჭებს სოფლის ვი-
თარებას უამბობდა.

იმათაც, შართალია, ყური ილიკოს ლაპარაკის გა-
საგონად მოემარჯვებინათ, მაგრამ რომ გეკითხნათ, — აბა,
ახლა რა სთქვა ილიკომო, — ვერ გიპასუხებდათ, რადგანაც
მათი გონება და აზრი ოცნების რაშს გადასჯდომოდა-
და, ვინ იცის, სად არ დანავარდობდა..

ამ უამად ზოგი თავის თავს კალოზედ ხედავდა; ზოგს
თვალწინ ნიავისაგან აშლელვარებული ყანა ედგა; მესამე
ურემზე იჯდა და ზანტ ლეკიას მიერეკებოდა; მეოთხე,
იქნება, გულის საყვარელზე ოცნებობდა.

ასეა, როცა კაცს გაახსენებ სანატრელ საგანს. შეი-
ძლება, თავი იხეთქო, ეცადო, რომ ესა თუ ის ამბავი
შესაფერის ფერადებით ადგეჭდო მსმენელის გრძნობა-გო-
ნებაში, მაგრამ შენი შრომა ამათა... დარწმუნებული
იყავი, ის უკვე იქ არის, რასაც შენ ჯერ სიტყვითაც
არ მიახლოვებიხარ. იგი შენზე ადრე გადაერევა ოცნე-
ბის ძალით იმ ადგილებში და, ვიდრე შენ მოთხოვობას
მოასწრებდე, ის უკვე მიივლ-მოივლის, ყველაფერს განი-
ცდის და უკანვე დაბრუნდება.

მხოლოდ ილიკოსათვის სულ ერთი იყო, ყურს უგ-
დებდნენ თუ არა, წარსულის გახსენებით აღფრთოვანე-

ბული, იგი ერთის ამბავიდან მეორეზე სწრაფად გადა-
დიოდა, როგორც ფუტკარი, როცა რამდენსამე ნოყიერს
ყვავილს ერთად ჰნახავს ხოლმე.

მეორე დღიდანვე-კი ხლოპოტოპოვმა ცოტ-ცოტა-
თი ისრების ტყორუნა დაიწყო. მეტადინეობის დროს ამა-
თუ იმ მიმოხვრას წამ-და-უწუმ უსწორებდა, თუმცა სხვე-
ბზე უხეიროდ არც ილიკო ათამაშებდა თოფს. ერთხელ
უსაბუთოდ რაზმიდან გამოიყვანა და ცალკე დააყენა გა-
ჭიმულ ხელებზე. თოფ-გაწვდილი და მთელის ტანით წინ
გადახრილი. ეს ის მოძრაობაა, რომელსაც რუსულიად
„კოლი“ ჰქვიან, ე. ი. მოპირდაპირეს ხიშტი აძერეო.
ჩევულებრივად ეს მოქმედება სწრაფია,— მარცხენა ფეხს
მუხლის შესართავთან მოჰკრი, მთელის ტანით წინ გა-
დიხრები და ხელებზე გაწვდილ თოფს პირდაპირ აძე-
რებ, მერე სწრაფად უკან გადმოხტები და გასწორდები.
მაგრამ, როცა ოოფ-გაშვერილს ხანგრძლივად გაგაჩერე-
ბენ, ძალიან იღლები. ხელების ძარღვები დაძაგრული
გაქვს, ზედ თერთმეტ გირვანქიანი თოფი გიძევს, რომე-
ლიც აქეთ-იქით ქანაობს და მუხლში კანკალი აგივარ-
დება ხოლმე. უფროსი-კი შენს წინა სდგას და თოფის
ხიშტს ასწორებს, თან გიყვირის,— ხელებს ნუ აკანკა-
ლებ, ტანს ნუ არხევო.

ბლიკო ითმენდა უფროსის უდიერობას. მართალია,
გული უდუღდა, მაგრამ რა ექნა? უფროსი იმით მართ-
ლულობდა თავს, რომ, რაც აქ არა ყოფილხარ, თოფის
თამაში დაგვიწყებიაო. თანაც დაცინვით შეჰურებდა,
თითქოს ნიშნს უგებდა:— „ჰმ, კარგია?!.. ხომ ხედავ ჩემს
ძალას? თავს არც ახლა მოიკატუნებო?“— აი, რას ამბობ:

და ხლოპოტოპვის სახე, რომელიც ქონით გატენილ
ბუშტს მიუგავდა.

— კაცო, შენ რაღა ჩემი სალოცავი გაგიშურა? —
უთხრა ერზელ ხრაიშვილმა ძიბძიბაძეს — ხო ხედამ, კა-
ცი ავი ძალლივით გემტერება!.. აიღე და ერთი ჩაცეც-
ხლე რამე ვაქსუას დუქანში... მოლბება, კაცო, ღმერ-
თი-რჯული! გეყოფა ე ბოდბურ ვირივით გაქირი!..

— აი, შხამაღ არ შეერგება, რაც მე მაგას არაფერი
დავალევინო!..

— არ დაალევინებ და... გუშინდელმვით გამოგჭი-
მავს...

— შენ თუ აცეცხლებ, ძალიან გინდობს აი!.. იმ
დღეს არ იყო, კისერში რომ გითავაზა!.. შენ ჯიში თქვი
მაგათი, თორემ ჩაცეცხლო — არ ჩაცეცხლო — სულ ერ-
თია... კაცო, პურმარილი კალთაზედ უყრიათ, რით ვერ
გაიგე?!. აფსუსი არ არის?.. მაგათანა ხალხმა პატივისცე-
მისა ისე არა იცის-რა, როგორც ბუმ დღის სინათლისა.
მაგათ გულს რა გაათბობს?!

ერთ საღამოს, როცა „ზორი“ გათავდა, ჯარის-კა-
ცები ჩვეულებრივად აქეთ-იქით ჯგუფ-ჯგუფად გაიფან-
ტნენ. ზოგნი შაირებს ამბობდნენ, ზოგნი ზლაპრებს, ზო-
გნი ჭიდევ ლაპარაკობდნენ ამ მთისას, იმ მთისას.

კარვების წინ საკმაოდ ბნელოდა, ასე რომ ადამია-
ნი ადამიანის სახეს ისე ვერ გაარჩევდა, თუ ახლოს არ
მივიდოდა. ილიკოს „ზვოლის“ წინ შუშებ გამურული
„ფანარი“ იდგა, რომელიც უნდომოდ ეგზნებოდა. და
თვის გარემოს ბუნდად ანათებდა.

ილიკო მეორე როტიდან მოდიოდა. იქ თავიანთე-
ბური. ბიჭი უნდა ენახა, მაგრამ როტაში არ დაუხვდა.

გზაზე ვიღაც ნიფხავ-პერანგის ამარა კაცი შეეფეთა. ეს
კაცი გაჩერდა.

— Кто идетъ? — შესძახა მან ილიკოს მრისხანელ.

— Я, гаспадинъ — უპასუხა ილიკომ, რომელმაც ხმა-
ზე ხლობობობოვი იცნო.

— А какая собака, почемъ я знаю?

— ძიბძიბაძე, гаспадинъ.

— Агаа! Это ты! — გააგრძელა მნიშვნელობით ხლო-
ბობობოვმა, რომლის პატია თვალებმა მგლურად გაიკ-
რიალა. და მსწრაფლ ჩაქრა.

— Что, братецъ, забылъ — что-ли — какъ съ стар-
шимъ обращаться?!.. Что толкаешся и честь не отда-
ешь... Я тебѣ покажу!.. Небось, убѣгагь умѣешь, а
чипопочитанія нѣтъ!.. — ჰუვიროდა გულმოსული უფ-
როსი.

მართლა, ილიკომ სამხედრო პატივი (ხელის საფეთ-
ქელთან მიტანით) არ მისცა, რადგანაც პირველში ვერ
იცნო.

«Эй, дневальший! — დაუძახა უფროსმა მორიგ ჭრ-
რაჯს, რომელიც იქვე ბოლთასა სცემდა — Сმѣнись! დзиბ-
დзибაძე, ты будешь дневальнымъ не въ очередь до
утра. Я, братецъ, бить тебя не буду, — ротный не
велитъ, а такъ — ты попрыгаешь у меня! — და ამ სიტ-
უვებით უფროსი კარავში შევიდა.

— აი, ამოგივარდეს ოჯახი! — გააყოლა თან ძიბძი-
ბაძემ. — უჲ, რა რიგად მეძინებოდა... რა ჭროს უმხვიდა-
ეს პატუა მამაძალლი!..

— ძან გემტერება აი, ძიბძიბაძე, ეგ უნიფხოშვი-
ლი!

— ვაი სამსახურს რა ვუთხრა, თორემ გიჩვენებდი
მაგის სეირს!..

— შენ ეგა თქვი და... წადი, ძმავ, შინელი ჩაი-
ცვი... ღმერთმანი ძაან მეტოდები... მერე, დღეს სასრო-
ლად შორს იყავით... დაღლილი იქნები.

— ისე ვარ, ღმერთმანი, მოქანული, რომ კისერი
მწყდება. უჰ, მწ!.. — გააჭნია თავი ძიბძიბაძემ — როდის მოვ-
აჩები ამ ხათაბალას?!.

— ჯერ საღ არის? ბევრი ამისთანა დღე მოგველის...

— უპასუხა გულუბრყვილოდ ამხანაგმა:

ეს შემთხვევა ამ დასჯით არ გათავებულა.

მეორე დღეს ხლოპოტოპოვმა ფელთებელს მოახსე-
ნა, რომ ძიბძიბაძე ფანართან შამხვდა, კარგად მიცნო,
მაგრამ მაინც დამეჯახა და ხელი არ ამიღოო.

ფელთებელმა ძიბძიბაძე კვლავ გააფთხილა, — ჰეკვია-
ნად იყავი, თორემ როზეს დაიკრავო, და, რათა უფრო-
სის უფლება არ დაეფოლებინა, ერთის საათით „რანც“-
აკიდებული კარვების წინ გამოსჭიმა.

ფელთებელი, როგორც ადამიანი, როზი იყო ავყია
და უდიერი. თავისიანებში ის ლმობიერ კაცად იქნებო-
და მიჩნეული. მაგრამ აქ, უცხოთა შორის, მისი კაი-კა-
ცობა ნაყოფს როდი იღებდა. უმრავლესობას მისი არა
გაეგებოდა-რა და მას უმრავლესობისა. გარშემო მაბეჭ-
ლარები ეხვია. თავისიანების მუდამ ჩივილი „ტუზემნი
ჩერტებზე“ ამ კაცსაც აბრაზებდა სხვა ტომის ხალხთა მი-
მართ და ხშირად სასტიკობას. ჩააღენინებდა ხოლმე. ამას
გარდა, თითონაც უდიერობის ქარ-ცეცხლში გამოვლი-
ლი, იგი უსამართლობას მიეჩვია და, დისციპლინაში გა-

მობრძმედებულს, მუდამ უფროსი მართალი მიაჩნდა უმცროსის წინაშე.

ამის გამო, ხლოპოტოპოვი, რაღა თქმა უნდა, ფელთებელს ყოველთვის თავისს გემოზედ აწირვინებდა და ძიბძიბაძე მუდამ მტყუანი გამოჰყავდა.. ფელთებლის გაფთხილება,—ბიჭო, როზეს დაიკრავო, —ილიკოს არც ერთხელ და არც მეორეჯერ არ გაუგია, რადგანაც ფელთებელმა ქართული არ იცოდა და ილიკომ კიდევ რუსული. და, თუნდა გაეგო კიდეც, მაინც ამ სიტყვების მნიშვნელობას ვერ ასწონ-დასწონიდა.

ასე და ამ რიგიდ ხლოპოტოპოვმა ძიბძიბაძეს თანდა-თანობით სხვა-და-სხვა სასჯელი შეაპარა და დღითი-დღე ახალ-ახალ შარებს უგონებდა. მხოლოდ ეს იყო, რომ ხელის ხლებას ვერ უბედავდა.

— რუსის შარი გამეგოო—იტყოდა ხოლმე ხან-და-ხან სიცილით ილიკო—მაგრამთუ ასეთი იყო, არ მეგონაო.

ის მაინც ყველაფერს ითმენდა და მომავალით ინუგეშებდა ხოლმე თავს. განუსაზღვრელის მოუთმენლობით შოელოდა ახალწლის ღლესასწაულებს და ღლიურ სიცხადის სიმწვავებ ოცნებით იქარვებდა.

XXXIII

ძიბძიბაძეს იმედი არ გაუმართლდა,—საშობაოდ არ დაითხოვეს,—„დასჯილთა ხარისხში“ მოქცეული ხდრ და შინ როგორ გაგიშვებთო. აქაც ხლოპოტოპოვმა იეშმაკა: ფელთებელს ჩააგონა, რომ საშიშია მაგ ბიჭის გაშვებაო. იმანაც დაუჯერა და როტის უფროსს როდი მოახსენა ილიკოს თხოვნა.

ეს იმედი ილიკოს აღმოსავლეთის ვარსკვლავივით უნათებდა ეკლიან გზასა და მისმა დაკარგვამ ტანჯვათა შორის მოაქცია. ისე იყო გაავზნებული, რომ, კელა-ნა-ჭამ დათვივით, ლამის თავისი ხორცი თვისივე კბილით ეგლიჯნა.

ამავე დროს ილიკოს დიდი მოთმენა და ხასიათის სიმტკიცე უნდა გამოეხინა, რადგანაც ხლოპოტოპოვითითქოს მიხვდა ძიბძიბაძის სულიერ ვითარებას და გესლით მოშხამულ ნემს-კავს ძალიან ხშირად ისროდა იმისაკენ.

სძულდა, საშინლად სძულდა ეს ბიჭი. თვით მისი ახოვნება, მისი სილამაზეც-კი ახლა ამ მძულვარების საბურთაოდ გაეხადა. ილიკოს სიამაყე, დაუმონავი ხასიათი მოსვენებას არ აძლევდა უფროსის გაბერილ თავ-მოყვარეობას; რომელიც პაგონებზე გადაკერებულ სამს ძაფს ერთი ორად გაეზვიადებინა.

ძიბძიბაძეს-კი მოთმინების ფიალა თანდათან ევსებოდა და რამდენიმე წვეთი-ლა აკლდა, რომ გადმოლინ ცლინ-ცებულიყო.

სულ მცირედი გარემოება კმაროდა, რომ ილიკოს საქაჯავსავით მოსჭეროდა და ის რამდენიმე წვეთი, მოთმინებისა, რომელიც ფიალას აკლდა, იმის არსებისაგან გამოწურულიყო.

ილიკომ კვლავ გაპარვა გადასწყვიტა და ისევ თავისს მეგობარ ვიქტორას გაენდო. ვიქტორამ ძალიან იუარა, — სასტიკად დაგსჯიანო. ილიკო მაინც თავისას არ იშლიდა, — რა უშავს? პირველის გაპარვისათვის თუ ორი კვირით ჩამაგლეს „კარცერში“, ახლა ბევრი-ბევრი ერთი თვით დამიჭირონო.

ვიქტორა დაფაცურდა და ერთ თავისს ნაცნობ ჯარის-კაცისაგან, რომელიც კანცელარიაში მსახურებდა, უაიგო, რომ მეორეგაპარვისათვის დამნაშავეს დისციპლინარნი ბატალიონში ჰეზავნიანო. რასაკვირველია; ვიქტორამ ეს ამბავი იღიკოს შეატყობინა.

— კაცო, ის რაღაც ჯანაბა „დისციპილიარი ბატალიონია“ ამაზე უარესი ხო აღარ იქნება?! — ჰკითხა იღიკომ ვიქტორას.

— აბა, მაგას რას ამბობ? იქ ჯოჯოხეთზე უარესია... ღმერთმა დაგითაროს, იქ ნუ გაგზავნიან, თორემ ქვეყანას ველარ დაენახვები. იქ არც ერთი ღლე როზგი არ ასცდება კაცა!.. აბა, იფიქრე...

— მაშ რა ვქნა?

— კაცო, ბალლი ხომ არა ხარ? სხვები როგორ ითმენენ?.. განა მე-კი არა ვნატრობ შინ ყოფნას?.. სალდათობა ვისთვის რა გასახარია?..

— ააჲ!

ამოიოხრა იღიკომ და დაძმარებულმა თავი ჩაქინდრა. ვიქტორამ არ იცოდა, რა ვარამი ტრიალებდა იღიკოს გულში, თორემ ასე დამშვიდებას ვერ მოახერხებდა.

იღიკო თვალნათლივ ხედავდა თავისს დუხჭირ მდგომარეობას, მაგრამ მაინც არა სჯეროდა, რომ საახალწლოდ ნინოს არა ნახავდა. სულ რაღაც იმედი უბჟუტავდა, თითქოს იღუმალი ხმა ჩასჩურჩულებდა, ნუ გეშინიან ჰნახავ შენს ნინოსაო.

დღესასწაულების გამო მეცადინეობა აღარ იყო და იღიკოს საკმაო დრო ჰქონდა ნინოზე ეფიქრნა; და ეოცნება. მისთვის აღარც სიმღერა უყო, აღარც თამაშობა,

იწვა „კოიკაზე“ და თვალებზე ხელებ დაფარებული თავისს სოფელში დანავარდობუა.

სადღესასწაულოდ რომ წასვლას პირებდა, ილიკოს აზრად ჰქონდა ნინოს ახალწლის ღამეს ვნახავო, რადგანაც წინა დღეს ზაქარასას ავალ და ღამით მე და ზაქარა დემეტრეანთას მისაკვლევად მივალთო. რა სიხარული და ურიამული შეუდგებათ, მე რომ დამინახავენო — ფიქრობდა ილიკო. — ისინი რას იაზრებენ, რომ მე მიუვალ მეკვლეთაო. ჩემზე კარგ მეკვლეს ვის-და ინატრებენ?!.. მე ვიცი, ჩემზე გულიანად სხვა ვინმე მიუკვლევს თუ... ნინო, იქნება, ლოგინში იწვეს... მე რომ დამინახავს, თავზე საბანს წაიხურავს და სახეს აღარ გამოაჩენსო. მერე ჩუმ-ჩუმად ტახტიდან ჩაიწევს, ერთბაშად გადახტება და გარედ გავარდებაო. სალომე ტანისამოსს გაუტანს და, ცოტა ხანს უკან, ისევ თახში. შემოიყვანსო.

ვინ იცის, კიდევ რას არ ფიქრობდა ილიკო. ნიშნობა, ქეითები, მძახლების ერთმანეთში მიწვევ-მიპატიუება, სიშლერა-თამაში, დაირა, ბუზიკა... ერთის სიტყვით, დაუსრულებელი მხიარულება და დღესასწაული იქნებოდა იმათსა და დემეტრეანთას... ისა და ნინო-კი თავი და თავი ავან-ჩავანი ამ დღესასწაულისა.

ნამდვილად-კი ყველა ეს მწარე წარმოზგენა იყო, თითქოს მას ოცნება აღიზინებდა და დასცინოდა.

XXXIV

ახალწლის მესამე დღე იყო, — საღამოს უამი. ყაზარ-მებში ლამპრები აანთეს. ჯარის-კაცნი კანტი-კუნტად შედი-გადიოდნენ. ნახევარი როტა თითქმის სახლში დათ-

ხოვნილი იყო. ის ჯარის-კაცნი-კი, რომელნიც რაზმში იყვნენ დარჩენილნი, ქალაქში გაფანტულიყვნენ, — ზოგი დუქნებში, ზოგიც ნაცნობებში.

ილიკო ძიბძიბაძე თავისს „კოიკაზე“ წამოგორავებულიყო და თვალები ჭერში დაკიდულ ლამპარისათვის გაეშტერებინა.

იმის თვალებში რაღაც უაზრობა ინატებოდა. ილიკო თითქოს ფიქრში იყო გართული, მაგრამ რას, ან ვის შეეხებოდა ეს ფიქრი, რომ გეკითხნათ, ვერ გეტყოდათ. გონება როგორლაც დამძიმებული ჰქონდა და ბურუსში გახვეული. ლამპარის ზანტი კრთობა და გამურული შუშა თითქოს კიდეც აწუხებდა, მაგრამ მაინც თვალს არ აშორებდა.. თვალები ნაკვერჩხალივით უღუოდა, ასეგონია სიცემ აქვსო.

ამ დროს კარები გაიღო და გარედან შემოვარდნილმა ჰაერმა ლამპარს დაპირობა, ცეცხლ-მოდებული ჰატრუქი უცნაურად ააპარპალა და ალმაცერი სხივი კელელთან ჩამწყრივებულ თრთებს მიაყენა. თოფების ცივად მოელვარე ხიშტები ყაზარმის ისედაც უსიამოვნო სანახაობას მკაცრის იერით ჰმოსავდა.

ყაზარმაში შემოვიდა ხრაიშვილი და ილიკოსაკენ გამოსწია. მივიდა იმ საწოლთან, რომელიც ილიკოს გვერდზე იდგა, და რაღაცას ძებნა დაუწყო. მერე ილიკოსაკენ მიბრუნდა და გამოელაპარაკა..

— ძიბძიბაძე, არ გეყო ამდენი ძილი? კაცო, ადე, გაინძარ-გამოინძარ, ბეღნიერი. დღეებია.

— მე არა მძინავს...

— სულ ერთია... მოელი დღე-კი „კოიკაზე“ ხარ დაკრული და... რა არის მაგეთი გულჩათხრობილობა? ახლა

რა ვუყოთ, სახლში რომ არ გაგიშევს? ბალლი ხომ არა
ხარ, რო დარღობ?!.

— საღარღელი რა მაქვს? — ჰკითხა ძალ-ღატანებით
ძიბძიბაძემ, რომელსაც არ იამა, რომ ხრაიშვილმა საი-
დუმლო გამოუმზევა.

— განა, ძმავ, არ გატყობ? სულ დაბუზული დადი-
ხარ დაბუმბლილ ქათაშივით... რა ვუყოთ? ყველაფერი,
ძმავ, უფლის ნება!.. ღმერთმანი, მეც ძალიან მეცოდე-
ბი, მაგრამ... — აქ ხრაიშვილს სლოკინი აუფარდა და ერთ
ხანს ლაპარაკი შესწყვიტა.

— ჰაი, დედასა! რა დროება გავატარეთ!.. ქუდი
სულ ჭერსა ვტყორცნეთ!.. — ხრაიშვილმა ხელი აიქნია,
თითქოს ძიბძიბაძეს აჩვენებდა, როგორა სტყორცნა ქუ-
დი ჭერს. — აბა, შენც რომ წამოსულიყავ, ახლა ხომ ჩემ-
სავით კაი გუნებაზე იქნებოდი... ძალიან დავლიეთ...
ისე დავლიეთ, რომ... შენი მოწონებული!

ხრაიშვილი კვლავ სლოკინმა გააჩუმა.

— იცი რა გითხრა... მოდი, ლოთიანად, ემანდ ფი-
რუზას დუქანში ჩავიდეთ, ერთი ჩარექა გადავხუხოთ...
ისეთ გუნებაზე დაგაყენებს; რომ სულ ვაცივით იხტუ-
ნებ... ღვინო, ძმავ, კაცის მაცოცხლებელია... ზიარე-
ბაა... სისხლია... პატარაობაში ხომ დედის რძეა კაცის
მაცოცხლებელი... ღიღობაში — ღვინოა... ჰო, მე და ჩემ-
მა ღმერთმა!.. არ გეგონოს, რომ... მოვრალი ვიყო...
მართალია, ცოტა ზარხოშათა ვარ, მაგრამ... ხვალაც აშას
გეტყვი!.. აბა, შვილოსან, ღვინო რომ არ დავლიო, აშათ
მაყურებელს რა გამაძლებინებს?!

აქ ხრაიშვილმა ერთ-ერთ უფროს ჯარის-კაცზე მიუ-
თითა, რომელიც გარედან რაცრაცით შემოვიდა.

ილიკოს არაფრად ეჭაშნიკა ხრაიშვილის ლაპარაკი,
რადგანაც აქამდის გარინდებული იყო და აწმყო ისე
აღარ წერტავდა, როგორც ყოველთვის. ახლა-კი ამხანაგის
სიტყვებმა დარღები აუშალა.

ხრაიშვილი მაინც თავისას არ იშლიდა,—ღვინო
ალაპარაკებდა. რაკი ძიბძიბაძე დუქანში წასასვლელად
ვერ დაიყოლია, აიღო და იქვე იმის გვერდით მოიკა-
ლათა.

— კაცო! — დაიწყო იმან — რა გითხრა და... ჩვენმა
„ზოლიწი“-მ ტელეგრაფია მიიღო... თურმე ნუ იტყვი,
იმის ცოლს შვილი მისცემია.

— რას ამბობ? — გაიკვირვა ილიკომ — ის ხომ არ
წელიწაზე მეტია, რაც აქ არის თურმე...

— შენ ეგა თქვი და... ალბად, მაგის ცოლს კურ-
კურ — ჩურჩური სხვებთანა ჰქონია! — გამოიცნო ხრაი-
შვილმა.

— მერე, გაჯავრებულია?

— შენგან არ მიკვირს?! ისეა გამხიარულებული;
რომ... მთელი დღე აცა-ბაცა დადის... ვინც შახვდება,
— ეუბნება, — მამილოცეთ, შვილი მამცემიაო. მეორე რო-
ტაში ერთი ამბავია! საღილი გამართა და თავისიანები
დაჰპატიუა... მე და ჩემმა ღმერთმა, საკვირველია მაგ ხა-
ლხის საქმე! არა, რა ახარებს და?! მე რომ მაგითანა ამ-
ბავი მამივიდეს, არ ვიცი, რას ვიზამ?!.. თავი ცოცხალი-
რაღად მინდა?! არა, რა კარგია და... მიხვალ და მზა-
მზარეულზე ბიჭი ან გოგო დაგხვდება! შენა? შენ რას
იზამდი, მაგითანა საქმე რომ მოგსვლოდა?

დაეკითხა ხრაიშვილი ილიკოს, მაგრამ ილიკოს პასუხის მიგება აღარ დასცალდა, რადგანაც უცბად კარები გაიღო და საშინელის ღრიანცელით და „გარმონიკის“ ჭყიტინით ყაზარმაში რამდენიმე კაცი შემოვიდა. არც ერთი მათგანი ფეხზე ხეირიანად არ იდგა; ყველანი აქეთ-იქით ირყეოდნენ გაქან-გამოქანებით. თითოეულს სახე ისე ჰქონდა სისხლმომდგარი, გეგონებოდათ ყელში თოკი წაუჭერიათო.

ყაზარმა მთლად ყვირილმა მოიცვა. სხვა-და-სხვა კუთხიდან ჯარის-კაცები გამოხტნენ და მოქეიფე უფროსებს გარს შემოერტყნენ. უფროსები ლამპრის ქვეშ გაჩერდნენ და ხელი-ხელ გადაჭიდილნი გვერდ-გვერდად ოცნებულნენ.

ილიკოს „ზოდის“ უფროსი ხლოპოტოპოვიც იმათ-ში ერთა და, როგორც სჩანდა, მასპინძელი ის უნდა ყოფილიყო, — ხელში ეჭირა დიდი ბოთლი არყით სავსე და რაღაც გაყვითლებული გამხმარი თევზი.

როცა ხლოპოტოპოვმა ქართველი ჯარის-კაცნი დაინახა, უცნაური ბრძანება გასცა: — ფერხული დააბით და საბრალე იმღერეთო

რამდენი რამ შესძლებია ოჯახის ბეღნიერებას?! სხვა შემთხვევაში, ჯარის-კაცთ რომ თავისად სიმღერა დაეწყოთ, ხლოპოტოპოვი ფურთხვას მოჰყვებოდა და იტყოდა: „заголосили черти!“ — ა. ახლა-კი, — ერთის მხრით შვილით გაბეღნიერებული და მეორეს მხრით არაუ-მოკიდებული — თითონ იგი იძლეოდა ბძანებას — იმღერეთო.

— А ну-ка, сабре... Скорჩა-же!..

ჯარის-კაცი, რასაკვირველია, მაშინვე შეიკრიბნენ.

ერთმა იმათგანმა ილიკოს გადმოსხახა — მოლი, ზაიშუეთ,
მაგრამ ილიკომ იუარა.

ხლოპოტოპოვს ილიკოს უარი ძალიან ეჭყინა და
მრისხანედ შესხახა:

— Иди-жaa! Сабре... Пой сабре... — ფა ერთი
მამა-პაპურად დააბოყინა.

— Ни магу, гаспадинъ.

— Какъ это не можетъ? ჩაერია მეორე როტის
უფროსი ჯარის-კაცი.

— Можно заставить!.. Э... э... э... братъ!.. —
მიუბრუნდა იგი დაცინვით და თვალების ჭუტვით ხლოპოტოპოვს —
Какъ я погляжу, они у тебя товося...
распущены!.. Поглядѣлъ-бы ты на моихъ... Одно
слово, — солдатъ и больше ничего!..

ასეთი დაცინვა ხლოპოტოპოვის თავ-მოყვარეობას,
რასაკვირველია, მწვავე ლახვრად ეძერა.

— Пой!.. — დაუყვირა მან ილიკოს, თანაც ხელი
წავლო და კრებულისაკენ მიაგდო.

ძიბძიბაძეს გული გადაუქანდა.

Ни магу — უპასუხა ყრუ ხმით ილიკომ და ფეხები
ერთ აღგილის ბოძივით დაურჭო.

მართლაც და... ახლა ილიკოს სიმღერა არ შეეძლო,
თუნდა ასო-ასო დაეჩქლიმათ, მაინც ყანყრატოს ხმას ვერ
ამოაცილებდა. და რომ შესძლებიყო კიდეც, არც მაშინ
შეისმენდა უფროსის ბრძანებას, ისე იყო გააჭნებული.

ძიბძიბაძის უარმა უფროსი საშინლად გააშმაგა, მით
უფრო, რომ ამხანაგები დაცინვით შესცემეროდნენ უფ-
როსის და ხელქვეითის შეხლას. ხლოპოტოპოვი გამმვინ-
ვარებით ეცა ილიკოს და ლამობდა, — ორივე ხელები

ყელში წაეჭირა. მაგრამ ამ დროს ილიკომაც აღარ დაი-
გვიანა. სიბრაზისაგან თავში მოწოდლილმა სისხლმა საფე-
თქლებში ჩაქუჩივით ჩაჰკრა და ყველაფერი გარდაავიწ-
ყა. მას მხოლოდ თვალშინ უფროსის გამხეცებული სახე
ედგა, ჰელავდა მის დაპარტყულს ხელებს, რომლებიც
მარწუხივით ყელში უნდა წასჭეროდა. ამის გამო ილი-
კოს ერთი სურვილია ამოძრავებდა — გაეთელა, გაეს-
რისა ეს სახე, დაემტვრია ეს ხელები და ამით მთლად
ამოეყარა ამ კაცის ჯავრი, რომელიც გულზე შხამიან
გველივით შემოჰკლაკნოდა.

სწორედ ამ სურვილის ნაყოფი იყო ის სილა, რო-
მელმაც ხლოპოტოპოვი საშინლად წააბარბაცა. ამხანა-
გებს რომ არ დაეჭირათ, უსათუოდ მიწაზე გაიშხლარ-
თებოდა.

ამის დამნახავმა მოქეიფეთა კრებულში ერთი იგრი-
ალა და ძიბძიბაძეს მიესია. ერთსა და იმავე დროს ხუთი
კაცი ერთად წამოეჭიდა, მაგრამ ილიკო ისე იყო გააფ-
თრებული, რომ არამც თუ ხუთს, არამედ ასსაც არ შეუ-
შინდებოდა.

გაწყდა ძაფი თმენასა, რომლითაც ილიკოს არსება
ისე იყო დაშარტული, რომ სული ვერ მოეთქვა. გრძნო-
ბა ზღვევისა ზვირთივით დაიძრა; ამდენის ხნის განმავლო-
ბაში დამდოვრებული, ერთ ალაგას დაგუბებული, იგი,
როგორც მთიდან გადმოხეთქილი ღვართქაფი წვიმა-თოვ-
ლისა დაქანებით წამოვიდა.

ერთი გაბლერტა იყო ილიკოსი და ორი შოპირდა-
პირე მიწაზედ რუმბივით გაგორდა. ამას სარმა, იმას მუ-
შტი, მესამეს კისრული.... ერთის სიტყვით, დამპალ პან-

ტასავით ცვივოდნენ. წამოდგომას ვერ მოასწრებდნენ, რომ მიწაზე გაიშხლართებოდნენ ხოლმე.

დანარჩენი ჯარის-კაცნი სულ გაკმენდილნი, ნაკვერჩხალივით გაღუებულის თვალებით, დაძაგრულის ძარღვებით შეჰქურებდნენ ამ ამბავს და არ იცოდნენ, რა ექნათ... მათაც ულელავდათ გული, მათაც უნდოდათ გულის ბუხარი გაეხეთქათ ამ მამაც ვაჟკაცებზე, მაგრამ მომავალჩსა ეშინოდათ. აშკარად ხედავდნენ, რომ ერთმა მათგანმა თავი დაიღუპა და იმათაც ის მოელოდდათ, ვინიცობაა ხელს გამოილებდნენ.

ბოლოს ერთ-ერთი მებრძოლთაგანი, — უკვე მესამედ გაშხლართულა იატაკზე, — ფეხზე აღარ ადგა და წამომჯდარი, ფეხებ-გალაჯული, ხრინწიანის ხმით ლრიალს მოჰყვა:

— К-a-ррр-a-ууу-лъ, к-a-ррр-a-ууу-лъ! Быютъ!.. рѣжутъ!

— შენ შენი ღმერთი, ილიკო, რას შვრები? — შეუყვირა უცტად მოვარდნილმა ჭიქტორამ. — რაზე ილუპავ თავს?!.

— იგი მივარდა ილიკოს, რომელსაც ხლოპოტო-პოვი ქვეშ ამოედო და მუშტით ჰბეგვავდა; ჩავლო მხრე-ბში ხელი და განზე წევა დაუწყო. ვიქტორას სხვა ბი-ჰებიც წამოეშველნენ და, როგორც იყო, ილიკო აჰგლიჯეს ხლოპოტოპოვს, იატაკზედ რუმბივით მდებარეს.

ამასობაში ფელთებელიც გაჩნდა.

XXXV

ილიკო მაშინვე დააპატიმრეს და ფელთებელი გამოძიებას შეუდგა. რაღა თქმა უნდა, ყოვლთ უწინარეს ჩვენება ხლოპოტოპოვს და იმის ამხანაგებს ჩამოართვა.

ისინი, თუმცა ძალიან მთვრალები იყვნენ, მაგრამ მალე გამოფხიზლდნენ. ხლოპოტოპოვმა აჩვენა, რომ მე ვუბძანე ჯარის-კაცთ სიმღერა გაემართათ და ძიბძიბაძეს ვუთხარი—შენც იმღერე-მეთქი. იმან ჯერ ქართულად ლინდლვა დამიწყო, მერე მომვარდა, წამაქცია და მცემაო.

დანარჩენმა მისმა ამხანაგებმა ხლოპოტოპოვის ჩვენება დაადასტურეს და ბევრიც სხვა წაუმატეს.

ან ჩვენებს რა თაბაუთი ჰქონდა, როცა ყველაფერი აშკარად სჩანდა?!—კაცი ნაცემი იყო და არც ილიკო ამბობდა უარს. რაც შეეხება მიზეზს ცემისას, იმას არავინ ჰკითხულობდა, რადგანაც უფროსის გალახვა არავითარის მიზეზით არ შეიძლება, თუნდა თავსაც რომ გჭრიდეს გეტყვიან,—დეე, იმან თავი მოგჭრას და ნუ გეშინიან, —მერე ჩვენ პასუხის გებაში მივცემთო.

ილიკოს საქმე კვლავ იმავ სამხედრო სასამართლოს გარდაეცა, რომელმაც იგი წინად გაასამართლა.

სასამართლომ დაადგინა: რადგანაც ჯარის-კაცმა ილია ძიბძიბაძემ თავისი პირდაპირი უფროსი ხელით შეურაცყო და ვინაიდგან იგი „დასჯილთა ხარისხშია“ ჩარიცხული,—ამ დანაშაულობისათვის მას ორმოცდაათი „როზგი“ დაეკრასო.

ამასთანავე მოსამართლებმა განუმარტეს ძიბძიბაძეს, რომ ასეთის დანაშაულობისათვის „დისკიპლინარნი ბატალიონში“ იყავი გასაგზავნი, მაგრამ ჩვენ, მსაჯულნი, ლმობიერად მოგექეცით, რადგანაც გალახვის დროს შენი უფროსი მთვრალი ყოფილაო.

ილიკომ კარგად ვერც-კი გაიგო მნიშვნელობა განაჩენისა. იცოდა მხოლოდ, რომ როზგი გადაუწყვიტეს... — საშინელი რუსული როზგი. მაგრამ თვალნათლივად

ვერ წარმოედგინა, რა იყო ეს როზგი, რამდენად მძიმე სასჯელია იგი, რა მოელის შემდეგში როზგ-დაკრულს, — ესენი ვერ გაითვალისწინებინა.

ან როგორ გაითვალისწინებდა? იმ ქვეყანაში და იმ ხალხში, საღაც იგი აღიზარდა, როზგით არავის სჯიდნენ და აქ-კი თავისის თვალით არავინ არ უნახავს გაროზგილი. ამხანაგებისაგან იცოდა, რომ ხანდახან ჯარის-კაცებს ჰროზგავენო, მაგრამ ნაუზობი ერთი იყო და თვალით ნახული-კი სხვა.

როცა კვლავ „კარცერში“ წაიყვანეს და იქ მარტოდ-მარტომ თავის ახლანდელ მდგომარეობას ანგარიში გაუწია, — თავ-ზარი დაეცა.

ილიკო ხედავდა, რომ საშინელს უფსკრულს მიადგა და ხსნა არსაიდან მოელოდდა. იმან წარმოიდგინა თავისი თავი მიწაზედ გალართხული, — როგორც სხვებისაგან გაეგო — ნიფხავ-ჩახდილი, საქვეყნოდ ნამუს ახდილი — და შეძრწუნდა. საწყალს ტვინი ეწოდა, რაღგანაც ერთი და იგრვე აზრი, როგორც გავარვარებული შანთი, ისე უხვრეტავდა თავს და თითქოს ტვინში ბულლივით უტრიალებდა.

ეს აზრი იყო სირცხვილი, საქვეყნოდ თავს-ლაფ-დასხმა და ყველაზე სავალალო-კი ნინოს დაკარგვა. ეჭვ-გარეშე იყო, ნინოს საუკუნოდ უნდა გამოსალმებოდა, რაღგანაც, რომელი თავ-მომწონე ქალი გაჰყვებოდა ცოლად გაროზგილს?!

ილიკო დაჭრილ ლომივით პბორგავდა საკანში. და არ იცოდა, რა ექნა.

— გავიქცე?! — გაუელვა თავში აზრმა. იგი დაფიქრდა, თითქოს იმ აზრს ხელი წაატანაო.

— გაიქცე! — წასჩურჩულა ვიღამაც ყურში.

ილიკომ მაღლა აიხედა. არავინ იყო. მაგრამ სამაგიეროდ, ფანჯარა შენიშნა, სოდანაც სინათლე შემოდიოდა.

ილიკო ანაზდეულად მივარდა უბრალო ხის მაგილას, მეორე კედელთან რომ იდგა, გადაიტანა და იმ კედელს მიადგა, რომელშიაც ფანჯარა იყო დაჭანებული. თვალის დახამხამების უმაღლ ილიკო ფანჯარასთან იდგა. თვალი არე-მარეს მიავლ-მოავლო. წინ პაწია მინდორი იყო, მერე ტყე იწყებოდა. იქით-კი მთების გრეხილი მოსჩანდა, ჩამავალ მხის სხივებით განათებული. აანვარი იყო, მაგრამ პატი გაზაფხულის სუნი ტრიალებდა, თოვლის ნატამალიც-კი არსად სჩანდა:

ილიკომ დაბლა დაიხედა და დარაჯს მოჰკრა თვალი. ვიქტორა იცნო.

— გამიშვი, ვიქტორ! — უთხრა ილიკომ აკანკალებულის ხმით.

— გასწი! — უპასუხა ვიქტორამ ჩუმად და გადაჭრით.

ილიკო ის იყო სწვდა შუშებ. მილეწილ ფანჯრის ჩარჩოს გამოსაგლეჯად, მაგრამ მაშინათვე გაჩერდა. მას მსწრაფლ გაახსენდა დარაჯის მოვალეობა, პასუხის-გება.

— ე, ვიქტორა ხოერთ ხათაბალაში ჩავარდა! იქნება, ჩემ მაგივრად, როზგი მაგას დაჰკრან! .. — გაიფიქრა ილიკომ და გულში რაღაც ჩასწყდა. — არა, ჩემ ღმერთს, როგორ გადავუდგები? .. — და, როდესაც წარმოიდგინა, როგორ დაუყოვნებლივ, დაუფიქრებლივ დაეთანხმა ვიქტორა და უთხრა, — გასწიო, — ილიკოს შერცხვა. — მე მიშვებს

და თითონ-კი განსაცდელში ვარდება... არა, ამას როგორ ვიზამ?!

იღიკო. ოთახში გადმოხტა.

XXXVI

შუადღე გადასული იქნებოდა, როცა სამეცადინო მოედანზე სხვა-და-სხვა მხრიდან ჯარის-კაცთა რაზმებმა იწყო დენა.. ყველა უთოფო იყო; მხოლოდ თითო რაზმში ოთხ-ოთხ კაცს ჰქონდა თოფი. რაზმები მწყობრად მოვიდა და ოთხ-კუთხი წრე შეკრა. წრეში შესასვლელად ერთ მხრიდან კუთხეში ადგილი იყო დაგდებული. დანარჩენი კუთხეები ჯარის კაცთ მჭიდროდ შეეკრათ. შემოსავალში ერთ ჯგუფად მებუკენი და მედოლენი გაჩერდნენ.

ერთშა ჯარის-კაცმა-კი ერთი იღლია რცხილის წკეპლები მოიტანა, ორმოცდაათ კონად დაყოფილი. თითო კონაში სამ-სამი ცალი იყო.

— Ну что, Замаряха, упругия? — дырокойтка ლი-მილით ერთ-ერთი ოფიცერთაგანი, რომელიც იქვე წრის შუა გულს იდგა.

— Такъ точно, Ваше Высо-ко-бла-го-ро-дие! — უპასუხა ჩამოთვლით ზამარიახამ, რომელსაც ონავარ ნადირის მსგავსი სახე ლიმილმა ალმაცერად შუა გაუპო. ამასთანავე, თავისს სიტყვების დასამტკიცებლად, რამდენიმე კონა ჰაერში მარჯვედ აიქნივ-დაიქნია. მოისმა გველის სისინის მსგავსი ხმა, იმ განსხვავებით, რომ ეს ხმა უფრო ბოხი იყო.

— Ндаа, ничего! — Фармакистъ за узрѣнѣемъ отъ
у碌ома съ омѣнѣемъ миудрѣнѣемъ.

სამაგიეროდ, ამ ამბავმა ჯარის-კაცებზე ისეთი შთა-
ბეჭდილება იქმნია, გეგონებოდათ; წკეპლებმა იმათ ზურ-
გზე გაიშხუილათ,—სხეულში უსიამოვნო, ცივმა ურუან-
ტელმა დაურბინათ, თითქოს ხორცის კანზე ჭიანჭველები
აუფლითდებოდათ.

ჯარის-კაცთა კრებული უცნაურ გრძნობას. შეეპ-
ყრო. ყველას გულზე რაღაც მძიმე რამ შემოსწოლოდა და,
რაც ხანი გადიოდა, ეს სიმძიმე თანდათან მატულობდა,
თითქოს გულს გაჰყლეტას უქადდა. სახე როგორლაც ჩა-
მოჰყრდებოდათ, მოჰყრუბლოდათ, ცხვირის წვერი-კი
გაჰყინოდათ.

აი, გამოჩნდა უფროსი ოფიცერი, ვის ზედამხედვე-
ლობითაც განაჩენი აღსრულებაში უნდა მოეყვანათ. ამ უფ-
როსს თან მოსდევდნენ სამხედრო ექიმი და აღიუტანტი;
რომელსაც ხელში ქაღალდები ეჭირა. მოსვლისათანავე
უფროსმა ბრძანება გასცა, — დამნაშავე მოიყვანეთო. ვი-
დრე დამნაშავეს მოიყვანდნენ, შეიარაღებული ჯარის-კა-
ცნი შეუა წრეში გამოიყვანეს და ფართო ალყა შეაკვრე-
ვინეს, ასე რომ ერთი ჯარის-კაცი მეორესაგან რამდენ-
სამე ნაბიჯზე იღვა.

ათის წამის შემდეგ ორმა შეიარაღებულმა ჯარის-
კაცმა სამხედრო საპატიმროდან იღლიკო ძიბძიბაძე გამოი-
ყვანა და კრებულისაკენ გამოამგზავრა.

ილიკო თავ-ჩაქინდრული მოდიოდა, არავის-უძალი-
ანდებოდა. რაც-კი რამ სავალალო ფიქრი ანუ მოსაზრე-
ბა არსებობდა, რომლისადმისაც ილიკოს გრძნობა-გონე-

ბას ხელი მიუწვდებოდა, — ამ ფამად ყველა ერთად აზეირ-თებულიყო და საცოდავს ზღვად მოსწოლოდა.

მიღიოდა, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიად დარწმუნებული როდი იყო, რომ იგი სამარცხვინოდ, ნამუსის ასახდელიად მიჰყავდათ. ილიკოს ჯერ კიდევ ვერ შეეგუებინა ის აზრი, რომ მისთვის როზგი უნდა დაეკრათ, როზგი საჯაროდ, საქვეყნოდ, — საშინელი რუსული როზგი, რომელზედაც სამარცხვინო ქართველის თვალში სხვა სასჯელი აღარ არსებობს. ილიკოსათვის რომ ეთქვათ, — რას აირჩევ, — როზგით გალახვას, თუ შანთებით წამებასაო, — არჩევანში არც-კი დაყოყმანდებოდა, — რაღა თქმა უნდა, შანთებით წამებას ირჩევდა და თავისს თავს ბეღნიერად ჩასთვლიდა.

— მერე, ხალხში როგორლა გამოვყო თავი? ვის დავენახო შერცხვენილი? ვინ იქნება ისეთი, რომ ჭიშლით არ შემომხედოს? ნინ... ნინო?! — ფიქრობდა ილიკო.

თანაც იმედს როდი ჰკარგავდა, — იქნება მაპატიონო, შემიბრალონო... თუ არა და... დექ, როზგ ქვეშ ამომხდეს სული, — ისევ ის მირჩევნია ცოცხლად დარჩენასაო.

როდესაც ჯარის-კაცთა კრებულს მიუახლოვდა და ტოლ-ამხანაგთა დალვრემილ სახეზედ თავისი ბედ-ილბალი ამოკითხა, — თვალთ დაუბნელდა და, ცოტას გაწყდა, ფეხთ არ მოეკვეთა. გარკვევით ვერას ხედავდა, მხოლოდ ბუნდად არჩევდა უშველებელ ზღვა ხალხს, რომელიც თითქოს ერთ კაცად გარდაქმნილიყო, — ისე დაემსგავ-სებინა სახის გამომეტყველებას ერთი ჯარის-კაცი მეორისათვის,

ილიკო წრეში შეიყვანეს და შუაგულს გააჩერეს.

უფროსმა ოფიცერმა დაიძახა „სმირნაო“; აღიუტანტმა ქალალდი გაშალა და განაჩენის კითხვა დაიწყო. მისი ერთ-კილოვანი, გაბმით ჩაკითხვა ამ სამარისებურ სიჩუმეში გულგამაწვრილებელი რამ იყო. გათავდა განაჩენის კითხვა. მერე მისი შინაარსი ილიკოს ქართულად გადაუთარებენ. იგი გაოგნებული იდგა. გრძნობდა, რომ ელაპარაკებოდნენ, მხოლოდ სიტყვების მნიშვნელობა ვერ გაევო, რადგანაც გარს შემოჰვევოდა რაღაც ბურუსი, ნისლი, რომელსაც იგი თითქოს დანარჩენ კრებულისათვის მოეწყვიტა.

განაჩენის კითხვა რომ გაათავეს, — აღიუტანტი მიუბრუნდა მებუკე-მედოლეთ და უბძანა, — დაუკარითო. იმათაც ბუკები და დოლის ჯოხები მოიმარჯვეს.

გაისმა საშინელი ხმა, რომელიც იქ მყოფ ჯარისკაცთა გულში თავზარ-დამცემ ხმად გამეორდა. მხოლოდ თან-და-თან ამ ხმამ საზიზლარი, გულის მომწყვლელი, შემზარავი იერი მიიღო.

ის არ იყო არც ბრძოლის საყვირი, რომელიც თვით მხდალსაც-კი აღაფრთოვანებს და გმირულად ველზედ გააგდებს. არც სხვა-რამ სამუსიკო ჰანგი, არამედ რაღაც ლაჩრული, ზიაცური ყიუინის მსგავსი... ამ ხმაში გაისმოდა ბაყაყთ ყიყინი, ყვავების ყვაა-ყვაა, მიკიოტის ნაწყვეტ-ნაწყვეტი კივილი... ერთის სიტყვით, ეს ხმა ჯოჯოხეთურ ხარხარს უფრო ჰგვანდა, ვიდრე ადამიანისაგან სამუსიკო მანქანაში ჩანაბერ სულის ანარეკლ ჰანგს.

ერთ ხანს მთელი არე-მარე ამ საზარელმა ხმაურობამ მოიცვა. სხვა გვარი მოძრაობა მიყუჩდა, თითქოს ყველაფერს, რასაც-კი იგი შეეხო, სული გაანაბინაო.

ილიკოს ეს ხმაც კარგად ვერ გაერჩია და ასე ეგო-

ნა,— ყურში ვიღაც ჩამბლავისო. სიკვდილივით გაფიტრებული იყო. უზომოდ დაბრიალებული და აზრ-დაკარგული თვალები წკეპლების გროვისათვის ვერ მოეშორებინა. შემაძრწუნებელი სანახავი იყო ილიკოსათვის ეს ხის რტოები, რომლებიც იმის თვალში თითქოს გველივით მიწაზედ დასრიალებდა და სისინებდა.

XXXVII

შესწყდა ის სულის შემხუთველი ჭიჭყინი და ყველამ როგორლაც თავისუფლად ამოისუნთქა. მაგრამ ხან-გრძლივი როდი იყო ეს თავისუფალი აღმოქშენა. ახლა უფრო აუტანელი გახდა იქ მყოფ უმრავლესობის მდგომარეობა, რადგანაც ახლოვდებოდა წამი კაცის გალახვისა, გათახსირებისა, ცოცხლად დამარხვისა:

ილიკოს უბძანეს, შალვარი ჩაწეადა და მიწაზედ გაწოლილიყო. მან ბრძანება გონების განუსჯელად შეასრულა.

ყველასათვის ეს მორჩილება საკვირველი იყო. ჯერ მაგალითი არა ყოფილი, რომ ასე დაუყოვნებლივ, ძალადაუტანებლივ კაცს თავისი თავი გასალახად დაეთმოს ისე მაინც, რომ არ შეჰევეწებოდეს,— ღვთის გულისთვის მაპატიეთო.

ილიკოს ხუთი ჯარის-კაცი მიუახლოვდა. ორი მათგანი მიწაზედ გალართხულს ზედ დააწვა— ერთი თავით და ერთიც ფეხთით. ორიც ვვერდზედ მოუდგა— ერთი ერთ მხარეს, მეორე— მეორე მხარეს. მეხუთე იქვე, იმათ შორი-ახლოს გაჩერდა.

— Считать ясно, отчетливо!— მოისმა უფროს

ოფიცრის მჭახე ხმა.—А вы,—მიუბრუნდა იგი იმ ოსს,
რომლებიც ილიკოს აქეთ-იქით იდგნენ,—смотрите!..
Чтобы у меня не баловались! Дратъ такъ, какъ
следуетъ, —по военному!.. Разрисуйте мнѣ весь
Кавказъ—вдоль и поперекъ, со всѣми рѣками!..
Не то, васъ самихъ разложу!

ამასთანავე თავ-მოწონებით და კმაყოფილის ღიმი-
ლით ულვაშებზე ხელი გადისვა.

— Слушаюсь, Ваше Вы-со-ко-бда-го-ро-діе!—
ჩამოთვალი ერთხმად სამივემ.

მერე ორივე ჯარის-კაცმა ერთსა და იმავე დროს
აიღო თითო-თითო კონა როზგი, წაღვა წინ ნაბიჯი და
ერთმა მათგანმა—მემარჯვენებ—ხელი მაღლა ასამართად
მოიმარჯვა.

დადგა მრავალ-მეტყველი წამი! ეს წამი თითქმის
ყველა იქ მყოფისათვის მთელ საუკუნესავით გაგძელდა.
მაყურებლების სახეზედ თეთრ-ყვითელმა ფერმა გადაირ-
ბინა; ყველას ყელის ძარლვები ჩამოეჭიმა, სასულესთან
კოშტო-კოშტად რაღაც მოაწვა და სუნთქვა გაუძნელა;
გულმა საშინელი დაგა-დუგი იწყო.

ჩამოვარდა საშინელი სიჩუმე.

— Haaa...ни...най!—გაისმა უფროსის რიხიანი ხმა
და უცბად შესწყდა... მერე სადღაც შორს განმეორდა.

ამავე დროს ჰაერში როზგმა გიშეუილა.

მოისმა უუმხეაპპ!—სივრცე წკეპლის წვერმა შუა
გაპო—მოისმა წკაპ და როზგი სხეულს შეეხო.

განზე მდგარმა უფროსმა ჯარის-კაცმა გული წინ
გადმოაგდო, ინდოურივით აიფხორა, პირი გააღო და, ის
იყო, უნდა დაეძახნა „რაზ“-ო, მაგრამ ეს სიტყვა ტუჩებზე

შეაშრა, რადგანაც იმ დროს, როცა წკეპლა ილიკოს სხეულს შეეხა, გაისმა გულგასაგმირი გმინვა; ამასთანავე ძიბძიბაძე გამძვინვარებით შეინძრა და ის ორი კაცი, რომელიც კისერზე და ფეხებზე აწვა; მიწაზე გადაყარა. იგი ელვასავით ფეხზე წამოიჭრა და მთლად გალურჯებული, აკანკალებული, ჩასისხლიანებულ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

ილიკოს სანახაობა იმდენად საშიში იყო რომ როზგის დამკვრელნი განზე გახტნენ. თითონ ილიკო, როგორც ეტყობოდა, ვერაფერს ხედავდა, რადგანაც ერთ ადგილას იდგა და თვალებს აბრიალებდა.. ალბად სისხლი მოსწოლოდა და სინათლე იმას ჩამოებნელებინა.

ილიკო, ვიდრე სხეულის სამწვავეს იგრძნობდა, ბურანში წასულივით იყო და ყველა ბრძანებას დაუყოვნებლივ, მექანიკურად მომართულ ფიგურასავით ასრულებდა, მაგრამ ხორცის დასუსხვამ შეაკრთო, გამოარკვია გარინდებას და უზომო ტკივილმა ძალა ახმარებინა.

იმისი მდგომარეობა დასაჭერ-ცხენის მდგომარეობას ჰგვანდა. ცხენი უყუჩდება, პნებდება მჭედელს ნალის დასაკრავად, მაგრამ თუ ლურსმანი, ჩლიქის მაგიერ, ხორცი ეძერა, იქაურობას მთლად შესძრავს. ილიკოკ ასე იყო, ვიდრე როზგრ მოჰვედებოდა.

უფროსი ოფიცერი მთლად გადაირია.

— Чего оторопѣли, бараны?! Хватайте этого звѣря! — დაიჭექა მან მეხივით.

ილიკოს ჯარის-კაცნი წამოეჭიდნენ, მაგრამ, რადგანაც ორმა ვერა დააკლო-რა, სხვებიც მიიშველიეს.

— Рааазნ! — დაიძახა მთვლელმა, როცა წყევლა-კრულვის მფრქვეველი ილიკო კვლავ მიწაზე გალართხეს.

გამეორდა კვლავ შუშხებაპპ... წკაპ და კაცის გმინვა. ილიკოს სხეულზე ერთმანეთის სისწვრივ ორი ხაზი აღინიშნა; ერთი თითქოს წითელის მელნით იყო გასმული, მეორე-კი მოლურჯ-მოწითელოთი.

— Два, три, четыре... — гаისმოდა სამჭედურის კვერივით ხმა მთვლელისა.

ილიკოს ტან-და-ტან მართლა რომ საგეოგრაფიო რუქას დაემსგავსა, — სხვადასხვა ფერის ხაზებით დაიქსელა. ნაწკეპლი ხორცის კანი ჯერ იმის მსგავსად წითლდებოდა, ასეგონია თეთრ ასაშრობ ქალალდზე ოდნავ წითელის მელნით ხაზი გაუსვიათო; ქალალდზე მელანი ხალებ-ხალებად იშლება; ხორციზედაც წკეპლი სწორედ ასეთ კვალს სტოკებდა; ერთი წუთის შემდეგ ნაწკეპლი აღვილი ლურჯდებოდა; შემდეგ მუქდებოდა; ხორცი იბურცებოდა და წყლით ივსებოდა. როცა აბურცებულს კანს კვლავ როზგი ხვდებოდა, დაბებრებული ხორცი სკდებოდა და წყალდაცლილი წყლული ნაკეპ ხორცივით პირს აღებდა. აქნევ-დაქნევის ღროს წკეპლების წვერებიდან აქეთ-იქით სისხლის წინწკლები იფანტებოდა.

პირველ ხანს ილიკო ჭალუმად გმინავდა, მერე-კი ტკივილს თანდათან მიეჩვია, გაუყუჩდა, ხმას აღარ იღებდა და მხოლოდ მძიმედ, მკვეთრ-მკვეთრად ქშინავდა.

XXXVIII

ეს საზარელი სურათი ჯარის-კაცთა კრებულზედ ისე მოქმედებდა, როგორც ელექტრონის ძალა. ამას ჰმოწმობდა მეტყველება მათის სახისა, რომელიც გასცრეცოდათ,

დაპეატარავებოდათ და თვალებად-და: გარდაპეკუეოდათ. თი-თოეული მათგანი ცდილობდა თავი გვერდზედ მიეღო, რომ ადამიანის წამებისათვის არ ეცეირნა, მაგრამ გრძნობა ცნობის მოყვარეობისა კვლავ ჯალათებისა და მათ მსხვერპლისაკენ აღრეცინებდა.

ილიკოს გაჩუმებამ, გაყუჩებამ მათი სულთაძვრა ერთი-ორად გააძლიერა. ხშა-მაღლა რომ ეყვირნა და ვაივუი ეძახნა, მაშინ, იქნება, ისე არ თანაეგრძნოთ, როგორც ასლა, როცა ადამიანის ხელით მხეცივით გაფარ-რული ტანჯვას იღუმალის სიჩუმით ეგებებოდა.

მაგრამ, როგორც სჩანდა, უმცირესობა ყურადღებას როდი აქცევდა უმრავლესობის სულიერ ვითარებას.

გარდა ერთის ახალგაზდა ოფიცრისა,—რომელიც, შეიძლება, დღეს პირველად ხედავდა ამისთანა საზარელ სანახაობას,—დანარჩენი უფროსნი დიდის ხალისით ადევნებდნენ თვალს,—თუ როგორ აპობდა ჭარს წკეპლა და მერე სხეულზე როგორ ეშვებოდა.

ის ახალგაზდა-კი ერთ ადგილას ვერ გაჩერებული-ყო, აქეთ-იქით ტორტმანობდა; სახე იქითკენ ვერ მიექცია, საცა როზეს შხაპა-შხუპი გაჰქონდა; წამ-და-უწუმ ულვაშებზე აკანკალებულს ხელს ივლებდა, ასეგონია თითო-თითო ლერს იგლეჯავს და მიწაზედ ისვრისო; თვალის ქუთუთოება უცნაურად უციმციმებდა,—ერთის სიტყვით, მთელი მისი არსება განხორციელება იყო მოუსვენრობი-სა, სულის-რყევისა. მაგრამ ამასთანავე არც ის უნდო-და, რომ ვისმე გულჩვილობა შეემჩნია და, როცა თვალს ამხანაგ ოფიცერს, ან უფროს მოჰკრავდა,—უაზროდ გაი-ღიმებდა ხოლმე, თითქოს ეუბნებოდა,—ხედავთ, რა-

გულმავარი ვარ, — ნამდვილი მხედარი, — სისხლის დანახვა
როდი მაღელვებსო.

— Да онъ у меня не впервые!.. — *უბასუბა თავ-მოწონებით კაპიტანმა:*

ମାର୍ଗତଳୀପ ଏବଂ ଶାମାର୍ଗିନାଥ ଦୟାଲୀନ ଲୁହାରୀତୁମାର୍କ ନେବେ-
ଓରା.

წკეპლების კონას დაკვრის უმაღვე-კი არ აშორებდა სხეულს, როგორც მისი ამხანაგი სჩადიოდა, არამედ გულიანად ჩამოუსვამდა ხოლმე, ასეგონია მალამოსა სცხებსო.

აი, როზგმა ჰაერში კვლავ გაიხმაურა, მთვლელმა გული ამართა და უნდა დაეძახნა: „სირქ დვა“-ო, რომ ვიღაცამ დაიკვნესა — „ვაი“-ო. ერთ ადგილის ჯარის-კაცი თა შორის ჩონჩქოლი შეიქმნა.

Стой! — მოისმა უფროსის ხმა. როზგვა შეაჩერეს.
— Что случилось? — оკითხა უფროსმა, რა მიუახლოვდა
იმ ადგილს, საიდგანაც კვნესა მოისმა. შაგრამ პასუხი
აღარ დასჭირდა, რადგანაც ამ დროს ორმა კაცმა ხელზე
გადასვენებული, მომაკვდავით გაფიტრებული უწვერ-
ულვაშო ჯარის-კაცი გაძოიტანა.

ექიმმა ვიქტორს მაჯა გაუსინჯა და უფროსს მოახ-

სენა, — არაფერია, ჩვეულებრივი გულის ღონებაათ. მერე ჯარის-კუებს უბძანა, — წრეს გარედ გაიტანეთ, გონგე თითონვე მოვათ.

— Бѣдный!.. — Не перенесъ... — წაიჩურჩულა თავისთვის ახალგაზდა ოფიცერმა თვალის გაუოლებით. მაგრამ ამავე დროს, თითქოს გულჩვილობისა შერცხვათ, მსწრაფლ წარბი შეიკრა. და ნისლ-მობურულ მთას დაემსავსა.

— На какой цифре остановились? — ჰკითხა უფროსმა.

— На сорокъ второй, Ваше Высочество-благородие — უპასუხა მთვლელმა.

— Продолжай!..

— Сорокъ три, сорокъ четыре..

უკანასკნელად კიდევ გაისისინა ჰაერში გველივით წყვეტლამ. ამას ბანი მისცა წკაპუნმა. ერთხელ კიდევ აიტხორა მთვლელი. კვლავ განმეორდა მისი უხეში ხმა და გათავდა... ილიკოს ჯიჯგნა..., ხალხის ზნეობრივი წამება.

როცა გულ-შემოყრილი ძიბძიბაძე, საავადმყოფოში მიჰქონდათ, — ექიმმა გააჩერა საკაცე და გაროზგილი გასინჯა. მერე ოფიცერებს მიუბრუნდა და ლიმილით უთხრა:

— Пять такихъ порций выдержитъ... Силище, скажу Вамъ, ослиное!.. Хе-хе-хе!.. — ჩაიხვიხვინა უგემურად ექიმმა და ჭიანი, ჩაშავებული კბილები დაკრიჭა.

— Коновалъ! — წაიღუდუნა ახალგაზდა. ოფიცერმა, რომელმაც ამასთანავე ექიმს მმულვარებით შეხედა.

ოფიცერები სიცილ-ხარხარეთ აქეთ-იქით დაიშალნენ.

— Зд? — როგორია ხარ? — ჰკითხა ძალდატანებულის

ლიმილით ახალგაზდა ოფიცირმა ვიქტორას, როცა უფროსები წავიდ-წამოვიდნენ.

— ახლა კარგად გახლავართ, თქვენთ კეთალშობილებავ.—მიუვო ვიქტორამ.

— გული რად შემოგეყარა?

— ისე... ამხანაგის ტანჯვას ვერ გავუძელ...

ოფიცირი ერთბაშად მიტრიალდა.... შუბლზე ხელი მოისვა, თავი გააკანტურა, თითქოს თვალიდან საზარელს სურათს იშორებსო... მერე, ცოტა სიჩუმის შემდეგ, ამოილო ჯიბილან ერთი მანათი და, რა გაუწოდა ჯარისკაცს, უთხრა:

— გამომართვი... იმ უბედურის სადლეგრძელო დალიე... — აქ ხმა აუკანკალდა, ტუჩები გააცმაცუნა, მერე უცბად ადგილიდან დაიძრა და მარდათ გაკურცხლა.

ვიქტორი სადაც იდგა, — იქვე დარჩა. გაშეშებულს ხელში ფული ეჭირა და გაკვირვებით ხან მანათიანს დახედავდა, ხან თვალს მიმავალ ოფიცირს გააყოლებდა ხოლმე.

ჯარის-კაცთა კრებული უნდილად, ზანტად იშლებოდა, თითქოს წასვლის ვერა ჰბედავდა- ვინც მიღიოდა, კვლავ იქითკენ იხედებოდა, სადაც მართლმსაჯულებამ, ეს-ეს იყო, იმათ თვალწინ, თვისი უწმინდესი ვალი აღა-სრულა — კაცს ნათლობის სახელი ჩამოართვა და „გაროზგილის“ სახელით მონათლა.

o 3838
1905

გ ა ზ ე თ ი
„ ი ვ ე რ ი პ “
1906 წ.

გამოდის ყოველკვირკველ გაზეთად

ზოგით ერთიდან თრ თაბახამდის

ფასი გაზეთისა პირველ მარტიდან წლის დამლუ-
ვამდის ტფილისსა და ტფილის გარედ გაგზავნით—3 მან.,
5 თვით—2 მან.

უკანასკნელ შეთორმეტე პრემიის მაგიერ „ივერიის“
შარშანლელ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ ყოველკვირკ-
ული „ივერია“ ქრთი თვის განმავლობაში (მარტში).

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში ფრე-
ლინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო აღრესი: თიფლის, რედაქცია გაზ. „ივერია“.

სტამბა ამხანაგობისა „შრომა“ —